საბანკო მომსახურების პირობები

კარი I - შესავალი 2
თავი I - შესავალი 2
მუხლი 1. შესავალი 2
კარი II - ზოგადი ნაწილი 3
თავი I - ზოგადი ნაწილი 3
მუხლი 2. ზოგადი ნაწილი 3
მუხლი 2[1]. თანხმობა ინფორმაციის დამუშავებაზე 7
მუხლი 2[2]. კლიენტის ონლაინ იდენტიფიკაცია 9
მუხლი 3. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი 10
მუხლი 4. ხელშეკრულების შეწყვეტა 10
მუხლი 5. ფორს მაჟორი 11
მუხლი 5[1]. დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა 11
კარი III - კერძო ნაწილი 13
თავი I - საკონტაქტო მონაცემებისა და/ან საბანკო პლასტიკური ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის დაფიქსირების შესახებ ხელშეკრულება/შეთანხმება .. 13
მუხლი 6. საკონტაქტო მონაცემების დაფიქსირების შესახებ ხელშეკრულება 13
მუხლი 6[1]. საბანკო პლასტიკური ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის დაფიქსირების შესახებ შეთანხმება 14
თავი II - საბანკო ანგარიშები 15
მუხლი 7 15
მუხლი 7[1]. უმოძრაო ანგარიშების მომსახურება და დახურვა 19
მუხლი 7[2]. გადასახდელად უვარგისი უცხოური ვალუტის ბანკნოტების კლიენტისათვის უკან დაბრუნება 19
მუხლი 8. მიმდინარე ანგარიშები ფიზიკური პირებისთვის 21
მუხლი 8[1]. მიმდინარე ანგარიშები იურიდიული პირებისა და ორგანიზაციული წარმონაქმნებისთვის, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს 21
მუხლი 8[2]. მიმდინარე ანგარიში ოფსეტ ფუნქციით 21
მუხლი 9. მიმდინარე ტიპის ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიში 22
თავი III - ანაბრები 23
მუხლი 10. 23
მუხლი 11. ვადიანი ანაბარი / ეკო ვადიანი ანაბარი 25
მუხლი 11[1]. საინვესტიციო ანაბარი 25
მუხლი 12. მოქნილი ანაბარი (ამოღებულია 10/07/2017) 26
მუხლი 13. ზრდადი ანაბარი 26
მუხლი 14. საბავშვო ანაბარი 26
მუხლი 15. შემნახველი ანაბარი 27
მუხლი 15[1]. ფიზიკური პირის შემნახველი ანაბარი “FlexSave” / “FlexSave +”/“My FlexSave”/“My FlexSave +” 28
მუხლი 15[2]. იურიდიული პირის შემნახველი ანაბარი “FlexSave”/ “FlexSave +” 28
მუხლი 15[3]. სადეპოზიტო სერტიფიკატი 29
მუხლი 15[4]. შემნახველი ანაბარი “შემნახველი ყუალაბა“ 31
თავი IV - საბანკო პლასტიკური ბარათები 31
მუხლი 16. 31
მუხლი 17. ფიზიკური პირის პლასტიკური ბარათი 40
მუხლი 18. იურიდიული პირის პლასტიკური ბარათი 41
მუხლი 18[1]. Pay Sticker -ი 42
მუხლი 18[2]. ციფრული საფულე 42
მუხლი 18[3]. ციფრული ბარათი 43
მუხლი 18[4]. პრემიალური ბარათი 43
მუხლი 19. ბარათების უსაფრთხოების სახელმძღვანელო. 44
მუხლი 19[1]. გადახარჯვა 49
თავი V - ინტერნეტ ბანკი / მობაილ ბანკი 50
მუხლი 20. 50
მუხლი 20[1] 58
მუხლი 20[2]. ღია ბანკინგი (Open Banking) - მონაცემების გაზიარების წესები და პირობები 59
თავი VI - ავტომატური გადარიცხვები 59
მუხლი 21. 59
მუხლი 22. 60
მუხლი 23. 60
თავი VII - SMS მომსახურება 61
მუხლი 24. 61
თავი VIII - სატელეფონო პინ-კოდით მომსახურება 62
მუხლი 25. 62
თავი VIII[1] - ელექტრონული ყუალაბის მომსახურება 62
მუხლი 25[1]. ელექტრონული ყუალაბის პირობები 62
თავი VIII[2] - იმეილბანკის მომსახურება 64
მუხლი 25[2]. იმეილბანკის მომსახურების პირობები 64
თავი IX - საბაზისო საბანკო პროდუქტებით/საბანკო პროდუქტების ნაკრებით სარგებლობა 66
მუხლი 26. 66
მუხლი 27. მომსახურება სახელფასო პროექტის პაკეტით (ამოღებულია 10/07/2017) 66
მუხლი 28. მომსახურება სერვის პაკეტით (ამოღებულია 10/07/2017) 66
მუხლი 29. მომსახურება ონლაინ ანგარიშის პაკეტით (ამოღებულია 10/07/2017) 66
მუხლი 29[1]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - „ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება“ / „ბიზნეს კლიენტების სტანდარტული მომსახურება“ / „ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება“ /„ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება +“/„ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება +“ 67
მუხლი 29[2]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - „აქტიური ანგარიშით მომსახურება“ / „უნივერსალური აქტიური ანგარიში“ (აღნიშნული პროდუქტი ახალ კლიენტზე აღარ გაიხსნება 20.09.2022 წლიდან) 67
მუხლი 29[3]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - „პასიური ანგარიშით მომსახურება“ (აღნიშნული პროდუქტი ახალ კლიენტზე აღარ გაიხსნება 20.09.2022 წლიდან) 69
მუხლი 29[3ა]. ფიზიკური პირის მიერ დისტანციური არხით საბანკო ანგარიშის გახსნის სპეციალური პირობები 70
მუხლი 29[4]. (ამოღებულია). 70
მუხლი 29[5]. საბანკო პროდუქტების ნაკრები - პრემიუმი 71
მუხლი 29[6]. (ამოღებულია). 72
მუხლი 29[7]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - ანგარიში სტანდარტი 72
მუხლი 29[8]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - მინიმალი (დასახელება „საბაზისო საბანკო პროდუქტები - მინიმალი“ 29.08.2024 წლიდან შეიცვლება „საბანკო პროდუქტების ნაკრები - მინიმალი“-თ) 74
მუხლი 29[9]. საბანკო პროდუქტების ნაკრები - სტარტი 75
მუხლი 29[10]. საბანკო პროდუქტების ნაკრები - კომფორტი 77
თავი X - ექვაირინგის მომსახურება 79
მუხლი 30. 79
მუხლი 31. სტანდარტული ტიპის ექვაირინგის ხელშეკრულება 90

მუხლი 32. სეზონური ტიპის ექვაირინგის ხელშეკრულება 90
მუხლი 32[1]. სადავო ტრანზაქციების და დავების განხილვა 90
თავი XI - სადეპოზიტო სეიფით მომსახურება 91
მუხლი 33. თანხის სადეპოზიტო სეიფის („სეიფის“) მეშვეობით შემოტანის ხელშეკრულება 91
თავი XII - ფულადი გზავნილები 93
მუხლი 34. სწრაფი ფულადი გზავნილები - „ინტელიექსპრესი“ 93
თავი XIII - მომენტალური გადარიცხვები 24/7-ზე 94
მუხლი 35 94

საბანკო მომსახურების პირობები

კარი I - შესავალი

თავი I - შესავალი

მუხლი 1. შესავალი

1. საბანკო მომსახურების პირობები (შემდგომში „საბანკო მომსახურების პირობები“ ან „წინამდებარე დოკუმენტი“) არეგულირებს წინასახელშეკრულებო და სახელშეკრულებო ურთიერთობებს სს ,,პროკრედიტ ბანკსა („ბანკი“) და კლიენტ(ებ)ს შორის, წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების (შემდგომში ,,ხელშეკრულება“) შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და განსაზღვრავს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გასაწევი საბანკო მომსახურების/პროდუქტის შინაარსს, ყველა პირობას და მხარეთა ყველა უფლება-მოვალეობას.
2. წინამდებარე დოკუმენტი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან.
3. ზოგად ნაწილში მოცემულია ის მარეგულირებელი დებულებები, რომლებიც საერთოა წინამდებარე დოკუმენტის კერძო ნაწილში მოცემული ბანკის ყველა მომსახურებისათვის/ პროდუქტისათვის და შესაბამისად, აღნიშნული მომსახურებების/პროდუქტების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებებისათვის.
4. კერძო ნაწილში წარმოდგენილია ცალკეული საბანკო მომსახურების/პროდუქტის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ინდივიდუალურია თითოეული ამ მომსახურებისათვის/ პროდუქტისათვის. კერძო ნაწილში მოცემული თითოეული საბანკო მომსახურების გაწევის/ პროდუქტის მიღების თაობაზე ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტი და შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებზე სრულად მოქმედებს და ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული საბანკო მომსახურების პირობები. ხელშეკრულება მოქმედებს უვადოდ, თუ თავად ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
5. კერძო ნაწილში მოცემული თითოეული საბანკო მომსახურება/პროდუქტი შესაძლოა შეიცავდეს საერთო და სპეციალურ დებულებებს.
6. ხელშეკრულების შინაარსის, საბანკო მომსახურების/პროდუქტის პირობების და მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის პირველ რიგში გამოიყენება კერძო ნაწილი (მისი სპეციალური და საერთო დებულებები), ხოლო შემდეგ წინამდებარე დოკუმენტის ზოგადი ნაწილი. ის საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული კერძო ნაწილით, წესრიგდება წინამდებარე დოკუმენტის ზოგადი ნაწილით.
7. კერძო ნაწილში მოცემული კონკრეტული საბანკო მომსახურების/პროდუქტის რეგულირებისას პირველ რიგში მხედველობაში მიიღება თითოეული მომსახურების/პროდუქტის სპეციალური დებულებები, ხოლო შემდეგ თითოეული მომსახურების/პროდუქტის საერთო დებულებები.
8. ორივე ნაწილი (ზოგადი და კერძო) განიხილება ერთ მთლიანობად და შესასრულებლად თანაბრად სავალდებულოა მხარეთათვის.
9. საბანკო მომსახურების პირობები სახელშეკრულებო ხასიათისაა და შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის.
10. საბანკო მომსახურების პირობები მოცემულია როგორც ბანკის ოფისებში, ასევე ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge და კლიენტს თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია გაეცნოს მას.
11. სს პროკრედიტ ბანკის სათაო ოფისის მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი, საქართველო; მისამართი; ბანკის ელ.ფოსტა geo.info@procredit-group.com; ვებგვერდი:

www.procreditbank.ge; (აღნიშნულ ვებგვერდზე შეგიძლიათ, ასევე, იხილოთ ფილიალების მისამართები, რომლებიც ახორციელებენ საგადახდო მომსახურებას).

12. ბანკის ლიცენზიის N233.
13. სს პროკრედიტ ბანკის, როგორც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკის ზედამხედველი ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებგვერდი www.nbg.gov.ge/cp; მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო, N1.
14. ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი კომერციული ბანკის მიერ მომხმარებლის წინაშე არსებული ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

კარი II - ზოგადი ნაწილი
თავი I - ზოგადი ნაწილი

მუხლი 2. ზოგადი ნაწილი

1. კლიენტი შეიძლება იყოს როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (ნებისმიერი სახის) სუბიექტი ან ორგანიზაციული წარმონაქმნი, მიუხედავად იმისა, ითვლება თუ არა ის იურიდიულ პირად.
2. ტერმინი „კლიენტი“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონტექსტის მიხედვით შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთ კლიენტს, ასევე რამდენიმე კლიენტს ერთად.
3. ბანკი უწევს კლიენტს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ და ნებადართულ მომსახურებას.
4. ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურების გაწევის/საბანკო პროდუქტის გამოყენებისათვის კლიენტი იხდის ბანკის მიერ დადგენილ საფასურს, სხვადასხვა საკომისიო(ებ)ს და/ან სხვა სახის გადასახდელ თანხებს, ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით. კლიენტი ვალდებულია ყოველი ოპერაციის/ტრანზაქციის განხორციელების და გარიგების დადების წინ გაეცნოს ტარიფებს. კლიენტი ადასტურებს, რომ მიიღო, გაეცნო და ეთანხმება ტარიფებს, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.procreditbank.ge.

4[1]. ბანკი არ დაარიცხავს მომხმარებელს საკომისიოს არააქტიურ საფინანსო პროდუქტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი სარგებლობს სხვა აქტიური არასაკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტით.

5. კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს ანგარიშ(ებ)ზე საკმარისი სახსრების არსებობა, ხოლო ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, უაქცეპტოდ ჩამოწეროს თანხები:
   ა) საბანკო მომსახურების ნებისმიერი საკომისიოს, საფასურის და/ან სხვა სახის გადასახდელი თანხების დასაფარად (ბანკში არსებული ტარიფების შესაბამისად);
   ბ) კლიენტის ნებისმიერი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების (სესხი/კრედიტი/ოვერდრაფტი (მათ შორის არასანქცირებული ოვერდრაფტი) და/ან მათზე დარიცხული პროცენტი; სასამართლო/სააღსრულებო და სხვა ხარჯები; მიყენებული ზიანი; პირგასამტეხლო და ჯარიმები; ნებისმიერი სხვა სახის გადასახდელი თანხები და/ან სხვა ნებისმიერი სახის ვალდებულება, მიუხედავად მათი შინაარსისა და წარმოშობის საფუძვლისა) სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად.
6. კლიენტის ანგარიშებიდან თანხის ჩამოწერა ხდება შემდეგი წესების დაცვით:
   ა) პირველ რიგში თანხა ჩამოიჭრება კლიენტის მიმდინარე ანგარიშ(ებ)იდან;
   ბ) მიმდინარე ანგარიშ(ებ)ზე თანხების არ არსებობის ან არასაკმარისი ოდენობით არსებობის შემთხვევაში თანხის ჩამოწერა მოხდება კლიენტის სხვა ნებისმიერ ტიპის ანგარიშ(ებ)იდან (გარდა ვადიანი ტიპის ანაბრის ანგარიშ(ებ)ისა, თუ ბანკსა და კლიენტს შორს არსებული გარიგებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული);
   გ) ამ პუნქტის როგორც ,,ა“, ასევე ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში თანხის ჩამოწერა პირველ რიგში მოხდება არსებული ვალდებულების ვალუტაში. აღნიშნულ ვალუტაში თანხების არ

არსებობის ან არასაკმარისი ოდენობით არსებობის შემთხვევაში, სახსრების ჩამოწერა მოხდება კლიენტის, ნებისმიერ ვალუტ(ებ)ში არსებული თანხიდან, ბანკის არჩევით.

7. როდესაც ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება მიმდინარე ვალდებულების ვალუტისგან, ასევე გადახდის ოპერაციის შესრულებისას თუ საჭირო გახდა ვალუტის კონვერტაცია, ან სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, ბანკში ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს სს ,,პროკრედიტ ბანკის“ კომერციული გაცვლითი კურსით, ხოლო ვალუტის გაცვლის საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოცემული იქნება წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ ტარიფებში. კლიენტს შეუძლია გაეცნოს ვალუტის გაცვლით კურსებს, რომელიც ხელმისაწვდომია სს „პროკრედიტ ბანკის“ ფილიალებში და ოფიციალურ ვებგვერდზე: www.procreditbank.ge; კლიენტს ასევე შეუძლია აღნიშნულ ვებგვერდზე გადაამოწმოს უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსების ისტორია (ცვლილების დროის მითითებით) ოპერაციის განხორციელების დღიდან 180 დღის განმავლობაში.
8. კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე სახსრების უკმარისობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს წინამდებარე დოკუმენტში მოცემული წესების დაცვით თანხა ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშებზე დაშვებული ოვერდრაფტის ხარჯზე.
9. მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით, საკონტაქტო მონაცემების დაფიქსირების შესახებ შეთანხმებით ბანკთან შეთანხმებულ მობილური ტელეფონის ნომერზე კლიენტს ეგზავნება შემდეგი ინფორმაცია:
   ა) სასესხო შენატანის განხორციელებასთან, ვადიანი ტიპის ანაბრებთან, ანგარიშის უმოძრაობასთან, ბარათით შესრულებულ ტრანზაქციებთან, ავტომატურ დავალებებთან, ბარათის დაბლოკვა/განბლოკვასთან დაკავშირებული ინფორმაცია კლიენტის მიერ ასეთი ტიპის მომსახურებით სარგებლობის შეთხვევაში;
   ბ) ინფორმაცია ბანკში კლიენტის ანგარიშებზე საინკასო დავალების წარდგენის შესახებ;
   გ) ინფორმაცია კლიენტის ანგარიშებზე განხორციელებული დებეტური ოპერაციების შესახებ. დებეტურ ოპერაციებად ჩაითვლება ყველა ის საბანკო ოპერაცია, რომელიც შეამცირებს კლიენტის ანგარიშზე არსებულ ნაშთს, გარდა ბანკის მიერ საბანკო მომსახურების საკომისიოს თანხების ჩამოჭრისა;
   დ) წინამდებარე დოკუმენტით და/ან ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია.
10. ბანკი არ იღებს პასუხისმგებლობას სატელეფონო კომპანიების მიერ მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) არ გაგზავნის ან შეფერხებით/დაგვიანებით გაგზავნის ფაქტზე. ბანკი სრულად იხსნის პასუხისმგებლობას მომსახურების შეფერხებით მიწოდებაზე, თუ ხსენებული შეფერხება (შეუტყობინებლობა/შეტყობინების დაგვიანებით მიღება) გამოწვეულია ბანკისგან დამოუკიდებელი და/ან ადგილობრივი/უცხო ქვეყნის მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორის/პროვაიდერის მიზეზით და ცდება ბანკის კონტროლს. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოწვეულია ზემოაღნიშნული დეფექტით/მოკლე ტექსტური შეტყობინების გადაცემის ხარვეზით და/ან შეფერხებით.
11. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ წარმოუდგინოს ბანკს ხელშეკრულებით და/ან წინამდებარე დოკუმენტით მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. ბანკი ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
12. კლიენტის შესახებ ბანკში არსებული პერსონალური ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის,მათ შორის:
    - საფირმო სახელწოდების ან/და სხვა პირადი/სამეწარმეო მონაცემების;
    - პოლიტიკურად აქტიური პირის[1] სტატუსის;
    - იურიდიული/ფაქტობრივი მისამართის;
    - სამართლებრივი ფორმის;
    - საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის;

[1] საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პოლიტიკურად აქტიური ფიზიკური პირი.

- ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის/წარმომადგენლ(ებ)ის/მარწმუნებლის და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრ(ეებ)ის, მფლობელობისა და მმართველობის (კონტროლის) განმახორციელებელი სტრუქტურის;
- ბანკისათვის მიწოდებული სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების;

ცვლილებისას კლიენტი ვალდებულია ბანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე (ტრანზაქციის შესრულებამდე, ნებისმიერი ტიპის გარიგების განხორციელებამდე და/ან სხვა სახის საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე) წერილობით აცნობოს ბანკს აღნიშნული ინფორმაციის/მონაცემების შეცვლის/გაუქმების/შეჩერების შესახებ. კლიენტი ვალდებულია, წარუდგინოს ბანკს ზემოაღნიშნული ცვლილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის ორიგინალი ან სანოტარო წესით და/ან ბანკისათვის მისაღები სხვა ფორმით დამოწმებული ასლი. კლიენტის მიერ ცვლილების შესახებ წერილობით შეტყობინებამდე ბანკი უფლებამოსილია იმოქმედოს ბანკში დაცული ინფორმაციის შესაბამისად და ასეთ შემთხვევაში ბანკის ნებისმიერი ქმედება სათანადო და მართლზომიერია და აქვს სრული იურიდიული შედეგები. აღნიშნული ცვლილების შეუტყობინებლობით გამოწვეული ნებისმიერი სახის შედეგზე, შესაბამისი ცვლილების ან/და გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებამდე განხორციელებული ქმედებების შედეგად დამდგარ ზიანზე (ზარალზე), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაეკისროს ბანკს, პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

12[1]. ბანკი უფლებამოსილია წელიწადში მინიმუმ ერთხელ მოსთხოვოს კლიენტს ანგარიშის გასახსნელად წარმოდგენილი დოკუმენტების და/ან ინფორმაციის განახლება. თუ კლიენტი ვერ უზრუნველყოფს (უარს აცხადებს) ზემოაღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენას, ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს, შეზღუდოს და/ან შეწყვიტოს საბანკო ოპერაციების წარმოება/კლიენტისათვის მომსახურების გაწევა.

13. კლიენტი პასუხისმგებელია ბანკში წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე, სისრულეზე, და ძალაში ყოფნაზე.

14. (ამოღებულია)

15. (ამოღებულია).

16. ბანკი უზრუნველყოფს საბანკო, კომერციული და პერსონალური საიდუმლოების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ მესამე პირს არ გაუმხელენ მხარეთა შორის ურთიერთობის პირობებს, გარდა ხელშეკრულებით, წინამდებარე დოკუმენტით და/ან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

18. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს ბანკს, მის მიერ ბანკისათვის წარდგენილი ნებისმიერი სახის რწმუნებულების/მინდობილობის სტატუსის/შინაარსის შეცვლის, მათ შორის გაუქმების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი თავისუფლდება თანამდევი შედეგებისა და პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან, როგორც კლიენტის, ასევე ნებისმიერი მესამე პირის წინაშე.

18[1]. თუ კლიენტი ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით, ბანკს მიმართავს მინდობილობის გაუქმების ან აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე მომსახურების შეჩერების მოთხოვნით, კლიენტის მოთხოვნისთანავე და საბანკო მომსახურების პირობებით დადგენილი იდენტიფიკაციის პროცესის გავლის საფუძველზე, ბანკი უზრუნველყოფს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამასთან, კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს მინდობილობის გაუქმება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

19. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს ბანკს ნებისმიერი სახის პირადობის დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის გაუქმების, დაკარგვის ან სხვისთვის გადაცემის შესახებ, ასევე კლიენტის მონაცემებში ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებლის გაჩენის შემთხვევაში (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი საცხოვრებელი ბარათის ე.წ. „მწვანე ბარათის“ მოპოვებით და სხვა). წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი თავისუფლდება თანამდევი შედეგებისა და პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან (მათ შორის იმ ზიანის ანაზღაურებისაგან, რომელიც

დოკუმენტის დაკარგვის ან სხვისთვის გადაცემის ფაქტის თუნდაც არაპირდაპირი შედეგია), როგორც კლიენტის, ასევე ნებისმიერი მესამე პირის წინაშე.

„19[1] G20-ის ლიდერების მხარდაჭერით შექმნილი ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საერთო მოდელის - ანგარიშგების საერთო სტანდარტისა („CRS“) და საქართველოს საგადასახადო რეგულაციების მოთხოვნის შესაბამისად ბანკი ვალდებულია შეაგროვოს გარკვეული ინფორმაცია თითოეული ანგარიშის მფლობელის საგადასახადო რეზიდენტობის შესახებ. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში თვით-დეკლარაცია უნდა შეავსოს ყველა ანგარიშის მფლობელმა.

კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია სს „პროკრედიტ ბანკს“ CRS-ის მოთხოვნის შესაბამისად ბანკის თვით-დეკლარაციის ფორმაში კლიენტის მიერ ასახული მონაცემების ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ამასთან განაახლოს თვით-დეკლარაცია ასეთი ცვლილებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში.

20. ნებისმიერი სახის ელექტრონულ ხელმოწერას, მათ შორის, კლიენტთან შეთანხმებული ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის საშუალებით დადასტურებას, აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა, როგორც მხარეთა შორის, ასევე ნებისმიერი მესამე პირის/სუბიექტის მიმართ.
21. მხარეს არ შეუძლია უარი განაცხადოს წინამდებარე დოკუმენტით (საბანკო მომსახურების პირობები) გათვალისწინებული პირობების და ვალდებულებების შესრულებაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ მას ხელმოწერა (მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით) არ განუხორციელებია უშუალოდ წინამდებარე დოკუმენტზე (წინამდებარე დოკუმენტის ელექტრონულ და/ან მატერიალურ ვერსიაზე).
22. თუ ბანკი და კლიენტი შეთანხმდნენ ელექტრონული კომუნიკაციის დაზღვეულ მეთოდზე, მათ შორის ინტერნეტ ბანკით, შეთანხმებული საკონტაქტო მონაცემებით ელექტრონულ კომუნიკაციაზე, მაშინ ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას კომუნიკაციისათვის და საბანკო ოპერაციების შესრულებისათვის.
23. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მხრიდან რაიმე ვალდებულების შესრულების თარიღი ემთხვევა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრულ დასვენების ან უქმე დღეს, ან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ დასვენების დღეს, სს ,,პროკრედიტ ბანკი“ ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს მომდევნო სამუშაო დღეს.
23[1]. ბანკი და კლიენტი თანხმდებიან კლიენტის მიერ ბანკში მოთხოვნის დაფიქსირების ციფრული/ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებაზე. ამასთან, კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ სარგებლობის სურვილის გამოხატვით, ავტომატურად ეთანხმება მოთხოვნილი მომსახურებისათვის/პროდუქტისთვის ბანკში არსებულ შესაბამის ტარიფებსა და პირობებს, ხოლო ბანკი, იტოვებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, ყოველგვარი დასაბუთების ვალდებულების გარეშე, უარი განაცხადოს ციფრული/ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებაზე კონკრეტულ შემთხვევაში. აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის, კლიენტი გულისხმობს ფიზიკურ პირს.
24. (ამოღებულია).
25. კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი მის წარმომადგენელთა, დაქირავებულთა, დამხმარე-მოსამსახურეთა და კლიენტთან შრომითი ან სხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირთა ქმედებების შედეგებზე, მიუხედავად იმისა ზემოაღნიშნული პირები მოქმედებდნენ ბრალით, თუ ბრალის გარეშე.
26. კლიენტი ვალდებულია წინასწარ გაეცნოს გამონაკლისების ნუსხაში (აღნიშნული ნუსხა ხელმისაწვდომია სს „პროკრედიტბანკის“ ნებისმიერ ოფის(ებ)ში და ოფიციალურ ვებგვერდზე: www.procreditbank.ge) შეტანილ საქმიანობათა ჩამონათვალს და წინამდებარე დოკუმენტით კლიენტი ადასტურებს, რომ არ ეწევა და არც მომავალში დაკავდება გამონაკლისების ნუსხაში მითითებული საქმიანობით/საქმიანობებით. კლიენტი ასევე ადასტურებს, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია და ჩატარებული აქვს გამოკვლევა, ის იცავს და მომავალშიც დაიცავს საქართველოში მოქმედ ეკოლოგიურ, ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმას.

27. ბანკსა და კლიენტს შორის არსებული ხელშეკრულების ან წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე პუნქტის გაუქმება/ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების/წინამდებარე დოკუმენტის და/ან მათი სხვა პუნქტ(ებ)ის გაუქმებას/ბათილობას.
28. კერძო ნაწილში მითითებულ საბანკო პროდუქტზე ხელშეკრულება ფორმდება განუსაზღვრელი ვადით, თუ თავად ხელშეკრულებაში ან კერძო ნაწილში სხვა არაფერია მითითებული. კლიენტთან ხელშეკრულებები ფორმდება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. შესაბამისად სახელშეკრულებო პირობების მიწოდება, გაცნობა და კლიენტთან კომუნიკაცია ხდება იმ ენაზე, რა ენაზეც ფორმდება ხელშეკრულება.
28[1]. კლიენტი უფლებამოსილია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების შესახებ. ბანკი უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის გაცემას კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, მისთვის სასურველი ფორმით.
29. ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა დავა თუ უთანხმოება გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით. სასამართლოში დავა განიხილება ბანკის ადგილმდებარეობის მიხედვით.
30. ხელშეკრულების დისტანციურად, მათ შორის ინტერნეტ ბანკით, გაფორმებისას კლიენტს დისტანციური არხის გამოყენებისათვის არ დაეკისრება დამატებითი გადასახდელები.
31. კლიენტს არ აქვს დისტანციურად დადებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება, თუ თავად ხელშეკრულებით განსხვავებული პირობა არ არის დადგენილი.
32. დისტანციურად გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულებას, ან პროდუქტის ბუნებას.

მუხლი 2[1]. თანხმობა ინფორმაციის დამუშავებაზე

1. ამ მუხლში მოცემული ტერმინების განმარტება:
ა) **ინფორმაცია** - კლიენტი იურიდიული პირის და/ან ფიზიკური პირის შესახებ საბანკო, კომერციული, კონფიდენციალური, პერსონალური მონაცემების, მათ შორის ბიომეტრიული მონაცემების შემცველი ნებისმიერი ინფორმაცია;
ბ) **პერსონალური მონაცემი (შემდგომ - მონაცემი)** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად კლიენტ ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით ან სხვა მახასიათებლით;
გ) **ინფორმაციის დამუშავება** - ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;
დ) **პირდაპირი მარკეტინგი** - ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით კლიენტისთვის ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ბანკის/პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან/და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან/და მხარდაჭერის მიზნით.
2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით:
2.1. კლიენტი აცხადებს თანხმობას და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, დაამუშავოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ბანკის დამფუძნებელთათვის და მათი მაკონტროლებელი სუბიექტებისათვის, ბანკის შვილობილი საწარმო/ორგანიზაცი(ებ)ისთვის, ხელმისაწვდომი გახადოს სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, აგრეთვე საგადასახადო კონსულტანტებისთვის, აუდიტორებისთვის, იურიდიული მრჩევლებისთვის, სადაზღვევო კომპანიებისთვის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის, შემოსავლების სამსახურისთვის და სხვადასხვა მომსახურების გამწევი მესამე პირებისათვის, მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის:

- კლიენტთან არსებობს სახელშეკრულებო/წინასახელშეკრულებო ურთიერთობა;
- კლიენტისთვის ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურების გაწევა/გაუმჯობესება/განვითარება;
- კლიენტის განცხადების განხილვა;

- კლიენტის განცხადების გარეშე, ბანკის მიერ, ცალმხრივად, კლიენტისთვის საბანკო/საკრედიტო პროდუქტების შეთავაზება;
- კლიენტის მიმდინარე საკრედიტო პროდუქტების მონიტორინგი და კლიენტის გადამხდელუნარიანობის გადამოწმება;
- ბანკის მიზნებისათვის სხვადასხვა ტიპის კვლევის/მომსახურების განხორციელება/კონსულტირება საგადასახადო და იურიდიულ საკითხებში/აუდიტი;
- ბანკის დამფუძნებელთან ანგარიშგება;
- საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ექსპერტიზის ჩატარება;
- პირდაპირი მარკეტინგი;
- სხვადასხვა (ვიზა, მასტერქარდი და სხვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებულ) წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობა;
- ინფორმაციისა განახლება/გასწორება/შევსება;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- იძულებით აღსრულება;
- ინფორმაციის დამუშავება საჭიროა ბანკისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად ან აუცილებელი ბანკის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2.2. კლიენტის მიერ წინამდებარე თანხმობა გაცემულია ზემოაღნიშნული მიზნებით ინფორმაციის დამუშავებისათვის საჭირო ვადით.

2.3. მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. ამასთან, პირები, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციას, უზრუნველყოფენ ინფორმაციის, საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაცულ გარემოში შენახვას და გაცვლას დაცული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ინფორმაცია ბანკში ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის დამუშავების მიზნის მისაღწევად კანონმდებლობითა და ბანკის წესებით დადგენილი შენახვის ვადების გათვალისწინებით.

კლიენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამუშავებაზე კლიენტის მიერ უარის თქმის შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს, ბანკი უფლებამოსილია უარი თქვას კლიენტის მომსახურებაზე და/ან შეწყვიტოს მასთან გაფორმებული ნებისმიერი სახისა და შინაარსის ხელშეკრულება. ამასთან, თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და მის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

2.4. კლიენტი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ კლიენტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა; კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე; კლიენტი უფლებამოსილია, მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, შევსება, დაბლოკვა, დამუშავების შეწყვეტა, ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან/და წაშლა და განადგურება, ასევე გადატანა (ინფორმაციის ავტომატური დამუშავების შემთხვევაში), თუ ისინი მცდარია, არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან სადავოა მონაცემთა ნამდვილობა ან სიზუსტე, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა/ხორციელდება კანონის საწინააღმდეგოდ.

3. კლიენტისთვის ცნობილია, რომ სს „პროკრედიტ ბანკი“ უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე მუხლში მითითებული მიზნებითა და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს და დაამუშაოს, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

4. სს „პროკრედიტ ბანკი“ შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ები)სათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება

მომხმარებლის/კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).
მომხმარებლის/კლიენტის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

5. კლიენტი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია ბანკის ვებ გვერდზე განთავსებული პერსონალური და საბანკო მონაცემების დაცვის პილიტიკით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 2[2]. კლიენტის ონლაინ იდენტიფიკაცია

1. ონლაინ იდენტიფიკაცია მოიცავს ბიომეტრიულ იდენტიფიკაციას - პირის დისტანციური იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია, რომელიც გულისხმობს სახის ამოცნობის (Face recognition) სისტემის გამოყენებით, ე.წ. "Liveness" შემოწმებას და სელფის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოებში სახის ბიომეტრიულ შედარებას.
2. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, ტერმინი „კლიენტი“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონტექსტის მიხედვით, გულისხმობს როგორც კლიენტ ფიზიკურ პირს, ასევე კლიენტ იურიდიულ პირს და მის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს, რომელიც მიმართავს ბანკს ონლაინ იდენტიფიკაციის საფუძველზე საბანკო მომსახურების მისაღებად.
3. ბანკი კლიენტის ონლაინ იდენტიფიკაციას ახდენს კლიენტისთვის ბანკის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა საბანკო სერვისის მიწოდების მიზნით, ბანკში დადგენილი წესებისა და შეზღუდვების შესაბამისად.
4. იმ შემთხვევაში, თუ ონლაინ იდენტიფიკაციის დროს, კლიენტის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არის გაყალბებული, განაცხადში მითითებული მონაცემები მცდარია ან წარმოდგენილი დოკუმენტი არ ეკუთვნის იმ პირს, ვინც ახორციელებს იდენტიფიკაციას, ბანკი უფლებამოსილია, შეწყვიტოს იდენტიფიკაციის პროცესი და უარი უთხრას კლიენტს მომსახურებაზე.
5. კლიენტი ვალდებულია, იდენტიფიკაციის განაცხადში მიუთითოს სწორი და უტყუარი ინფორმაცია. კლიენტი ადასტურებს და მისთვის ცნობილია, რომ ბანკი სხვადასხვა სერვისის (მომსახურების) გაწევის დროს, მათ შორის ახალი სერვისის გააქტიურების დროს, გამოიყენებს კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ მონაცემებს.
6. ონლაინ იდენტიფიკაციის საფუძველზე მიმდინარე ანგარიშის გახსნის დროს, კლიენტს გაუაქტიურდება საბაზისო საბანკო პროდუქტები. ამასთან, კლიენტის უშუალო იდენტიფიკაციამდე, ონლაინ იდენტიფიკაციით გახსნილ ანგარიშზე საბანკო ოპერაციების წარმოება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 30 მარტის №48/04 ბრძანებით ,, ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე'' და ბანკის წესებით დადგენილი ლიმიტებისა და შეზღუდვების შესაბამისად.
7. ბანკი იტოვებს უფლებას, მომეტებული რისკ ფაქტორების არსებობის/გამოვლენის შემთხვევაში, დააწესოს დამატებითი შეზღუდვები და ლიმიტები ონლაინ იდენტიფიკაციით გახსნილი ანგარიშების გამოყენებით საბანკო ოპერაციების წარმოებაზე.
8. ონლაინ იდენტიფიკაციის პროცესის დასრულების შემდეგ, ბანკი ახორციელებს იდენტიფიკაციის დადასტურებას. კლიენტისთვის შესაბამისი სერვისის დისტანციურად მიწოდება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკი დაადასტურებს, რომ იდენტიფიკაციის პროცესი წარმატებით შესრულდა. ბანკი უფლებამოსილია, უარყოს იდენტიფიკაცია და დაადგინოს, რომ იდენტიფიკაციის პროცესი წარუმატებელია. ბანკი შეატყობინებს კლიენტს წარუმატებელი იდენტიფიკაციის შემთხვევაში.
9. კლიენტისთვის ცნობილია და თანახმაა, რომ ბანკი, იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამუშავებს მის პერსონალურ მონაცემებს (მათ შორის ბიომეტრიულ მონაცემებს). აღნიშნული პროცესი მოიცავს:
    - ბიომეტრიული იდენტიფიკაციის დროს - პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით კლიენტისა და მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოების/სელფის გადაღებას, სახის ბიომეტრიულ შედარებას და ვიდეო დავალების შესრულებას.
    - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის შემოწმებას და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე დაყრდნობით ვერიფიკაციას.
10. კლიენტისთვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას, რომ ონლაინ იდენტიფიკაციის პროცესში მიმდინარეობს მისი მონაცემების დამუშავება, ვიდეოს, ფოტოების სქრინშოტების გადაღება. აღნიშნულ

ფოტოებს/სქრინშოტებს/ვიდეო ჩანაწერს ბანკი შეინახავს კანონმდებლობითა და ბანკის წესებით დადგენილი ვადით. კლიენტის პერსონალური მონაცემები შესაძლებელია ხელმისაწვდომი გახდეს მომსახურების გამწევი მესამე პირებისთვის (Identomat Inc), რომლის პროგრამულ უზრუნველყოფასაც იყენებს ბანკი იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისთვის.

11. კლიენტის მიერ გამოხატულ ნებისმიერ მოთხოვნას/განაცხადს/დავალებას/შეტყობინებას, რომელიც ბანკმა მიიღო ონლაინ იდენტიფიკაციის პროცესში და/ან ინტერნეტ ბანკით აქვს კლიენტის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა და დავის შემთხვევაში, ასეთი ჩანაწერი ან/და შესაბამისი მოთხოვნა/განაცხადი/დავალება/შეტყობინება, გამოყენებული იქნება მტკიცებულებად.

მუხლი 3. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, მრავალჯერადად შეიტანოს ნებისმიერი შინაარსის დამატება/ცვლილება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (მათ შორის იმ დოკუმენტებში და პირობებში, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ/განუყოფელ ნაწილს), საბანკო მომსახურების პირობებში (წინამდებარე დოკუმენტში) და/ან ტარიფებში, რომლითაც:
   ა) ცვლილება შევა უკვე არსებულ უფლებაში და/ან ვალდებულებაში, ან/და განისაზღვრება ბანკის და/ან კლიენტის ახალი უფლება და/ან ახალი ვალდებულება.
   ბ) შეიცვლება უკვე არსებული საკომისიო(ებ)ის/საფასურ(ებ)ის/სხვა სახის გადასახდელი თანხების ტარიფების ოდენობა და/ან დაწესდება ახალი საკომისიო(ებ)ი/საფასურ(ებ)ი/სხვა სახის გადასახდელი თანხები და მათი ტარიფები.
2. ხელშეკრულებაში (მათ შორის იმ დოკუმენტებში და პირობებში, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ/განუყოფელ ნაწილს), ასევე საბანკო მომსახურების პირობებში, განხორციელებული ცვლილებები/დამატებები აისახება წინამდებარე დოკუმენტში, ხოლო ტარიფებში შესული ცვლილებები/დამატებები აისახება ბანკის შესაბამის დოკუმენტში. ცვლილებები/დამატებები ხელმისაწვდომი იქნება ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge.
3. ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლისათვის (მათ შორის, იმ ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლისათვის, რომელიც დაკავშირებულია საგადახდო მომსახურებასთან), საკმარისია ცვლილებები/დამატებები განთავსდეს ბანკის ვებგვერდზე www.procreditbank.ge, რის თაობაზეც, ბანკი, ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, შეატყობინებს კლიენტს ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის (წერილობით, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ინტერნეტ ბანკი, სატელეფონო ზარი და ა.შ.) საშუალებით. აღნიშნული ვადის დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ცვლილება/დამატება ხდება კლიენტის სასარგებლოდ, ასევე იმ ახალ საგადახდო მომსახურებაზე რომელიც არ ანაცვლებს და/ან არ ცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებას (მომსახურებებს).
4. ბანკს არ აქვს ცვლილებების/დამატებების შესახებ ინფორმაციის კლიენტისათვის შეტყობინების ვალდებულება, როდესაც ცვლილება/დამატება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ.
4[1]. ბანკის მიერ შეტანილი ცვლილებები ჩაითვლება კლიენტის მიერ დადასტურებულად, თუ ცვლილების ამოქმედებამდე ახალ პირობებზე კლიენტი არ განუცხადებს ბანკს უარს.
5. კლიენტი იღებს ვალდებულებას პერიოდულად გაეცნოს ბანკის ვებ გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ ინფორმაციას ცვლილებ(ებ)ის/დამატებების თაობაზე.

მუხლი 4. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს (მიუხედავად იმისა, განსაზღვრულია თუ არა ხელშეკრულების ვადა), შეწყვიტოს კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ან ყველა ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულება „მიმდინარე ანგარიშის გახსნისა და მომსახურების შესახებ“), რისთვისაც აუცილებელია კლიენტს აცნობოს ერთი თვით ადრე. წინამდებარე დოკუმენტის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ცვლილებებზე კლიენტის უარის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს ნებისმიერი ხელშეკრულება ცვლილებების ამოქმედების თარიღის შემდეგ.
2. კლიენტი უფლებამოსილია, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს (მიუხედავად იმისა, განსაზღვრულია თუ არა ხელშეკრულების ვადა), შეწყვიტოს ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი ან ყველა ხელშეკრულება, რისთვისაც აუცილებელია ბანკს აცნობოს წერილობით ერთი თვით ადრე. კლიენტს შეუძლია ისარგებლოს ზემოხსნებული უფლებით, თუ მას გასაუქმებელი ხელშეკრულებით, ან სხვა ნებისმიერი საფუძვლით, ბანკის მიმართ არ გააჩნია ფულადი ვალდებულება. კლიენტი უფლებამოსილია

წინამდებარე დოკუმენტის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ცვლილებების ამოქმედებამდე დაუყოვნებლივ (1 თვიანი ვადის დაცვის გარეშე) შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის განსაზღვრული ყოველგვარი საკომისიოს, ხარჯის და პირგასამტეხლოს გადახდის გარეშე.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული ვადების განმავლობაში მხარეები ვალდებულნი არიან აწარმოონ ერთმანეთთან საბოლოო ანგარიშსწორება (შეასრულონ ყველა ფულადი და არაფულადი სახის ვალდებულება, მათ შორის შეასრულონ ის ვალდებულებებიც, რომელთა შესრულების ვადა ჯერ დამდგარი არ არის).

მუხლი 5. ფორს მაჟორი

1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პერიოდში. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.
2. ფორს-მაჟორი გულისხმობს ისეთი გარემოებების არსებობას, რომელთა დადგომა, შეცვლა ან/და შეწყვეტა მხარეთა ნებაზე არ არის დამოკიდებული და რომლის დროსაც დაუძლეველი ძალის გამო შეუძლებელია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
3. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე, თუმცა ფორსმაჟორული გარემოებების არსებობა ხელს არ უშლის მხარეს შეწყვიტოს ხელშეკრულება წინამდებარე დოკუმენტში მოცემული წესით.

მუხლი 5[1]. დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა

1. წინამდებარე მუხლში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
   ა) დისტანციურად დადებული ხელშეკრულება – ბანკის მიერ მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით ბანკს და კლიენტს შორის სრულად დისტანციურად გაფორმებული საბანკო პროდუქტის ხელშეკრულება.
   ბ) დისტანციური საკომუნიკაციო საშუალება – ბანკის მიერ კლიენტისათვის საბანკო პროდუქტის შეთავაზებისა და მიწოდებისათვის გამოყენებული კომუნიკაციის საშუალება, რომელიც არ საჭიროებს ბანკის წარმომადგენლისა და კლიეტის ერთდროულ ფიზიკურ თანდასწრებას.
   გ) სანდო საშუალება – მონაცემთა შენახვის ნებისმიერი საშუალება, რომელიც კლიენტს საშუალებას აძლევს, შეინახოს პერსონალურად მისთვის განკუთვნილი ინფორმაცია ამ ინფორმაციის მიზნების შესაბამისი პერიოდის განმავლობაში და მოახდინოს შენახული ინფორმაციის უცვლელი სახით რეპროდუცირება.
   დ) ინტერნეტბანკი/მობაილბანკი – ინტერნეტში ჩართული მოწყობილობის მეშვეობით, ბანკის მიერ კლიენტისათვის მომსახურების გაწევის საშუალება, რომლითაც კლიენტს აქვს წვდომა საკუთარი პროდუქტების შესახებ ინფორმაციაზე ან/და შეუძლია სხვადასხვა ოპერაციის განხორციელება.
   ე) დაკავშრებული დისტანციური ხელშეკრულება - ბანკს და კლიენტს, ან კლიენტს და მესამე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულება ბანკს და აღნიშნულ მესამე მხარეს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.
   ვ) უარის თქმა - დისტანციურად გაფორმებულ ხელშეკრულებაზე კლიენტის მიერ ცალმხრივად უარის თქმის უფლება, რომელიც კლიენტს შეუძლია განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.
   ზ) ანგარიშსწორების ვადა - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე, რომელიც აითვლება კლიენტის მიერ დისტანციურად გაფორმებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმიდან.
2. კლიენტი უფლებამოსილია ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებაზე ხელშეკრულების დადების/მიღების დღიდან, 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ვადის ათვლა იწყება კლიენტის მიერ ხელშეკრულების დადების/მიღების დღიდან.
3. ხელშეკრულებაზე უარის თქმის გაცხადებისთანავე კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ანგარიშსწორების ვადაში დაუბრუნოს ბანკს ხელშეკრულებით მიღებული ყველა და ნებისმიერი სარგებელი სრულად და ერთდროულად (**„სარგებელი“** შეიძლება იყოს ნივთი (მაგ: ბარათი, დიჯიპასის მოწყობილობა და ა.შ.), ან ფულადი თანხა საკომისიოს/მომსახურების საფასურის და ა.შ. სახით).

4. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ ანგარიშსწორების ვადაში არ მოხდება ხელშეკრულებით მიღებული სარგებელის სრულად და ერთდროულად დაბრუნება, ან დააბრუნებს მხოლოდ ნაწილობრივ, ბანკი კლიენტს შეუწყვეტს დისტანციური პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის უფლებას.
5. თუ კლიენტი გამოიყენებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, არ დააბრუნებს ანგარიშსწორების ვადაში მიღებულ სარგებელს და აღნიშნულ პერიოდში, ან მისი დასრულების შემდეგ ხელშეკრულების სრულად შეწყვეტამდე კლიენტს დაუგროვდება ან დაერიცხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი, საკომისიო, ჯარიმა და ა.შ., კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს აღნიშნული გადასახდელი სრულად და ერთდროულად.
6. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლიენტი ერთდროულად, სრულად და დროულად დაუბრუნებს ბანკს ხელშეკრულებით მიღებულ სარგებელს, ბანკს წარმოეშობა ვალდებულება დაუბრუნოს კლიენტს ხელშეკრულებით მიღებული სარგებელი. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ორივე მხარე შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას.
7. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბანკი არ არის ვალდებული მიიღოს დაგვიანებული შესრულება, ან შესრულება ბანკის არასამუშაო დღეს/არასამუშაო საათებში. აქედან გამომდინარე ნებისმიერი პასუხისმგებლობა, მათ შორის წარმოშობილ ნებისმიერი სახის ზიანზე, რჩება კლიენტის მხარეს.
8. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში, კლიენტს ბანკის სასარგებლოდ დაეკისრება ხელშეკრულების შესაბამისად ბანკის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისა და პერიოდის პროპორციულად გადახდილი/გაწეული ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება, რაც ასევე მოიცავს ბანკის უფლებას კლიენტს დააკისროს ბანკის მიერ მესამე პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯის სრულად ანაზღაურება.
9. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში კლიენტს აუნაზღაურდება წინა პუნქტში მითითებული გადასახდელების გამოკლების შემდეგ დარჩენილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბანკს დაუბრუნებს ხელშეკრულებით მიღებულ ყველა და ნებისმიერ სარგებელს. ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად, დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ გაცნობილია დისტანციური ხელშეკრულების, შესაბამისი საბანკო პროდუქტის პირობებს, ტარიფებს და მომსახურების საკომისიოებს.
10. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასევე გაუქმდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება და ვეღარ ისარგებლებს დაკავშირებული ხელშეკრულებებით განსაზღვული მომსახურებით/პროდუქტით.
11. კლიენტის მხრიდან ხელშეკრულებაზე უარის თქმა უნდა განხორციელდეს იმავე დისტანციური არხით, სადაც მოხდება ხელშეკრულების კლიენტის მიერ დადასტურება, ან ინტერნეტ/მობაილ ბანკით.
12. ხელშეკრულებაზე უარის თქმის მოთხოვნის ინტერნეტ/მობაილ ბანკით გამოგზავნის შემთხვევაში, მოთხოვნაში კლიენტმა ნათლად და გარკვევით უნდა მიუთითოს რომელი ხელშეკრულების გაუქმება სურს (დასახელება, ხელშეკრულების ნომერი და თარიღი) და მისი საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერი.
13. ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული ურთიერთშესრულება და საბოლოო ანგარიშსწორება მხარეებმა უნდა განახორციელონ ერთდროულად, რისთვისაც მხარეები ვთანხმდებით ქვემოთ მოცემულ პირობებზე:
    13.1. მხარეთა მიერ ნივთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნება უნდა მოხდეს ფიზიკურად, ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის ცენტრში კლიენტის (ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელის) მოსვლით და ნივთის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით.
    13.2. მხარეთათვის ცნობილია, რომ ნივთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთმანეთისათვის დაბრუნება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ბანკის ფილიალის/სერვის ცენტრის სამუშაო დღეებში და სამუშაო საათების განმავლობაში. შესაბამისად, კლიენტი ვალდებულია ნივთის დაბრუნებისათვის მიმართოს ბანკს მხოლოდ სამუშაო დღეს და მხოლოდ სამუშაო საათების განმავლობაში.
    13.3. კლიენტისათვის ცნობილია ბანკის მუშაობის სპეციფიკა და დატვირთულობა. ასევე, ცნობილია, რომ ნივთის დაბრუნებას, საბოლოო ანგარიშსწორებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება/ხელმოწერას ჭირდება გარკვეული დრო. შესაბამისად, მომსახურების სრულყოფისა და კლიენტის მოთხოვნის დროულად დაკმაყოფილების მიზნებისათვის, კლიენტმა ნივთის დაბრუნებისა და საბოლოო ანგარიშსწორებისათვის მისთვის ხელსაყრელი დრო და ბანკის ფილიალი წინასწარ, არანაკლებ ერთი სამუშაო დრით ადრე უნდა შეატყობინოს ბანკს, იმ პირობით, რომ ამით არ დაირღვეს ანგარიშსწორების ვადა, ან გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული შესაძლო დაბრკოლებები.

13.4. კლიენტისათვის ცნობილია, რომ თუ ნივთის დაბრუნებისა და საბოლოო ანგარიშსწორებისათვის შეარჩევს ანგარიშსწორების ვადის ბოლო სამუშაო დღეს, ან სამუშაო დღის ბოლო საათებს, შესაძლებელია რიგების, კლიენტთა რაოდენობის, ტექნიკური მიზეზით ან სხვა ობიექტური გარემოების ვერ მოესწროს მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორება/ნივთის დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში დამდგარ ნებისმიერი სახის ზიანზე პასუხისმგებლობა რჩება კლიენტის მხარეს.

13.5. ბანკი არ არის პასუხიმგებელი წარმოშობილ ნებისმიერი სახის ზიანზე, თუ კლიენტი საბოლოო ანგარიშსწორებისათვის თავის ანგარიშზე თანხას ვერ განათავსებს ან/და ხელშეკრულებას ვერ შეწყვეტს საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის, ყადაღის, ინკასოს ან სხვა ნებისმიერი, ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით. ასევე, თუ ბანკი საბოლოო ანგარიშსწორებისათვის თანხას ჩარიცხავს კლიენტის საბანკო ანგარიშზე და კლიენტი ვერ შეძლებს თანხის განკარგვას სხვა, ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, მათ შორის, არსებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის, ყადაღის ან ინკასოს გამო.

14. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემდეგ მხარეთა შორის არსებული ფულადი ვალდებულებების შესრულება უნდა მოხდეს იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც მხარემ გადაიხადა თანხა ან რა ვალუტაც მითითებულია ხელშეკრულებაში (ხელშეკრულების დანართ(ებ)ში). ანგარიშსწორება შესაძლებელია მოხდეს კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე თანხის შეტანის/ჩარიცხვის გზით, ან კლიენტის არჩევანის მიხედვით შესაძლებელია თანხა გაიცეს მასზე სხვა გზით.

15. ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს კლიენტისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის შესრულება ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ ვალუტაში, მაგრამ თუ ბანკი გადაწყვეტს ასეთი შესრულების მიღებას, უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი თანხმობის და შეტყობინების გარეშე, მის ანგარიშზე არსებული თანხა დააკონვერტიროს ხელშეკრულების შესაბამის ვალუტაში, ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.

16. თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმას შედეგად მოყვება/შეიძლება მოყვეს კლიენტის მიმდინარე ანგარიშის დახურვა, ან სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი უარს ამბობს დისტანციურ ხელშეკრულებაზე, საბოლოო ანგარიშსწორებამდე კლიენტს არ აქვს უფლება დახუროს მიმდინარე ანგარიში. მიმდინარე ანგარიშის დახურვა ბანკის მიერ მოხდება საბოლოო ანგარიშსწორების მომდევნო სამუშაო დღეს. ამასთან, ბანკი ანგარიშს დახურავს კლიენტის მხრიდან დამატებითი მოთხოვნის გარეშე.

17. თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ კლიენტს ბანკის მიმართ არ ექნება დასაბრუნებელი დისტანციური ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული სარგებელი, ბანკი კლიენტს სარგებელს დაუბრუნებს ხელშეკრულებაზე უარის თქმისთანავე, გონივრულ ვადაში, კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, რის შესახებაც, ბანკი მოახდენს კლიენტის ინფორმირებას დაუყოვნებლივ, ბანკის ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში, კლიენტთან შეთანხმებული ნებისმიერი საკომუნიკაციო არხით.

18. თუ დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმას შედეგად მოყვება/უნდა მოყვეს მიმდინარე ანგარიშის დახურვა და ბანკს აქვს დასაბრუნებელი კლიენტისათვის სარგებელი/თანხა, კლიენტი ვალდებულია ბანკის მხრიდან თანხის დაბრუნებისთანავე (თავის მიმდინარე ანგარიშზე ასახვისთანავე), დაუყოვნებლივ მიიღოს თანხა სრულად, რათა ბანკმა შეძლოს მიმდინარე ანგარიშის დახურვა. თუ კლიენტი არ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას, ბანკი უფლებამოსილია კლიენტისათვის გადასახდელი თანხა შეინახოს ბანკის ანგარიშზე, რომელსაც არ დაერიცხება სარგებელი და გადაეცემა კლიენტს მისი ბანკში მოსვლის შემდეგ.

კარი III - კერძო ნაწილი

თავი I - საკონტაქტო მონაცემებისა და/ან საბანკო პლასტიკური ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის დაფიქსირების შესახებ ხელშეკრულება/შეთანხმება

მუხლი 6. საკონტაქტო მონაცემების დაფიქსირების შესახებ ხელშეკრულება

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„საკონტაქტო მონაცემების დაფიქსირების შესახებ“.**
2. ბანკი აფიქსირებს კლიენტის მიერ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებულ ინფორმაციას თავის მონაცემთა ბაზაში და გამოიყენებს მას კლიენტთან კომუნიკაციისათვის.
3. კლიენტი ასევე აცხადებს თანხმობას, ბანკისაგან მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის შეტყობინება მისი მონაცემების საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ები)ს ბაზაში გადაცემის შესახებ, ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და შეტყობინებები ბანკისგან წინამდებარე განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე ე.წ. მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) ან ავტომატური ხმოვანი

შეტყობინების, ელ–ფოსტის ან წერილის სახით. კომუნიკაციის ფორმას (SMS/ელ. ფოსტა/წერილი) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ირჩევს ბანკი თავისი შეხედულებისამებრ.

4. შეტყობინების წერილობითი ფორმით განხორციელების შემთხვევაში შეტყობინება ითვლება სათანადოდ ჩაბარებულად, თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა ან გაგზავნილია დაზღვეული წერილით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და დადასტურებულია უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.
5. კლიენტის შესახებ ბანკში არსებული საკონტაქტო მონაცემების შეცვლის და/ან გაუქმებისას კლიენტი ვალდებულია წერილობით აცნობოს ბანკს აღნიშნული ცვლილებ(ებ)ის/გაუქმების შესახებ და ბანკში წარმოადგინოს ახალი ინფორმაცია/მონაცემები. კლიენტის მიერ წერილობით შეტყობინებამდე ბანკი უფლებამოსილია იმოქმედოს ბანკში დაცული ინფორმაციის შესაბამისად (მათ შორის განახორციელოს შეტყობინების გაგზავნა ბანკში არსებულ კლიენტის საკონტაქტო რეკვიზიტებზე) და ასეთ შემთხვევაში ბანკის ნებისმიერი ქმედება სათანადო და მართლზომიერია და აქვს სრული იურიდიული შედეგები. ბანკში არსებულ კლიენტის უკანასკნელ საკონტაქტო რეკვიზიტებზე ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნისას, შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად და კლიენტისათვის ჩაბარებულად. ამასთანავე ბანკი არ აგებს პასუხს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევაზე და/ან დამდგარ ზიანზე.
6. (ამოღებულია).

მუხლი 6[1]. საბანკო პლასტიკური ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის დაფიქსირების შესახებ შეთანხმება

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება შეთანხმება **„საბანკო პლასტიკური ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის დაფიქსირების შესახებ“.**
2. ზემოაღნიშნული შეთანხმებით კლიენტი აფიქსირებს საბანკო პლასტიკური ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომერს (შემდგომში „ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომერი“), რომლზეც ბანკი უზრუნველყოფს ონლაინ შესყიდვის/ინტერნეტ ტრანზაქციის დადასტურებისთვის განკუთვნილი 3D კოდის (შესაბამისი უსაფრთხოების სტატუსის მქონე შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში) და/ან საბანკო პლასტიკური ბარათის გამოყენებით ოპერაციების დადასტურებისთვის დამატებითი უსაფრთხოების სხვა იდენტიფიკატორის/კოდის, საბანკო პლასტიკური ბარათის საწყისი PIN კოდის და/ან საბარათე ოპერაციასთან/ფინანსურ ტრანზაქციასთან დაკავშირებული საინფორმაციო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) ან/და აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კლიენტისათვის მიწოდებას.
3. ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის შეცვლისას კლიენტი ვალდებულია ბანკში დააფიქსიროს ახალი ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომერი. თუ საბანკო პლასტიკური ბარათის მფლობელი და მოსარგებლე ერთი და იგივე პირია, ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის შეცვლის/გაუქმების უფლება აქვს ხსენებულ პირს, ხოლო თუ ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე სხვადასხვა პირია, ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის შეცვლის უფლება აქვს მხოლოდ ბარათით მოსარგებლეს. ამასთან, ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის შეცვლის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს ბარათის მფლობელის ინფორმირებას, ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის შეცვლის თაობაზე.
4. საბანკო პლასტიკური ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის აქტივაცია (აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის ნომრის გამოყენება) განხორციელდება ამავე ნომერზე კლიენტისათვის წინასწარ გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინების საფუძველზე/შემდგომ.
5. ბანკში კლიენტის მიერ დაფიქსირებული და ერთობლივად აქტიური შეთანხმებული საკონტაქტო ნომრისა და ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის არსებობის შემთხვევაში, ონლაინ შესყიდვის/ინტერნეტ ტრანზაქციის დადასტურებისთვის განკუთვნილი 3D კოდის (შესაბამისი უსაფრთხოების სტატუსის მქონე შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში) ან საბანკო პლასტიკური ბარათის გამოყენებით ოპერაციების დადასტურებისთვის დამატებითი უსაფრთხოების სხვა იდენტიფიკატორის/კოდის, საბანკო პლასტიკური ბარათის საწყისი PIN კოდის და/ან საბარათე ოპერაციასთან/ფინანსურ ტრანსაქციასთან დაკავშირებული საინფორმაციო ხასიათის მოკლე

ტექსტური შეტყობინების (SMS) ან/და აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების მიზნებისთვის, შესაბამისი სერვისის ეტაპობრივად აქტივაციის შემდგომ, გამოიყენება მხოლოდ ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომერი.

თავი II - საბანკო ანგარიშები
საბანკო ანგარიშების საერთო დებულებები

მუხლი 7.

1. ბანკში ხორციელდება შემდეგი ტიპის ანგარიშებით მომსახურება:
   ა) მიმდინარე ტიპის ანგარიშები;
   ბ) საბარათე ანგარიშები;
   გ) სადეპოზიტო (საანაბრო) (მოთხოვნამდე და ვადიანი) ტიპის ანგარიშები.
2. ამ მუხლში მოცემული პირობები, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ყველა ანგარიშის მიმართ, თუ შესაბამისი ხელშეკრულებით და/ან სპეციალური დებულებებით განსხვავებული პირობები არ არის გათვალისწინებული.
3. კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს ბანკში ანგარიშის გასახსნელად საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
4. (ამოღებულია);
5. ბანკი უფლებამოსილია არ ასახოს კლიენტის ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო წესით შემოსული თანხები, თუ კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები სწორად და სრულად არ არის მოცემული საგადახდო დავალებაში ან შესაბამის დოკუმენტში, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს სახსრების ანგარიშზე ასახვა.
6. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სავალუტო ჩარიცხვისას IBAN–ის ფორმატის ანგარიში სწორია, ხოლო კლიენტის დასახელება არის განსხვავებული და შეუძლებელია მიმღები პირის იდენტიფიკაცია, ბანკი უფლებამოსილია არ განახორციელოს ჩარიცხვა.
7. ბანკი უფლებამოსილია დააკისროს კლიენტს ჯარიმა ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხების გამოყენებისათვის გამოყენებული თანხის 0,5 %-ის ოდენობით. ჯარიმის დარიცხვა დაიწყება კლიენტის ინფორმირებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის შემდეგ და დაერიცხება უსაფუძვლო სარგებლობის ყოველი დღეზე. აღნიშნული პუნქტიდან გამომდინარე, კლიენტის ინფორმირებისათვის ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ნებისმიერი საკომუნიკაციო არხი. კონკრეტულ შემთხვევაში საკომუნიკაციო არხის ცალმხრივად არჩევა მოხდება ბანკის მიერ და ბანკი პასუხს არ აგებს ამ ვალდებულების დარღვევისთვის თუ ინფორმაციის მიუწოდებლობა გამოწვეულია კლიენტის ბრალით.
8. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კლიენტის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა მხოლოდ შესაბამისი დავალების (ნებართვის, განკარგულების) საფუძველზე, თუ კანონით, წინამდებარე დოკუმენტით, ან/და ბანკსა და კლიენტს შორის ხელშეკრულებით ან სხვა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კლიენტი გადახდის ოპერაციის შესრულების დროს აცხადებს თანხმობას მატერიალურ ან ელექტრონულ საბუთზე ხელმოწერით, ან ელექტრონული ავტორიზაციით. საგადახდო დავალების სათანადოდ შესასრულებლად, კლიენტი ვალდებულია მიაწოდოს ბანკს საგადახდო ოპერაციის შესრულებისთვის აუცილებელი ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge მითითებული რეკვიზიტები. გარდა ამისა, კონკრეტული გადახდის ოპერაციიდან გამომდინარე, ბანკი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კლიენტისგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტი.
9. ბანკი უფლებამოსილია თანხის მესაკუთრის (თავად ბანკი, ან სხვა (მესამე) პირი) სასარგებლოდ, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, უაქცეპტოდ, განახორციელოს კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული იმ თანხის ჩამოწერა კლიენტის ანგარიშიდან, რომელიც არ ეკუთვნის კლიენტს. იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული თანხის ჩამოწერის მომენტისათვის, კლიენტის ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხა, ბანკი უფლებამოსილია, კლიენტისაგან დამატებით თანხმობისა და აქცეპტის გარეშე,

ჩამოწეროს თანხა ანგარიშიდან და მიაკუთვნოს იგი კლიენტის საკრედიტო ვალდებულებას ბანკის წინაშე (სესხი, ოვერდრაფტი და ა.შ.).

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული ბანკის უფლებისაგან დამოუკიდებლად, კლიენტი ვალდებულია ანგარიშზე ჩარიცხული ის თანხა, რომელიც არ ეკუთვნის კლიენტს, სრულად დაუბრუნოს ბანკს თანხის ჩარიცხვის შესახებ ინფორმირებიდან არაუგვიანეს ერთ დღეში.
11. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით ან/და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში უაქცეპტოდ ჩამოწეროს შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან კრედიტორების ანგარიშებზე ჩასარიცხად.
12. ბანკი ვალდებულია მოთხოვნისთანავე მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია მისი ანგარიშის მდგომარეობის შესახებ ამონაწერის ფორმით.
13. ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს შესასრულებლად დავალება საბანკო მომსახურების განხორციელებაზე, თუ დავალება წარდგენილია ბანკში მოქმედი წესების დარღვევით, შეიცავს არაზუსტ მითითებებს ან წარმოდგენილია არასწორი უნიკალური იდენტიფიკატორის მითითებით, მასში აღნიშნული თანხა აღემატება ანგარიშზე რიცხულ ფაქტობრივ ნაშთს და/ან ანგარიშზე არ არის შესაბამისი საკომისიოს ჩამოჭრისათვის საკმარისი თანხა ან მისი შესრულება მართლსაწინააღმდეგოა ან/და ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.
14. ბანკი ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული:
    ა) მოახდინოს თანხების გადარიცხვა კლიენტის საგადახდო დავალების შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ის არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.
    ბ) მიიღოს კლიენტისგან, გასცეს მასზე, ან გასცეს მისი დავალებით ნაღდი ფული.
    გ) განიხილოს წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად „ანგარიშის სტანდარტი“-ზე გადაყვანილი კლიენტის მოთხოვნა, ხოლო კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის შემდეგ, მოახდინოს მისი 29^4 – 29^8 მუხლებში მოცემულ ნებისმიერ საბაზისო საბანკო პროდუქტზე გადაყვანა კლიენტის არჩევანის შესაბამისად.

14^1. ამ დოკუმენტის მე-14 პუნქტში მითითებული ვადა შესაძლებელია შეიცვალოს კლიენტთან შეთანხმებით.

14^2. ნაღდი ფულით მომსახურება შესაძლებელია განხორციელდეს ბანკის ფილიალებში და 24/7 თვითმომსახურების სივრცეში განთავსებული მანქანებით. ნაღდი თანხის შეტანა შესაძლებელია პლასტიკური ბარათის; სწრაფი გადახდის აპარატის; სადეპოზიტო კოდის; სადეპოზიტო სეიფის საშუალებით. ნაღდი თანხის გატანა შესაძლებელია პლასტიკური ბარათის; გასავლის კოდის საშუალებით.

15. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მხრიდან გადარიცხვის ვალდებულების შესრულების კალენდარული თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, ბანკი ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს მომდევნო სამუშაო დღეს.
16. კლიენტი ვალდებულია საგადახდო დავალების წარდგენიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში თავად გადაამოწმოს შესრულდა თუ არა საგადახდო დავალება, ხოლო ბიუჯეტში გადასარიცხად წარდგენილი საგადახდო დავალებების შემთხვევაში ეს ვადა განისაზღვროს საგადახდო დავალების წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

16^1. თუ საგადახდო დავალება არ/ვერ სრულდება ბანკის მიერ, მაშინ ბანკი ვალდებულია შეატყობინოს/ ან აცნობოს კლიენტს ამის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით მობილური ტელეფონის დაფიქსირებულ ნომერზე შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, მაგრამ არაუგვიანეს საგადახდო დავალების შესრულების ვადისა. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ბანკი ვალდებულია მიუთითოს უარის თქმის საფუძველი და მიაწოდოს ან სხვაგვარად გახადოს ხელმისაწვდომი იმ ფაქტობრივი ხარვეზების გამოსწორების პროცედურა, რომლებმაც განაპირობა უარის თქმა, თუ ასეთი ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია დააწესოს გონივრული ოდენობის საკომისიო, თუ უარი ობიექტურად არის დასაბუთებული და იგი განპირობებულია მომხმარებლის მიზეზით;

16[2]. თუ გადახდის ოპერაცია კლიენტის მიზეზით არასწორად შესრულდა, ბანკი უფლებამოსილია მომხმარებელს დაუწესოს საკომისიო თანხის დაბრუნებისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

17. კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს საბანკო ანგარიშები სამეწარმეო საქმიანობისათვის, თუ ის არ არის რეგისტრირებული შესაბამისი ფორმით/სტატუსით, და/ან მისი იურიდიულ სამართლებრივი ფორმა კრძალავს ასეთი საქმიანობის წარმართვას. ამ პირობის დარღვევიდან გამომდინარე ყველა შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

18. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის, რომლის ანგარიშებიც არის უმოძრაო, წინასწარი შეტყობინების/გაფრთხილების გარეშე, ცალმხრივად, შეწყვიტოს მასთან გაფორმებული საბანკო მომსახურების ნებისმიერი ხელშეკრულება და დახუროს ანგარიშები.

19. ხელშეკრულების შეწყვეტა (რომლის საფუძველზეც გახსნილია ანგარიში) იწვევს ანგარიშის დახურვას.

20. ბანკი ფილიალში კლიენტისგან საგადახდო დავალებას იღებს სამუშაო დღეებში კლიენტთა მომსახურების საათებში. ბანკის მიერ საგადახდო დავალების დამუშავება ხორციელდება სამუშაო დღეებში 10:00-დან 17:30-მდე. აღნიშნული დროის შემდეგ ბანკი წყვეტს საგადახდო დავალების მიღებას მიმდინარე სამუშაო დღისათვის, ხოლო აღნიშნული საათების შემდეგ მიღებული საგადახდო დავალება ითვლება მომდევნო სამუშაო დღეს მიღებულად; ბანკის ფილიალების სამუშაო განრიგის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.procreditbank.ge.

20[1]. ბანკი ასევე ვალდებულია, საგადახდო დავალების მიღების დღეს მხარეებს შორის შეთანხმებული ფორმით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აცნობოს გადამხდელს საგადახდო დავალების მიღება ან სხვაგვარად გახადოს ეს ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომი.

21. ბანკის მიერ გადახდის ოპერაციის თანხით კლიენტის ანგარიშის დადებეტების შემდეგ, ბანკმა კლიენტს (საგადახდო დავალების ასლის გადაცემით ან ინტერნეტ ბანკის მეშვეობით) უნდა მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია:
    21.1. გადახდის ოპერაციის (ტრანზაქციის) უნიკალური კოდი,
    21.2. თანხა, ვალუტა, საგადახდო დავალების მიღების თარიღი;
    21.3. კლიენტის მიერ გადახდილი ყველა საკომისიო;
    21.4. თუ გადახდის ოპერაციის შესრულება დაკავშირებულია ვალუტის კონვერტაციასთან, მაშინ გადახდის ოპერაციის შესასრულებლად გამოყენებული ვალუტის გაცვლითი კურსი და კონვერტაციის შედეგად მიღებული თანხა და ვალუტა;

22. კლიენტი უფლებამოსილია, ზეპირად ან ბანკთან შეთანხმებული ფორმით, მოითხოვოს შემდეგი ინფორმაცია:
    22.1. ინფორმაცია საგადახდო მომსახურების განსახორციელებლად საჭირო ბანკის მიერ დადგენილი მაქსიმალური დროის შესახებ;
    22.2. კლიენტის მიერ ბანკისათვის გადასახდელი ყველა სახის საკომისიო.

23. თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია, კლიენტის მიერ მოთხოვნილი ფორმით მიაწოდოს (გახადოს ხელმისაწვდომი) შემდეგი სახის ინფორმაცია გადახდის ოპერაციის შესახებ:
    23.1. გადახდის ოპერაციის (ტრანზაქციის) უნიკალური კოდი, თანხა, ვალუტა, კლიენტის მიერ გადასახდელი ყველა სახის საკომისიო;
    23.2. თუ გადახდის ოპერაციის შესრულება დაკავშირებულია ვალუტის კონვერტაციასთან, მაშინ გადახდის ოპერაციის შესასრულებლად გამოყენებული ვალუტის გაცვლითი კურსი, რომლის საფუძველზეც მიმღების მომსახურე ბანკმა მოახდინა თანხის კონვერტაცია და ასევე, კონვერტაციამდე არსებული თანხა და ვალუტა;
    23.3. ანგარიშზე ჩარიცხვის (დაკრედიტების) თარიღი.

24. ბანკი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რაც მიადგა კლიენტს გადახდის ოპერაციის შეუსრულებლობის, არასწორად ან/და ვადის დარღვევით შესრულების გამო.
    24.1. არაავტორიზებული, არასწორად შესრულებული ან შეუსრულებელი ოპერაციის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია აუნაზღაუროს კლიენტს ზიანი, ხარჯი ან მიუღებელი სარგებელი იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ დაცულია ამ დოკუმენტში მითითებული უსაფრთხოების

მოთხოვნები, შეტყობინების ვადები და თუ ეს ზიანი გამოწვეულია ბანკის ბრალეულობით. ასეთ შემთხვევაში, თუ ბანკი დაადგენს, რომ არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული/შეუსრულებელი ოპერაცია გამოწვეულია მისი ბრალეულობით, კლიენტისათვის თანხის უკან დაბრუნება/დაკრედიტება ან ანაზღაურება მოხდება ბანკის მიერ გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, კლიენტის იმავე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, თუ მხრეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

24.2. თუ გადამხდელის მიერ ინიცირებული გადახდის ოპერაცია არ შესრულდა ან შესრულდა არასწორად, ბანკი ვალდებულია, გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები გადახდის ოპერაციის მოკვლევის მიზნით და შედეგი აცნობოს გადამხდელს. ბანკი ვალდებულია აღნიშნული ქმედებები გადამხდელისთვის განახორციელოს უსასყიდლოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდის ოპერაციის შესრულებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა და ამავდროულად, ოპერაციის შეუსრულებლობა ან არასწორად შესრულება გამოწვეული იყო მომხმარებლის მიზეზით.

24.3. ბანკი თავისუფლდება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან თუ დადგინდება, რომ მომხმარებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა თაღლითურ ქმედებას, განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთვევაში.

25. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 30 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge. ***(ძალადაკარგულია 2026 წლის 01 აპრილიდან)***
[„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge. ***(ამოქმედდეს 2026 წლის პირველი აპრილიდან)***]

26. (ამოღებულია).

27. ბანკი ვალდებულია უსასყიდლოდ განიხილოს საგადახდო მომსახურებიდან წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული კლიენტის საჩივარი. ბანკს აღნიშნული საჩივარი წარედგინება ზეპირი ან წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული) ფორმით. ბანკი ვალდებულია, წარდგენილი საჩივრის მიღება მისი მიღების დღეს კლიენტს დაუდასტუროს მატერიალური ფორმით, ან მომხმარებელთან შეთანხმებით, სხვა ხანგრძლივი მატარებლით. საჩივრის ზეპირი ფორმით წარდგენის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია კლიენტს შესთავაზოს წერილობითი საჩივრის წარდგენა ან კლიენტის თანხმობით, განახორციელოს საჩივრის აუდიოჩაწერა. საჩივრის მიღების დღედ ითვლება კლიენტის მიერ ბანკისთვის საჩივრის წარდგენის სამუშაო დღე. თუ საჩივარი წარდგენილ იქნა არასამუშაო დღეს, მიღების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე. ბანკი ვალდებულია განიხილოს საგადახდო მომსაურებიდან წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება და გააცნოს იგი კლიენტს საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 55 სამუშაო დღის ვადაში. კლიენტი უფლებამოსილია, განსახილველ საჩივართან დაკავშირებით, ბანკისთვის საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, რომელიც დავას განიხილავს უსასყიდლოდ.

მუხლი 7[1]. უმოძრაო ანგარიშების მომსახურება და დახურვა

1. ბანკის მიერ ინიცირებული ოპერაციები - ისეთი ოპერაციები, რომლებიც სრულდება პროგრამის მიერ ავტომატურ რეჟიმში, ან ბანკის თანამშრომლის მიერ. ეს ოპერაციებია:
   - საბანკო მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა;
   - ანაბრებზე და სესხზე (მათ შორის ოვერდრაფტზე) სარგებლის (პროცენტი, ჯარიმა) დარიცხვა / რეალიზაცია;
   - საინკასო დავალებით გადარიცხვა;
   - ჩარიცხვა სხვა ბანკიდან;
2. კლიენტის მიერ ინიცირებული ოპერაციები – ყველა ოპერაცია, რომელიც არ განეკუთვნება ბანკის მიერ ინიცირებულ ოპერაციებს.
3. უმოძრაო ანგარიში – ანგარიში, რომელზეც ბოლო უწყვეტი 12 თვის განმავლობაში არ განხორციელებულა კლიენტის მიერ ინიცირებული ოპერაციები. (უმოძრაო ანგარიშზე შესაძლებელია იყოს ნაშთი);
4. უმოძრაო ანგარიშების მქონე კლიენტი – კლიენტი, რომლის ყველა ანგარიში უმოძრაოა;

4[1]. უმოძრაო კლიენტი – კლიენტი, ვისაც არცერთ მიმდინარე და შემნახველი ტიპის ანგარიშზე ბოლო უწყვეტი 12 თვის განმავლობაში არ განუხორციელებია მის მიერ ინიციირებული საბანკო ოპერაცია(ები) და არ აქვს მიმდინარე სესხი, ან მოქმედი ვადიანი ტიპის ანაბარი/სადეპოზიტო სერტიფიკატი.

5. კლიენტების უმოძრაო ანგარიშებზე/უმოძრაო კლიენტებზე კონტროლის გამკაცრებისა და არასანქცირებული საბანკო ოპერაციებისაგან თავდაცვის მიზნით უმოძრაო ანგარიშებზე/უმოძრაო კლიენტებზე იკრძალება კლიენტის მიერ ინიცირებული ოპერაციების ჩატარება, გარდა კლიენტის ან მესამე პირის მიერ უმოძრაო ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციისა.
6. უმოძრაო ანგარიშის მქონე კლიენტის/უმოძრაო კლიენტის, როდესაც კლიენტის ყველა ანგარიში უმოძრაოა, ანგარიშების გააქტიურება დასაშვებია მხოლოდ კლიენტის ან კლიენტის უფლებამოსილი პირის ბანკში გამოცხადების და/ან მომართვის შემთხვევაში. უმოძრაო ანგარიშზე/უმოძრაო კლიენტზე რაიმე კლიენტის მიერ ინიცირებული ოპერაციის განხორციელება არ იწვევს უმოძრაო ანგარიშის/უმოძრაო კლიენტის და/ან უმოძრაო ანგარიშების მქონე კლიენტის ავტომატურად გააქტიურებას.
7. უმოძრაო ანგარიშის მქონე კლიენტის ანგარიშები ბანკის ინიციატივით იხურება თუ უმოძრაო ანგარიშების მქონე კლიენტის ყველა უმოძრაო ანგარიშზე ნაშთი არის 0 და ამ კლიენტის სხვა (დანარჩენ) ანგარიშებზე ნაშთი ასევე არის 0.
8. (ამოღებულია).

მუხლი 7[2]. გადასახდელად უვარგისი უცხოური ვალუტის ბანკნოტების კლიენტისათვის უკან დაბრუნება

1. აღნიშნული მუხლი ვრცელდება კლიენტის მიერ საგადახდო სისტემების/ინსტრუმენტების საშუალებით, მათ შორის აპარატებით ან სხვა ტექნიკური საშუალებით, საკუთარ ან მესამე პირის ანგარიშზე თანხის განთავსების შედეგად, გადახდილი თანხიდან, გადასახდელად უვარგისი უცხოური ვალუტის (ევრო და აშშ დოლარი) ბანკნოტებზე.
2. გადასახდელად უვარგის უცხოური ვალუტის ბანკნოტად მიიჩნევა შემდეგი დაზიანების მქონე ბანკნოტი:
   2.1. მნიშვნელოვნად დაზიანებული, მათ შორის დახეული/ჩახეული, დაფლეთილი და ნებისმიერი გზისა და საშუალების გამოყენებით შეწებებული ბანკნოტი;
   2.2. ბანკნოტი რომელსაც პირვანდელი შეფერილობა აქვს დაკარგული ან/და მნიშვნელოვნად გაუფერულებული;
   2.3. ბანკნოტი, რომელიც ნაწილობრივ დამწვარია, აღენიშნება გვერდების, ბანკნოტის ზედაპირის ან დამცავი ნიშნების დაზიანებები, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწვრობით;

2.4. ზეთით, საღებავით, მელნით ან ნებისმიერი სახის ქიმიური ნივთიერებითა თუ რეაქტივების სრულად ან 30%-ზე მეტად დასვრილი/დაზიანებული ბანკნოტი;
2.5. სრულად ან ნაწილობრივ დაობებული ბანკნოტი, მიუხედავად ობის ზომისა და დაზიანების ხრისხისა;
2.6. ფიზიკური ზემოქმედებით დაზიანებული ბანკნოტი, სადაც შეცვლილია ძირითადი სურათი, პორტრეტი, ნომინალი, ამოცლილია/დაზიანებულია დამცავი ძაფი, აღინიშნება წარწერები, რაც აძნელებს ბანკნოტის გარჩევას და ა.შ.;
2.7. ბანკნოტი, რომელსაც აღენიშნება ერთმნიშვნელოვანი ბეჭდური ხარვეზები, როგორიცაა წყლის ნიშნის, დამცავი ძაფის არარსებობა, დაზიანება, შეცვლა ან არასათანადო მდებარეობა, ასევე სადაც აღინიშნება გამოსახულების ბეჭდური სიფერმკრთალე;
2.8. ბანკნოტის გეომეტრიული ზომის 3 (სამი) მილიმეტრზე მეტად ცვლილება; (შემცირება/გაზრდა)
2.9. 1974 წლამდე გამოშვებული უცხოური ვალუტის ბანკნოტები, მიუხედავად იმისა, ფიზიკურად დაზიანებულია თუ არა.

3. კლიენტის მიერ საგადახდო სისტემების/ინსტრუმენტების საშუალებით შემოტანილი თანხა ბანკის თანამშრომლის მიერ შემოწმდება და გადაითვლება თანხის შემოტანიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
4. იმ შემთხვევაში თუ თანხის გადათვლისა და შემოწმების დროს აღმოჩნდება, რომ კლიენტის მიერ შემოტანილი უცხოური ვალუტის ბანკნოტი/ბანკნოტები არის გადასახდელად უვარგისი, ბანკი უფლებამოსილია ანგარიშის მფლობელის დამატებითი თანხმობისა და დასწრების გარეშე, გადასახდელად უვარგისად ჩათვლილი ბანკნოტების შესაბამისი ოდენობის თანხა აღრიცხოს დანაკლისად;
5. თანხის დანაკლისად აღრიცხვის შემდეგ, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, ანგარიშის მფლობელისაგან დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩამოჭრას შესაბამისი ოდენობის თანხა მისი ნებისმიერი ანგარიშიდან, ამისათვის ბანკი ასევე უფლებამოსილია ანგარიშის მფლობელის ნებისმიერ ანგარიშზე არსებული თანხა კლიენტის ხარჯზე დააკონვერტიროს შესაბამის ვალუტაში, ბანკის მიმდინარე კომერციული კურსის შესაბამისად;
6. ანგარიშის მფლობელს უფლება აქვს ბანკის მიერ გადასახდელად უვარგისად მიჩნეული ბანკნოტები უკან დაიბრუნოს ბანკის მხრიდან შესაბამისი შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ბანკის მიერ დაბრუნებისათვის განსაზღვრული ფილიალისათვის მიმართვის გზით. დაბრუნებას არ ექვემდებარება საეჭვო ბანკნოტები;
7. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ბანკი არ არის ვალდებული დამატებით შეატყობინოს კლიენტს გადასახდელად უვარგისად მიჩნეული ბანკნოტ(ებ)-ის დაბრუნების თაობაზე. ასეთი ბანკნოტ(ებ)ი შეინახება ბანკში, ბანკის მიერ განსაზღვრულ ადგილას და დაუბრუნდება კლიენტს, მის მიერ ბანკისათვის წერილობითი მომართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
8. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის მფლობელის ანგარიშ(ებ)ზე დანაკლისის აღრიცხვის დროს არ აღმოჩნდება დანაკლისის დასაფარად საკამრისი თანხა, აღნიშნული გამოიწვევს ანგარიშის მფლობელი კლიენტის არასანქცირებულ ოვერდრაფტში გასვლას/არასანქცირებული ოვედრაფტის ამოქმედებას იმ ოდენობით, რა ოდენობით თანხა დარჩება დაუფარავი;
9. ამ მუხლის მიზნებისათვის, არასანქცირებული ოვერდრაფტის ამოქმედება გულისხმობს საგადახდო სისტემებით/ინსტრუმენტებით (პლასტიკური ბარათებით და ა.შ.) განხორციელებული ტრანზაქცი(ებ)ით გადახდილი თანხიდან, ბანკის მიერ გადასახდელად უვარგისად მიჩნეული ბანკნოტების გამო, ანგარიშის მფლობელის ანგარიშ(ებ)ზე აღრიცხული დანაკლისის შედეგად წარმოქმნილ ოვერდრაფტს (სადებეტო სალდო/დავალიანება);
10. ანგარიშის მფლობელის არასანქცირებულ ოვერდრაფტში გასვლა გამოიწვევს არასანქცირებული ოვერდრაფტის სრულ თანხაზე წლიური 36%-ი დარიცხვას. დარიცხვა დაიწყება ბანკის მიერ ანგარიშის მფლობელის ანგარიშ(ებ)ზე არასანქცირებული ოვერდრაფტის ამოქმედებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის შემდეგ და გაგრძელდება მანამ, სანამ სრულად არ დაიფარება არასანქცირებული ოვერდრაფტის თანხა, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
11. თანხის გადათვლის შემდეგ ბანკის მიერ დანაკლისის ანაზღაურების მიზნით ანგარიშის მფლობელის ანგარიშ(ებ)იდან ჩამოჭრილი თანხის და გადასახდელად უვარგისად მიჩნეული ბანკნოტ(ებ)ის უკან დაბრუნების შესახებ, შესაბამისი მოქმედებების დღესვე ეცნობება ანგარიშის მფლობელს მასთან შეთანხმებული ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ინტერნეტ ბანკი, სატელეფონო ზარი და ა.შ.) საშუალებით;
12. ანგარიშის მფლობელის მიმართ არასანქცირებული ოვერდრაფტის დაფარვის მოთხოვნით შესაბამისი შეტყობინებების სიხშირე განისაზღვრება ცალმხრივად ბანკის მიერ;

13. შესაბამისი დანაკლისის აღმოჩენისა და აღრიცხვის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს/დაასრულოს ანგარიშის მფლობელის მიერ შესასრულებლად წარმოდგენილი ის საგადახდო დავალება, რომელიც ჯერ კიდევ დაუსრულებელია (გარდა სახელმწიფო ბიუჯეტში განსახორციელებელი გადარიცხვის შესახებ წარმოდგენილი საგადახდო დავალებისა) და აღნიშნული თანხა მიმართოს დანაკლისის დასაფარად, რის თაობაზეც ანგარიშის მფლობელის ინფორმირება მოხდება დადგენილი წესით;
14. იმ შემთხვევაში თუ, არასანქცირებული ოვერდრაფტი არ დაიფარება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ბანკი უფლებამოსილია არასანქცირებული ოვერდრაფტის სრულად დაფარვამდე დაბლოკოს კლიენტის სახელზე არსებული ნებისმიერი საგადახდო ინსტრუმენტის მოქმედება, შეზღუდოს/შეაჩეროს მისი გამოყენება იმ ვადით, სანამ არ დაიფარება სრულად არასანქცირებული ოვერდრაფტის დავალიანება, ან/და მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნებისმიერ ღონისძიებას, მათ შორის, მიმართოს სარჩელით სასამართლოს ან წარადგინოს განცხადება სააღსრულებო ბიუროში გამარტივებული საქმისწარმოების დაწყების მოთხოვნით.

საბანკო ანგარიშების სპეციალური დებულებები

მუხლი 8. მიმდინარე ანგარიშები ფიზიკური პირებისთვის

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება **„მიმდინარე ანგარიშის გახსნისა და მომსახურების შესახებ"** ხელშეკრულება და/ან მისი დანართი. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ და შემადგენელ ნაწილს.
2. მიმდინარე ანგარიში არის საბანკო ანგარიში, რომლებზეც აღირიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით.
3. ფიზიკური პირისთვის შესაძლებელია მხოლოდ ერთვალუტიანი საბანკო ანგარიშის გახსნა. აღნიშნულ ანგარიშზე შესაძლებელია ტრანზაქციების განხორციელება მხოლოდ ერთ კონკრეტულ ვალუტაში, რომლებიც დაშვებულია ბანკში ოპერაციების საწარმოებლად.
4. კლიენტი უფლებამოსილია გახსნას მაქსისმუმ სამი ერთვალუტიანი ანგარიში ლარის, აშშ დოლარისა და ევროს ვალუტაში. ფიზიკური პირისათვის ერთ ვალუტაში ერთზე მეტი მიმდინარე ანგარიშის გახსნა დასაშვებია.

მუხლი 8[1]. მიმდინარე ანგარიშები იურიდიული პირებისა და ორგანიზაციული წარმონაქმნებისთვის, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს

1. ბანკსა და კლიენტს (გარდა ფიზიკური პირებისა) შორის ფორმდება **„მიმდინარე მულტისავალუტო ანგარიშის გახსნისა და მომსახურების შესახებ"** ხელშეკრულება და/ან მისი დანართი. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ და შემადგენელ ნაწილს.
2. მიმდინარე ანგარიში არის საბანკო ანგარიში, რომლებზეც აღირიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით.
3. კლიენტისათვის (გარდა ფიზიკური პირებისა) ხდება მულტისავალუტო საბანკო ანგარიშის გახსნა. აღნიშნულ მულტისავალუტო ანგარიშზე შესაძლებელია ტრანზაქციების განხორციელება ყველა იმ ვალუტაში, რომლებიც დაშვებულია ბანკში ოპერაციების საწარმოებლად.

მუხლი 8[2]. მიმდინარე ანგარიში ოფსეტ ფუნქციით

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება „მიმდინარე ანგარიშის გახსნისა და მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი ოფსეტ ფუნქციის გააქტიურების თაობაზე".
2. ოფსეტი არის ფუნქცია იპოთეკური მიზნობრიობით გაცემული საბანკო კრედიტისთვის, გარდა სუბსიდირებული იპოთეკური სესხისა (შემდგომში „იპოთეკური სესხი"), რომლის საშუალებით და რომლის აქტივაციის შემდეგაც, შესაძლებელია სესხზე საპროცენტო დანახარჯის შემცირება

ანგარიშზე ფულადი თანხების/ნაშთის განთავსებისა და სესხზე დარიცხული პროცენტის ყოველდღიური დაანგარიშების გზით.

3. ოფსეტ ფუნქციით სარგებლობის შემთხვევაში, იპოთეკურ სესხზე დასარიცხი პროცენტი დაანგარიშდება შემდეგი მეთოდით: სესხის დაფარვის დროს მოხდება მიმდინარე სესხზე დარიცხული პროცენტის კორექტირება ოფსეტის ანგარიშზე ყოველი კალენდარული დღის ბოლოს დაფიქსირებული ნაშთის მიხედვით აკუმულირებული სარგებლის თანხით, ოფსეტ ფუნქციის გააქტიურების თაობაზე ხელშეკრულებით განსაზრვრული დაზოგვის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრების გათვალისწინებით. ამასთან, ოფსეტის ანგარიშიდან მიღებული სარგებელი განისაზღვრება სესხის ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს მინუს 3% (სამი პროცენტული პუნქტით ნაკლები), რის შედეგადაც სესხის დაფარვისას განხორციელებული პროცენტის კორექტირება განხორციელდება ზემოაღნიშნული სარგებლის განაკვეთის საფუძველზე.
4. ზემოაღნიშნული ფუნქციით ანგარიშის გამოყენა შესაძლებელია შემდეგი პირობების დაცვით:
   4.1. ოფსეტის ფუნქციის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ მიმდინარე ტიპის ანგარიშის გახსნის გზით და მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის;
   4.2. ოფსეტის ფუნქციის აქტივაცია შესაძლებელია ცალკეული იპოთეკური სესხისთვის ინდივიდუალურად;
   4.3. ოფსეტის ანგარიში შესაძლებელია გაიხსნას ლარში/აშშ დოლარში/ევროში. ამასთან, ოფსეტის ანგარიშის ვალუტა არ უნდა განსხვავდებოდეს კლიენტის იპოთეკური სესხის ვალუტისაგან;
   4.4. ოფსეტის ანგარიშზე განთავსებულ თანხას არ დაერიცხება საპროცენტო სარგებელი;
   4.5. კლიენტის მიერ ოფსეტის ანგარიშზე განთავსებული თანხ(ებ)ის განკარგვა (შეტანა/გამოტანა/ჩარიცხვა/გადარიცხვა/კონვერტაცია და სხვ.) შეუზღუდავია; ამასთან, აღნიშნული ანგარიში არ წარმოადგენს საბარათე ანგარიშს;
   4.6. მინიმალური ზღავრი სადამდეც შესაძლებელია, ოფსეტის ფუნქციის გამოყენებით შემცირდეს იპოთეკურ სესხზე თვიურად დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი, შეადგენს იპოთეკური სესხის მიმდინარე ნაშთის 50%-ს; შესაბამისად, პროცენტის დარიცხვისას არ გაითვალისწინება ოფსეტის ანგარიშზე განთავსებული თანხის ის ნაწილი რომელიც აღემატება იპოთეკური სესხის მიმდინარე სალდოს 50%-ს.
5. თუ ოფსეტის ანგარიშზე დღის ბოლოს დაფიქსირებული ნაშთი ნაკლებია 100 (ასი) ერთეულზე (ლარი/აშშ დოლარ/ევრო), მაშინ ოფსეტის ფუნქცია არ გამოიყენება და კლიენტი ვერ ისარგებლებს ოფსეტის ფუნქციით განსაზღვრული შეღავათით.
6. იპოთეკური სესხის წინსწრებით სრული ან ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში დაიფარება ვადაზე ადრე დაფარვის დღისთვის ოფსეტის ანგარიშზე დაზოგილი თანხა. ამასთან სესხის მთელი კაპიტალის ან ნაწილის ვადამდე დაფარვისას უპირატესად დაიფარება ვადაზე ადრე დაფარვის დღისათვის ოფსეტის ფუნქციით დაზოგილი პროცენტის ნაშთი. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ოფსეტის ფუნქციით დაზოგილი თანხით იფარება მხოლოდ იპოთეკურ სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი.
7. ოფსეტის ფუნქციის გაუქმება და ოფსეტის ანგარიშის დახურვა შესაძლებელია იპოთეკური სესხის არსებობის ნებისმიერ ეტაპზე. იპოთეკური სესხის სრულად დაფარვის შემთხვევაში, ოფსეტის ანგარიში ავტომატურად იხურება, თუ ანგარიშზე არ ფიქსირდება ფულადი სახსრები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შეზღუდვები/ვალდებულებათა უზრინველყოფის ღონისძიებები. ოფსეტის ანგარიში, ნებისმიერ დროს, შესაძლებელია დაიხუროს კლიენტის და/ან ბანკის ინიციატივით.

მუხლი 9. მიმდინარე ტიპის ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიში

(აღნიშნული ანგარიშის მომსახურების პირობები მოქმედებს 2017 წლის 10 ივლისამდე გახნილი ანგარიშებისათვის)

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიშის გახსნისა და მომსახურების შესახებ“.**

2. მიმდინარე ტიპის **ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიში** კლიენტს ეხსნება საანაბრე ოპერაციებისათვის და წარმოდგენს მიმდინარე ტიპის ანგარიშს.
3. მიმდინარე ტიპის **ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიშზე** ნებადართულია კლიენტის მიერ მხოლოდ ისეთი საბანკო ოპერაციების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია ანაბრის გახსნასთან, ანაბრის დახურვასთან და ანაბრის შევსებასთან. კერძოდ: თანხის კონვერტაცია; ნაღდი თანხის შეტანა; ნაღდი თანხის გამოტანა; ანაბარზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვა; თანხის ჩარიცხვა ამავე კლიენტის სხვა ტიპის ანგარიშიდან; თანხის გადარიცხვა ამავე კლიენტის სხვა ტიპის ანგარიშზე; მესამე პირის (ფიზიკური პირის) მიერ თანხის შეტანა შემდგომში კონკრეტულ ანაბარზე ჩასარიცხად.
4. კლიენტი აცხადებს თანხმობას შემდეგზე: კლიენტის ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიშზე შემოტანილი თანხები ბანკმა ავტომატურად ჩარიცხოს თანხის შემომტანის მიერ მითითებულ ანაბრის ანგარიშზე, თუ ეს ანაბარი გახსნილია კლიენტის მიერ, მათ შორის საბავშვო ტიპის ანაბარზე.

თავი III - ანაბრები

ანაბრების საერთო დებულებები

მუხლი 10.

1. ანაბარი არის საანაბრო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები. ბანკი ვალდებულია ანაბრის შეწყვეტისას ან ვადის დასრულებისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს ანაბრის თანხა, რა ვალუტაშიც იქნა განთავსებული ანაბარზე. ანაბარს შესაბამისად უნდა დაერიცხოს პროცენტი. ბანკში ანაბარი შეიძლება გაიხსნას მხოლოდ მიმდინარე ანგარიშის მქონე კლიენტებისთვის. კლიენტს მიმდინარე ანგარიში უნდა ჰქონდეს ანაბრის შესაბამის ვალუტაში.
2. საანაბრო ანგარიში არის ანგარიში, რომელზეც აღირიცხება პირის მოთხოვნამდე ან გადახდის წინასწარ შეთანხმებული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები.
3. ბანკის კლიენტს წარმოადგენს როგორც ის პირი, ვინც ბანკთან უშუალოდ აფორმებს ხელშეკრულებას, ასევე ის პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვის სასარგებლოდაც/ვის სახელზეც იხსნება ანაბარი და ფორმდება ხელშეკრულება.
4. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტისას ან ვადის გასვლისას ბანკი ვალდებულია უფლებამოსილ პირზე სამი სამუშაო დღის განმავლობაში გასცეს ანაბარზე არსებული თანხა კუთვნილ საპროცენტო სარგებელთან ერთად.
5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას დაერიცხება არა სრული წლიური საპროცენტო სარგებელი, არამედ ხელშეკრულებაში მითითებული მხოლოდ ის წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევისათვის.
6. ბანკის მიერ ეკო ანაბრებიდან მოზიდული სახსრების ინვესტირება მოხდება ეკო პროექტების დაფინანსებაში (ენერგოეფექტურობა; განახლებადი ენერგიები და გარემოსადმი მეგობრული ინვესტიციები). ბანკის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და კონკრეტულად ეკო დაფინანსების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge.
7. (ამოღებულია);
8. (ამოღებულია).
9. კლიენტი თანახმაა და ანიჭებს ბანკს გამოუთხოვად უფლებას, მასზედ რომ კლიენტის დამატებითი თანხმობისა და ანაბრის ხელშეკრულებაში წერილობითი ცვლილების/დამატების შეტანის გარეშე, ინდექსირებულ ანაბარზე (ანაბარი, რომლის საპროცენტო განაკვეთი მიბმულია ნებისმიერი სახის საჯარო ინდექსზე. მაგ: რეფინანსირების განაკვეთი, EURIBOR, TIBR და სხვ.), ცალმხრივად შეცვალოს/ჩაანაცვლოს ინდექსი, თუ მოხდება აღნიშნული ინდექსის გაუქმება და/ან ჩანაცვლება, ან ბანკი გადაწყვეტს ინდექსის შეცვლას/ჩანაცვლებას სხვა, ბანკისგან დამოუკიდებელი, მიზეზით (მაგალითად: გაუქმდა ან ჩანაცვლდა რეფინანსირების განაკვეთი, EURIBOR, TIBR და ა.შ.).
10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კლიენტი შეთანხმებული საკომუნიკაციო არხით ბანკისგან მიიღებს შესაბამისი შინაარსის შეტყობინებას. შეტყობინებაში მითითებული იქნება ინფორმაცია შეთავაზებული, ახალი საჯარო ინდექსის შესახებ;

ბ) თუ კლიენტი არ დაეთანხმება შეთავაზებულ ახალ ინდექსს, იგი ვალდებულია ბანკს აცნობოს წერილობით, შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ორი თვისა. კლიენტი ასევე უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები;

გ) თუ ზემოაღნიშნულ ვადაში კლიენტი არ განაცხადებს წერილობით უარს, აღნიშნული ბანკის მხრიდან ჩაითვლება თანხმობად და შეთავაზებული ცვლილებები ავტომატურად აისახება ანაბარზე;

დ) მხარეები (ბანკი და კლიენტი) ვაცნობიერებთ, რომ შესაბამისი გარემოების დადგომისას, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან ან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჭირო გახდეს სხვა, დამატებითი ქმედების განხორციელება/შესრულება როგორც ბანკის, ასევე კლიენტის მხრიდან. მხარეები ვადასტურებთ, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მივმართავთ ყველა ზომას, უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე, დროულად შევასრულოთ ნებისმიერი მოთხოვნილი დამატებითი ქმედება;

ე) კონკრეტულ ანაბრის ხელშეკრულებაში საჯარო ინდექსის ფაქტობრივად შეცვლის შემდეგ კლიენტი ბანკიდან მიიღებს დამატებით შეტყობინებას შეცვლილი ინდექსის ოდენობის და ახალი საპროცენტო განაკვეთის შესახებ;

ვ) კლიენტი უფლებამოსილია ბანკს მოთხოვოს ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დეტალური წესი, რომლის მიღება შესაძლებელია როგორც ბანკის ფილიალში/სერვის ცენტრში, ასევე ნებისმიერი სხვა შეთანხმებული საკომუნიკაციო არხის საშუალებით.

11. ბანკის მიერ შეთავაზებული ახალი ან ჩანაცვლებული ინდექსი ძალაში შევა შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლისთანავე. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, კლიენტი აცნობიერებს, რომ:

ა) ინდექსის ცვლილების და ახალ ინდექსზე გადასვლისას შესაძლებელია შეიცვალოს ახალ ინდექსზე გადასვლის მომენტში ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ანაბარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი;

ბ) ახალ ინდექსზე გადასვლისას, თუ ახალი ინდექსის მაჩვენებელი იქნება არსებული ინდექსის მაჩვენებელზე მეტი ან ნაკლები, ბანკი უფლებამოსილია შემცირებული/გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი გაუთანაბროს ახალ ინდექსზე გადასვლამდე არსებულ საპროცენტო განაკვეთს;

გ) ინდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით კლიენტი ბანკს ანიჭებს თავისუფალი და შეუზღუდავი მოქმედების, გადაწყვეტილების მიღების, ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტების და დებულებების შეცვლის/კორექტირების, ანაბრის საპროცენტო განაკვეთის კორექტირების და ა.შ. უფლებას. ასევე, უფლებას მიმართოს ყველა აუცილებელი ზომას, რაც საჭირო იქნება ინდექსის ჩასანაცვლებლად და აღნიშნულ პროცესში კლიენტის ინტერესების მაქსიმალურად დასაცავად;

დ) კლიენტი აცნობიერებს, რომ ინდექსის ცვლილება მიზნად ისახავს კლიენტს და ბანკს შორის გაფორმებული ანაბრის ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილ გარემოებებთან.

12. ნებისმიერი ანაბარი, რომლის საპროცენტო განაკვეთი მიბმულია ნებისმიერი სახის საჯარო ინდექსზე, ბანკის მიერ კლიენტისათვის განკუთვნილი ნებისმიერი სახის შეტყობინების გაგზავნა და კლიენტის ინფორმირება მოხდება წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით, ან ინტერნეტ-ბანკით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან სატელეფონო ზარის საშუალებით. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეტყობინების გაგზავნის კონკრეტულ არხს ერთპიროვნულად ირჩევს ბანკი. ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში კლიენტის მიერ დაფიქსირებული საკონტაქტო მონაცემები, ასევე დამატებით, გააფორმოს სხვა სახის შეთანხმება სადაც დაფიქსირდება კლიენტის საკონტაქტო მონაცემები და/ან გამოიყენოს კლიენტის მიერ საჯაროდ დაფიქსირებული საკონტაქტო მონაცემები (მაგ: საჯარო რეესტრში, სამეწარმეო რეესტრში და სხვა საჯარო სივრცეში დაფიქსირებული მონაცემები), რაზეც კლიენტი წინასწარ იძლევა თანხმობას.

13. ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ანაბარზე საჯარო ინდექსის ცვლილების შემთხვევაში, შეცვლილი ინდექსის ოდენობის და ანაბრის ახალი საპროცენტო განაკვეთის შესახებ ინფორმაციას ბანკი კლიენტს შეატყობინებს ცვლილების განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ამ მუხლში მოცემული წესების დაცვით.

14. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს მისი მისამართის ან/და სხვა საკონტაქტო ინფორმაციის (მობილურის ნომერი, მეილი და სხვ.) ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

აღნიშნული ვალდებულება ასევე სრულად ვრცელდება კლიენტის უფლებამონაცვლეზე და სამართალმემკვიდრეზე, ასევე სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში, მის ყოველ შემძენზე.

15. ნებისმიერი შეტყობინება ან/და დოკუმენტი კლიენტთან გაიგზავნება ბანკისათვის ცნობილ უკანასკნელ საკონტაქტო მონაცემზე (მისამართი, ტელეფონის ნომერი, მეილი და ა.შ.) და ბანკი არ აგებს პასუხს შეუტყობინებლობისათვის, თუ აღნიშნული ვერ მოხერხდება ადრესატის ბრალეულობით და/ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ბანკისათვის.

ანაბრების სპეციალური დებულებები

მუხლი 11. ვადიანი ანაბარი / ეკო ვადიანი ანაბარი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„ვადიანი ანაბრის ხელშეკრულება" / „ეკო ვადიანი ანაბრის ხელშეკრულება".**
2. წინამდებარე ანაბარი წარმოადგენს ვადიანი ტიპის ანაბარს.
3. ანაბარი იხსნება ფიქსირებული თანხით. მეანაბრეს არ აქვს ანაბრის თანხის შემცირების ან გაზრდის უფლება.
4. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას, ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი შეწყვეტის დღის ჩათვლით არსებულ პერიოდზე, დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებული წლიური საპროცენტო სარგებელი და ანაბარზე არსებული თანხა სრულად გადაიტანება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმდინარე ტიპის ანგარიშზე.
5. თუ ხელშეკრულების მიხედვით საპროცენტო სარგებლის მეანაბრისათვის გადახდა ხდება ყოველთვიურად, მაშინ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ბანკის მიერ მეანაბრისათვის ზედმეტად გადახდილი საპროცენტო სარგებელი გამოიქვითება ანაბრის თანხიდან.
6. ავტომატური პროლონგაციის (ხელშეკრულების მოქმედების ვადის ავტომატური გაგრძელების) პირობით არსებული ვადიანი ანაბრის შემთხვევაში, ვადიანი ანაბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად არ განახლდება იმ შემთხვევაში:
   - თუ ანაბრის ხელშეკრულების განახლების მომენტისთვის ბანკში არ იქნება შესაბამისი ტიპის (შესაბამისი თანხის, შესაბამისი ვადის ან შესაბამისი ტიპის კლიენტისთვის) ანაბარი;
   - თუ მეანაბრე წინამდებარე ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე მინიმუმ 1 სამუშაო დღით ადრე წერილობით მიმართავს ბანკს ანაბრის ავტომატური გაგრძელების გაუქმების მოთხოვნით;
   - თუ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბანკს უფლება არ აქვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელების.

მუხლი 11[1]. საინვესტიციო ანაბარი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„საინვესტიციო ანაბრის ხელშეკრულება".**
2. წინამდებარე ანაბარი წარმოადგენს ვადიანი ტიპის ანაბარს.
3. ანაბარი იხსნება ფიქსირებული თანხით. მეანაბრეს არ აქვს ანაბრის თანხის შემცირების ან გაზრდის უფლება.
4. საინვეტიციო ანაბარი იხსნება დარღვევის პირობის გარეშე, შესაბამისად მეანაბრეს უფლება არ აქვს დაარღვიოს ანაბრის ხელშეკრულება, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.
5. ავტომატური პროლონგაციის (ხელშეკრულების მოქმედების ვადის ავტომატური გაგრძელების) პირობით არსებული საინვესტიციო ანაბრის შემთხვევაში, სინვესტიციო ანაბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად არ განახლდება იმ შემთხვევაში:
   - თუ ანაბრის ხელშეკრულების განახლების მომენტისთვის ბანკში არ იქნება შესაბამისი ტიპის (შესაბამისი თანხის, შესაბამისი ვადის ან შესაბამისი ტიპის კლიენტისთვის) ანაბარი;

- თუ მეანაბრე წინამდებარე ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე მინიმუმ 1 სამუშაო დღით ადრე წერილობით მიმართავს ბანკს ანაბრის ავტომატური გაგრძელების გაუქმების მოთხოვნით;
- თუ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბანკს უფლება არ აქვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელების.

მუხლი 12. მოქნილი ანაბარი (ამოღებულია 10/07/2017)

მუხლი 13. ზრდადი ანაბარი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **,,ზრდადი ანაბრის ხელშეკრულება".**
2. წინამდებარე ანაბარი წარმოადგენს ვადიანი ტიპის ანაბარს.
3. ანაბარი შესაძლებელია გაიხსნას პირველადი შენატანის გარეშე, ნულოვანი ნაშთით. მინიმალური მოთხოვნები ანაბრის ფიქსირებული თანხით გახსნისთვის ან საპროცენტო სარგებლის მიღებისთვის განსაზღვრული არ არის.
4. ანაბრის თანხის შემცირება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ შეიძლება.
5. ანაბარზე შესაძლებელია დამატებითი შენატანების შესრულება. დამატებითი შენატანების შესრულების სიხშირე და ოდენობა განსაზღვრული არ არის.
6. (ამოღებულია).
7. საპროცენტო სარგებელი ერიცხება დარიცხვის (გაანგარიშების) მომენტისათვის ანაბარზე განთავსებულ თანხებს.
8. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას, ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი შეწყვეტის დღის ჩათვლით არსებულ პერიოდზე, დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებულ წლიური საპროცენტო სარგებელი და ანაბარზე არსებული თანხა სრულად გადაიტანება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმდინარე ტიპის ანგარიშზე.
9. საპროცენტო სარგებლის მეანაბრისათვის გადახდა ხდება ყოველთვიურად. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ბანკის მიერ მეანაბრისათვის ზედმეტად გადახდილი საპროცენტო სარგებელი გამოიქვითება ანაბრის თანხიდან.

მუხლი 14. საბავშვო ანაბარი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **საბავშვო ანაბრის ხელშეკრულება.**
2. საბავშვო ანაბარი წარმოადგენს ვადიანი ტიპის ანაბარს.
3. ანაბარი იხსნება ფიქსირებული თანხით. ანაბრის თანხის შემცირება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ შეიძლება.
4. საბავშვო ანაბარზე შესაძლებელია თანხის შემდგომი დამატება ნებისმიერი პირის მიერ, ნებისმიერი ოდენობით და ნებისმიერი პერიოდულობით.
5. საბავშვო ანაბრის ხელშეკრულება წარმოადგენს კონტრაჰენტის მიერ მეანაბრის სასარგებლოდ დადებულ გარიგებას. მეანაბრეს ენიჭება იგივე უფლებები, რაც კონტრაჰენტს, გარდა წინამდებარე დოკუმენტით და/ან ხელშეკრულებით პირდაპირ და/ან ირიბად დადგენილი გამონაკლისებისა.
6. ხელშეკრულების ვადის დასრულებისას ანაბარზე არსებულ თანხას დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად ბანკი გადაიტანს მეანაბრის სახელზე საბავშვო ანაბრის ვალუტაში გახსნილ შემნახველი ანაბრის ანგარიშზე, რომელსაც ბანკი გახსნის საბავშვო ანაბრის ხელშეკრულების ძალაში ყოფნის ბოლო სამუშაო დღეს. შემნახველი ანაბრის მიმართ ამოქმედდება იმ დროისათვის ბანკში მოქმედი (სტანდარტული) შემნახველი ანაბრის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დებულებები/პირობები (მათ შორის საპროცენტო განაკვეთები), იმ დროისათვის ბანკში მოქმედი (სტანდარტული) საბანკო მომსახურების გაწევისათვის/ყოველი ოპერაციის განხორციელებისათვის

დადგენილი ტარიფები, საკომისიოები და სხვა პირობები/წესები. შემნახველ ანაბარზე განხორციელდება საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაცია.

6[1]. უცხოურ ვალუტაში საბავშვო ანაბრის გახსნის შემთხვევაში, მეანაბრეს სავალდებულოდ ეხსნება შემნახველი ანაბრის ანგარიში ლარში, თუკი მას ბანკში არ აქვს მიმდინარე ან მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიში ეროვნულ ვალუტაში.

7. საბავშვო ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის და თანხის გატანის უფლება არ აქვს კონტრაჰენტს. საბავშვო ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის და თანხის გატანის უფლება აქვს უშუალოდ მეანაბრეს, თუ ის ემანსიპირებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მის ერთ-ერთ კანონიერ წარმომადგენელს.

7[1]. თუ საბავშვო ანაბარზე განთავსებული თანხის ოდენობა აღემატება 1 000 (ერთი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, კანონიერი წარმომადგენელის მიერ ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა/განკარგვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი თანხმობის საფუძველზე. ***(ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან)***

8. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებული წლიური საპროცენტო სარგებელი.

9. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ანაბრის ანგარიშზე არსებული თანხა კუთვნილ საპროცენტო სარგებელთან ერთად გაიცემა მეანაბრეზე, ან მის კანონიერ წარმომადგენელზე.

მუხლი 15. შემნახველი ანაბარი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„შემნახველი ანაბრის ხელშეკრულება“.**
2. ანაბარი წარმოადგენს მოთხოვნამდე ტიპის ანაბარს.
3. მეანაბრეს შეუძლია მრავალჯერადად გაზარდოს და/ან შეამციროს ანაბარზე არსებული თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
4. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით.
5. ფიზიკური პირის ანაბარზე შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების შესრულება: უნაღდო კონვერტაცია, საქართველოდან და უცხო ქვეყნიდან თანხის ჩარიცხვა, შემნახველი ანაბრიდან თანხის გადარიცხვა ამავე მეანაბრის პროკრედიტ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე, შემნახველ ანაბარზე თანხის ჩარიცხვა ამავე მეანაბრის პროკრედიტ ბანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიშიდან.
6. იურიდიული პირის ანაბარზე შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების შესრულება: უნაღდო კონვერტაცია, თანხის ჩარიცხვა/გადარიცხვა ბანკში ამავე მეანაბრის ანგარიშზე.
7. ანაბარზე, მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ვრცელდება ბანკის მიერ გაწეული/გასაწევი საბანკო მომსახურების საკომისიოები (მათ შორის ანგარიშის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო იმ შემთხვევისათვის, როდესაც ანაბარზე არსებული თანხა ნაკლებია მინიმალურ თანხაზე და სხვ.) და ყოველი ოპერაციის განხორციელებისას ბანკის მიერ იმ დროისათვის დადგენილი ტარიფები.
8. დებეტური ოპერაცია არის ანაბარზე თანხის შემცირება ნებისმიერი მართლზომიერი მიზეზით და საფუძვლით, როგორც მეანაბრის მიერ, ასევე ბანკის და/ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ. დებეტურ ოპერაციად ითვლება ასევე ხელშეკრულების შეწყვეტა.
9. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ანაბარს დაერიცხება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მოქმედი მინიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი, საპროცენტო სარგებლის ბოლო გადახდის თარიღიდან ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე არსებულ პერიოდზე.
10. თუ ხელშეკრულების მიხედვით ანაბარზე ხორციელდება საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაცია, მაშინ დებეტურად არ ჩაითვლება მხოლოდ ისეთი დებეტური ოპერაციები, რომლებიც ჯამში თანხობრივად არ აღემატება ანაბარზე ბოლოს ჩარიცხული საპროცენტო სარგებლის თანხას.

მუხლი 15[1]. ფიზიკური პირის შემნახველი ანაბარი "FlexSave" / "FlexSave +"/"My FlexSave"/"My FlexSave +"

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„შემნახველი ანაბრის "FlexSave +" ხელშეკრულება"** ევროში/**„შემნახველი ანაბრის "My FlexSave +" ხელშეკრულება"** ეროვნულ ვალუტაში, აშშ დოლარში და ევროში.
2. შემნახველი ანაბარი "FlexSave" ეროვნულ ვალუტაში აღარ იხსნება 2018 წლის 25 სექტემბრიდან, ევროში აღარ იხსნება 2019 წლის 20 ნოემბრიდან, ხოლო აშშ დოლარში აღარ იხსნება 2022 წლის 15 თებერვლიდან; შემნახველი ანაბარი "FlexSave+" ეროვნულ ვალუტაში არ იხსნება 2021 წლის 28 ივნისიდან; შემნახველი ანაბარი "FlexSave+" ევროში აღარ იხსნება 2023 წლის 10 თებერვლიდან.
3. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით.
4. ანაბარი წარმოადგენს მოთხოვნამდე ტიპის ანაბარს და მეანაბრეს შეუძლია მრავალჯერადად გაზარდოს და/ან შეამციროს ანაბარზე არსებული თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
5. ანაბრის გასახსნელად სავალდებულო არ არის პირველადი შენატანის გაკეთება. ანაბარი შესაძლებელია გაიხსნას ნულოვანი ნაშთით. ანაბარზე პირველადი შენატანის შესრულება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. შესაბამისად ანაბარზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება თანხის განთავსების მომდევნო დღიდან.
6. ანაბარზე ნებადართული ოპერაციების შესრულების რაოდენობა და პერიოდულობა შეუზღუდავია.
7. ანაბარზე შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების წარმოება: უნაღდო კონვერტაცია, საქართველოდან და უცხო ქვეყნიდან თანხის ჩარიცხვა, შემნახველი ანაბრიდან თანხის გადარიცხვა ამავე მეანაბრის პროკრედიტ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე, შემნახველ ანაბარზე თანხის ჩარიცხვა ამავე მეანაბრის პროკრედიტ ბანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიშიდან.
8. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტა და ანაბრის დახურვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეანაბრე ხურავს მიმდინარე ანგარიშს ანაბრის შესაბამის ვალუტაში.
9. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ანაბარს, საპროცენტო სარგებლის ბოლო გადახდის თარიღიდან ანაბრის დარღვევის თარიღამდე პერიოდზე, დაერიცხება ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ამ ანაბარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთი.
10. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ანაბრის ანგარიშზე არსებული მთლიანი თანხა ჩაირიცხება მეანაბრის მიმდინარე ანგარიშზე.
11. ანაბარზე, მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ვრცელდება ბანკის მიერ გაწეული/გასაწევი საბანკო მომსახურების საკომისიოები და ყოველი ოპერაციის განხორციელებისას ბანკის მიერ იმ დროისათვის დადგენილი ტარიფები.

მუხლი 15[2]. იურიდიული პირის შემნახველი ანაბარი "FlexSave"/ "FlexSave +"

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„შემნახველი ანაბრის "FlexSave" ხელშეკრულება"** ევროში და აშშ დოლარში / **„შემნახველი ანაბრის "FlexSave +" ხელშეკრულება"** ეროვნულ ვალუტაში**.**

1[1], შემნახველი ანაბარი "FlexSave" ეროვნულ ვალუტაში აღარ იხსნება 2022 წლის 15 თებერვლიდან.

2. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით.
3. ანაბარი წარმოადგენს მოთხოვნამდე ტიპის ანაბარს და მეანაბრეს შეუძლია მრავალჯერადად გაზარდოს და/ან შეამციროს ანაბარზე არსებული თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
4. ანაბრის გასახსნელად სავალდებულო არ არის პირველადი შენატანის გაკეთება. ანაბარი შესაძლებელია გაიხსნას ნულოვანი ნაშთით. ანაბარზე პირველადი შენატანის შესრულება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. შესაბამისად ანაბარზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება თანხის განთავსების მომდევნო დღიდან.
5. ანაბარზე ნებადართული ოპერაციების შესრულების რაოდენობა და პერიოდულობა შეუზღუდავია.
6. ანაბარზე შესაძლებელია მხოლოდ თანხის გადარიცხვა/ჩარიცხვა ამავე მეანაბრის პროკრედიტ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე/ანგარიშიდან.
7. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტა და ანაბრის დახურვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეანაბრე ხურავს მიმდინარე ანგარიშს ანაბრის შესაბამის ვალუტაში.

8. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ანაბარს, საპროცენტო სარგებლის ბოლო გადახდის თარიღიდან ანაბრის დარღვევის თარიღამდე პერიოდზე, დაერიცხება ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ამ ანაბარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთი.
9. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ანაბრის ანგარიშზე არსებული მთლიანი თანხა ჩაირიცხება მეანაბრის მიმდინარე ანგარიშზე.
10. ანაბარზე, მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ვრცელდება ბანკის მიერ გაწეული/გასაწევი საბანკო მომსახურების საკომისიოები და ყოველი ოპერაციის განხორციელებისას ბანკის მიერ იმ დროისათვის დადგენილი ტარიფები.

მუხლი 15³. სადეპოზიტო სერტიფიკატი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **,,სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულება".**
2. სადეპოზიტო სერტიფიკატი არის არამატერიალიზებული მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი (საბანკო დეპოზიტი (ანაბარი)) და წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებულ დღეს სერტიფიკატის მფლობელს (შემდგომში ასევე „კლიენტი") გადაუხადოს სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებული თანხა.
3. ბანკი უშვებს სტანდარტულ სადეპოზიტო სერტიფიკატს ეროვნულ ვალუტაში და არასტანდარტულ სადეპოზიტო სერტიფიკატს უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი და ევრო).
4. ხელშეკრულების თანახმად კლიენტი იხდის სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების თანხას, რომელსაც ბანკი დაარიცხავს სარგებელს და სერტიფიკატის დაფარვის თარიღის დადგომისთანავე, ხელშეკრულებითა და წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესითა და პირობებით, გადაუხდის კლიენტს სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალურ ღირებულებას. ამასთან, სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება გულისხმობს თანხებს, რომელიც კლიენტის მიერ გადაცემული იქნა ბანკისათვის სადეპოზიტო სერტიფიკატის მისაღებად და რომელიც ბანკის მიერ უკან უნდა დაუბრუნდეს სერტიფიკატის მფლობელს სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადის ბოლოს (დაფარვის თარიღი).
5. კლიენტის მიერ სერტიფიკატის ფლობა დასტურდება ბანკის მიერ გაცემული ამონაწერით სადეპოზიტო სერტიფიკატის რეესტრიდან. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ამონაწერი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს და ადასტურებს მხოლოდ მხარეებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.
6. ბანკის მიერ გაცემული სადეპოზიტო სერტიფიკატის ტიპია - საპროცენტო.
7. საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენით, კლიენტი საპროცენტო სარგებელს მიიღებს „სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულებით" შეთანხმებული პერიოდულობით, ხოლო სერტიფიკატის საწყის თანხას - დაფარვის თარიღში. სადეპოზიტო სერტიფიკატზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება სერტიფიკატის გამოშვების თარიღის მომდევნო დღიდან.
8. სერტიფიკატის მოქმედების განმავლობაში ბანკს უფლება აქვს კლიენტისგან გამოისყიდოს სერტიფიკატი ურთიერთშეთანხმებული ფასით.
9. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბანკის მიერ სერტიფიკატის გამოსყიდვა წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა მის ვალდებულებას. ამასთან, ბანკი სარგებლობს გამოსყიდვის უპირატესი უფლებით. სერტიფიკატის ბანკის მიერ გამოსყიდვის შემთხვევაში ბანკი სერტიფიკატის მფლობელს სერტიფიკატის გამოსყიდვის სანაცვლოდ გადაუხდის სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულებით განსაზღვრულ საფასურს.
10. ბანკის მიერ სერტიფიკატის გამოსყიდვა ავტომატურად იწვევს სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულების შეწყვეტას.
11. დაუშვებელია გაყიდული სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობების, კერძოდ თანხის, ვალუტის, ვადისა და/ან პროცენტის ცვლილება. ამასთან, ბანკი იტოვებს უფლებას, სერტიფიკატის პირობების გარდა, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულება და საბანკო

მომსახურების პირობები იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს ბანკში დადგენილ ახალ წესებთან/გადაწყვეტილებებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და კანონმდებლობასთან.

12. დაუშვებელია სადეპოზიტო სერტიფიკატის ნაწილობრივი გასხვისება/გამოსყიდვა, თანხის დამატება ან ერთი სერტიფიკატის რამდენიმე პირის მიერ ფლობა.
13. კლიენტს უფლება აქვს სადეპოზიტო სერტიფიკატის მოქმედების ვადაში გაასხვისოს სადეპოზიტო სერტიფიკატი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სადეპოზიტო სერტიფიკატი გამოყენებულია ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. სერტიფიკატის გასხვისება შესაძლებელია განხორციელდეს მესამე პირზე, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს და გახსნილი აქვს ანგარიშ(ებ)ი სს „პროკრედიტ ბანკში“.
14. სერტიფიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშსწორება (შეძენა, საპროცენტო სარგებლის გადახდა, დაფარვა, გასხვისება, გამოსყიდვა) უნდა განხორციელდეს კლიენტის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით.
15. სერტიფიკატის გასხვისების შესახებ გარიგება დგება სერტიფიკატის გასხვისების დავალების ფორმით. სერტიფიკატის გასხვისების დავალების ფორმას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ადგენს ბანკი. გასხვისების დავალების გაფორმების შემდგომ, ბანკი უზრუნველყოფს შემძენის მიმდინარე ანგარიშიდან, თანხის სერტიფიკატის მფლობელის მიმდინარე ანგარიშზე გადარიცხვას, ხოლო სადეპოზიტო სერტიფიკატის ახალ შემძენზე გადაფორმებას/რეგისტრაციას.
16. სერტიფიკატის გასხვისებისას ბანკის სასარგებლოდ ხდება სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიოს გადახდა, რომლის გადახდის ვალდებულება ეკისრება სერტიფიკატის მფლობელს/გამყიდველს ან/და სერტიფიკატის შემძენს/მყიდველს გასხვისების თარიღისთვის ბანკში არსებული ტარიფების/პირობების შესაბამისად.
17. სადეპოზიტო სერტიფიკატი გასხვისებულად ჩაითვლება მხარეთა შორის ანგარიშსწორების შესრულებისა და სერტიფიკატის რეესტრში სერტიფიკატის გასხვისების თაობაზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებისას. ზემოაღნიშნული პროცესის დასრულებისთანავე სერტიფიკატის შემძენს გადაეცემა ბანკის მიერ გაცემული ამონაწერი სერტიფიკატის რეესტრიდან.
18. სერტიფიკატის გასხვისების შემდეგ ან/და გასხვისების ყოველ ჯერზე, სერტიფიკატის შემძენი იკავებს სერტიფიკატის წინა მფლობელის ადგილს და მასზე სრულად ვრცელდება წინამდებარე საბანკო მომსახურებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულების პირობები, ასევე განცხადებები და ყველა ის პირობა, რომელიც სერტიფიკატის სარგებლობას, ფლობასა და განკარგვას უკავშირდება.
19. სადეპოზიტო სერტიფიკატის მოქმედების განმავლობაში, სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით განახორციელოს სერტიფიკატის დაგირავება. ამასთან, თუ სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და ბანკს წარმოეშობა უფლება, რომ მოთხოვნა დაიკმაყოფილოს სადეპოზიტო სერტიფიკატის საფუძველზე, აღნიშნული გარემოება შეფასდება, როგორც სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდება/გამოსყიდვა და გამოიწვევს სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე გამოსყიდვისათვის განსაზღვრულ შედეგებს. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, მის წინაშე არსებული დავალიანების დაფარვა განახორციელოს სადეპოზიტო სერტიფიკატიდან, მისი უაქცეპტო წესით განაღდების გზით, სერტიფიკატის მფლობელი პირის მიმდინარე ანგარიშზე თანხის გადატანის გარეშე. სერტიფიკატის ნაწილობრივ დაგირავება დაუშვებელია. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, სადეპოზიტო სერტიფიკატის მესამე პირზე გასხვისება დაუშვებელია.
20. ბანკი ვალდებულია სერტიფიკატის გაყიდვა და გასხვისება დაარეგისტრიროს სერტიფიკატის რეესტრში.
21. კლიენტისთვის ცნობილია და ადასტურებს, რომ სერტიფიკატის გასხვისება დაშვებულია მხოლოდ სასყიდლიანი გარიგების სახით, ხოლო ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფულადი სახით.

22. სერტიფიკატის დაფარვის თარიღის დადგომისთანავე ან ბანკის მიერ კლიენტთან შეთანხმებულ ფასად სერტიფიკატის გამოსყიდვის შემდეგ, ხდება სერტიფიკატის დაფარვა და სერტიფიკატის რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის გაუქმება. ასევე წყდება სერტიფიკატის პირობებით გათვალისწინებული სარგებლის დარიცხვა.

მუხლი 15[4]. შემნახველი ანაბარი "შემნახველი ყულაბა"

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება შემნახველი ანაბრის ხელშეკრულება **„შემნახველი ყულაბა"** ეროვნულ ვალუტაში.
2. ხელშეკრულება იდება ელექტრონული ყულაბის დაგროვებითი სერვისით სარგებლობის პირობით და იხურება აღნიშნული სერვისის გაუქმებისთანავე.
3. ანაბარი წარმოადგენს მოთხოვნამდე ტიპის ანაბარს და მეანაბრეს შეუძლია მრავალჯერადად გაზარდოს და/ან შეამციროს ანაბარზე არსებული თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
4. ანაბრის გასახსნელად სავალდებულო არ არის პირველადი შენატანის გაკეთება. ანაბარი შესაძლებელია გაიხსნას ნულოვანი ნაშთით. ანაბარზე პირველადი შენატანის შესრულება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. შესაბამისად ანაბარზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება თანხის განთავსების მომდევნო დღიდან.
5. ანაბარზე ნებადართული ოპერაციების შესრულების რაოდენობა და პერიოდულობა შეუზღუდავია.
6. ანაბარზე შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების წარმოება: უნაღდო კონვერტაცია, საქართველოდან თანხის ჩარიცხვა, შემნახველი ანაბრიდან თანხის გადარიცხვა ამავე მეანაბრის პროკრედიტ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე, შემნახველ ანაბარზე თანხის ჩარიცხვა ამავე მეანაბრის პროკრედიტ ბანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიშიდან.
7. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტა და ანაბრის დახურვა შესაძლებელია ელექტრონული ყულაბის დაგროვებითი სერვისის დახურვით.
8. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ანაბარს, საპროცენტო სარგებლის ბოლო გადახდის თარიღიდან ანაბრის დარღვევის თარიღამდე პერიოდზე, დაერიცხება ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ამ ანაბარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთი.
9. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ანაბრის ანგარიშზე არსებული მთლიანი თანხა ჩაირიცხება მეანაბრის მიმდინარე ანგარიშზე.
10. ანაბარზე, მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ვრცელდება ბანკის მიერ გაწეული/გასაწევი საბანკო მომსახურების საკომისიოები და ყოველი ოპერაციის განხორციელებისას ბანკის მიერ იმ დროისათვის დადგენილი ტარიფები.

თავი IV - საბანკო პლასტიკური ბარათები

საბანკო პლასტიკური ბარათების საერთო დებულებები

მუხლი 16.

1. საბანკო პლასტიკური ბარათი არის სს ,,პროკრედიტ ბანკის" მიერ გამოშვებული საბანკო პლასტიკური ბარათი და Pay Sticker-ი (შემდგომში „ბარათი").
2. ბანკი ბარათს დაამზადებს ბარათის მფლობელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეკვეთილი და დამზადებული ბარათის აღების/მიღების უფლება აქვს მხოლოდ ბარათით მოსარგებლეს.
3. ბარათის მფლობელი არის პირი, რომელიც უკვეთავს ბარათს და დებს შესაბამის ხელშეკრულებას ბანკთან.
4. ბარათით მოსარგებლე არის ბარათით ფაქტობრივად მოსარგებლე პირი. პლასტიკურ ბარათზე მითითებულია ფაქტობრივად მოსარგებლე პირის სახელი და გვარი. Pay Sticker-ზე არ არის მითითებული ფაქტობრივად მოსარგებლე პირის სახელი და გვარი.

5. ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე შესაძლოა იყოს ერთი და იგივე, ან სხვადასხვა პირი. მაგ: ფიზიკური პირის ბარათის შემთხვევაში ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე ერთი და იგივე პირია, ხოლო იურიდიული პირის ბარათის შემთხვევაში – სხვადასხვა პირები. იმ შემთხვევაში, თუ ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე ერთი და იგივე პირია, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ბარათის მფლობელისა და ბარათით მოსარგებლის უფლება–მოვალეობების მქონე სუბიექტიც ერთი და იგივე პირია.
6. ბანკის კლიენტად ითვლება როგორც ბარათის მფლობელი, ასევე ბარათით მოსარგებლე. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული კლიენტის ვალდებულებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, სავალდებულოა შესასრულებლად როგორც ბარათის მფლობელისათვის, ასევე ბარათით მოსარგებლისათვის.
7. ბარათზე მითითებულია ბარათით მოსარგებლის სახელი და გვარი, ბარათის მფლობელი კლიენტის დასახელება (მხოლოდ იურიდიული პირის ბარათზე), ბარათის ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. Pay Sticker-ის ზედაპირზე მითითებულია მხოლოდ ბარათის ნომრის ბოლო 4 ციფრი და მოქმედების ვადა.
8. ბარათის შეკვეთის დროს ხდება კოდური კითხვა-პასუხის შეთანხმება, რომლის სხვა პირისათვის გადაცემაც იკრძალება.
9. კოდური კითხვა-პასუხი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება ბანკის მიერ ტელეფონის საშუალებით ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის იდენტიფიკაციისთვის.
10. ბარათს აქვს პინ კოდი. პინ-კოდი არის ბარათის თანმხლები პერსონალური, კონფიდენციალური კოდი, რომელიც ბარათთან ერთად წარმოადგენს ბარათით მოსარგებლის ელექტრონულ იდენტიფიკატორს. იგი გამოიყენება ბანკომატებსა და პოს-ტერმინალებში ტრანზაქციების შესასრულებლად (ბანკომატით შესრულებული ნებისმიერი ტრანზაქცია დასტურდება პინ-კოდით, პოს-ტერმინალით შესრულებული ტრანზაქცია შეიძლება დასტურდებოდეს პინ-კოდით).
11. საწყისი “Predefined” პინ–კოდი არის ბარათზე წინასწარ მინიჭებული კოდი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ბარათის გაცემისას მასზე სასურველი პერსონალური პინ–კოდის მინიჭების მიზნით ბარათით მოსარგებლის მიერ. საწყისი პინ–კოდის საშუალებით შეუძლებელია საბარათე ოპერაციების შესრულება.

11[1]. ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებისა და აღნიშნულ ნომერზე საბანკო პლასტიკური ბარათის საწყისი პინ-კოდის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურეობის გააქტიურებისა და უსაფრთხოების სხვა თანმდევი კომპონენტების ბარათით მოსარგებლისათვის გადაცემის შემდგომ, ბარათით მოსარგებლეს ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომერზე ეგზავნება კოდი, რომელიც წარმოადგენს ბარათის კუთვნილ პინ-კოდს. აღნიშნული პინ-კოდის საშუალებით შესაძლებელია საბარათე ოპერაციების შესრულება.

12. პინ-კოდი ცნობილია მხოლოდ ბარათით მოსარგებლისათვის, რომელიც ვალდებულია დაიმახსოვროს და უზრუნველყოს პინ-კოდის საიდუმლოება. პინ-კოდის ბარათზე რაიმე ფორმით მითითება დაუშვებელია.
13. ინტერნეტით შესრულებული ტრანზაქცია არ საჭიროებს პინ-კოდით დადასტურებას.
14. ბანკი ბარათით მოსარგებლეს გადასცემს დალუქულ კონვერტში მოთავსებულ ბარათს და უზრუნველყოფს ბარათისთვის ბარათით მოსარგებლის სასურველი პინ-კოდის მინიჭებას. ბარათით მოსარგებლე ბარათის მიღებისას ხელს აწერს ბარათის მეორე მხარეს სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას (გარდა Pay Sticker-ისა). პინ-კოდის კომბინაციის დაფიქსირებას ახორციელებს ბარათით მოსარგებლე, ბანკში განთავსებული პოს ტერმინალის მეშვეობით.

14[1]. ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებისა და აღნიშნულ ნომერზე საბანკო პლასტიკური ბარათის საწყისი პინ-კოდის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურეობის გააქტიურების შემდგომ, ბანკი ბარათით მოსარგებლეს გადასცემს დალუქულ კონვერტში მოთავსებულ ბარათს და ბარათის პინ-კოდის გააქტიურებისათვის საჭირო ინსტრუქციას. ბარათით მოსარგებლე, ბარათის მიღებისას, ვალდებულია, ხელი მოაწეროს ბარათს აღნიშნული მიზნებისთვის სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას (გარდა Pay Sticker-ისა).

15. ბარათით მოსარგებლის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ბარათისათვის პინ–კოდის შეცვლა:

    ბარათებზე, რომლებზეც გაცემისას მოსარგებლის მიერ პერსონალური პინ–კოდის მინიჭება მოხდა საწყისი პინ–კოდის გამოყენებით, პინ–კოდის ცვლილება შესაძლებელია იმის და მიუხედავად, ახსოვს თუ არა მიმდინარე პინ–კოდი ბარათით მოსარგებლეს. პინ კოდის შეცვლა ხორციელდება ბანკში განთავსებული პოს ტერმინალის ან ბანკომატის მეშვეობით. თუ ბარათით მოსარგებლეს ახსოვს მიმდინარე პინ-კოდი, პოს ტერმინალზე/ბანკომატზე მისი შეყვანის შემდეგ ეძლევა ახალი პინ-კოდის მინიჭების საშუალება. იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლეს არ ახსოვს მიმდინარე პინ-კოდი, მაშინ პინ-კოდის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ პოს ტერმინალის საშუალებით, მას შემდეგ, რაც ბანკის მიერ მოხდება ბარათისთვის საწყისი "Predefined" პინ-კოდის ხელახლა მინიჭება. ამის შემდეგ ბარათით მოსარგებლეს ეძლევა მისთვის სასურველი პინ-კოდის მინიჭების საშუალება; პინ-კოდის პოს ტერმინალის მეშვეობით შეცვლისათვის ბარათით მოსარგებლე ვალდებულია ხელი მოაწეროს პოს ტერმინალიდან ამობეჭდილ პინ-კოდის შეცვლის დამადასტურებელ ქვითარს. ბანკომატის მეშვეობით პინ-კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება ბარათით მოსარგებლეს.

16. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას. ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადით. მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ. დაუშვებელია ბარათის მოქმედების ვადის გაზრდა/შემცირება.

17. ტერმინი ,,საბარათე ანგარიში" ნიშნავს ბარათზე მიმაგრებულ ანგარიშს. საბარათე ანგარიში შეიძლება იყოს ბარათის ძირითადი, ან დამატებითი ანგარიში. ამასთან Pay Sticker-ზე მხოლოდ ერთი მიმდინარე ანგარიშის მიბმა არის შესაძლებელი, რომელიც Pay Sticker-ის ძირითადი საბარათე ანგარიში იქნება.
    - **ძირითადი საბარათე ანგარიში** – ძირითად საბარათე ანგარიშის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ბანკის ბანკომატით / პოს-ტერმინალით, ინტერნეტით ოპერაციების შესრულების დროს.
    - **დამატებითი საბარათე ანგარიში** – დამატებით საბარათე ანგარიშის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ პროკრედიტ ბანკის ბანკომატით ოპერაციების შესრულების დროს.

18. ბარათი სადებეტო ტიპისაა და საშუალებას იძლევა განიკარგოს ბარათზე მიმაგრებულ საბარათე ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხა და დაშვებული ოვერდრაფტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

19. ბარათით სარგებლობის პირობები და წესები განისაზღვრება წინამდებარე დოკუმენტით, ბარათით მომსახურების ტარიფებით, "ვიზას" და/ან "მასტერქარდის" საერთაშორისო სისტემის პროცედურებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

20. ბარათის საფასური, ასევე ბარათით/ბარათთან დაკავშირებული მომსახურების საფასური და ბარათით განხორციელებული ტრანზაქციებისათვის საკომისიოები და მათი ოდენობები განისაზღვრება ბარათით მომსახურების ტარიფებით.

21. ბარათის საფასურის, ბარათით და მასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის და ბარათით განხორციელებული ტრანზაქციებისათვის დადგენილი საკომისიოების გადახდა ეკისრება ბარათის მფლობელს.

22. ბარათის მფლობელს/ბარათით მოსარგებლეს შეუძლია დაუკავშირდეს კონტაქტ ცენტრს, კოდური კითხვა-პასუხის გამოყენების მეშვეობით გაიაროს იდენტიფიკაცია და მიიღოს ინფორმაცია ბარათის და/ან ბარათთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ და/ან დაბლოკოს ბარათი.

23. ბარათზე მიმაგრებული საბარათე ანგარიშ(ებ)იდან ბარათის საშუალებით შესაძლებელია წარმოებულ იქნეს:
    - ნაღდი ოპერაცია - თანხის განაღდება ბანკომატის/პოს-ტერმინალის საშუალებით, გარდა Pay Sticker-ით;
    - ნაღდი ოპერაცია - თანხის შეტანა პროკრედიტ ბანკის ბანკომატის საშუალებით, გარდა Pay Sticker-ით;
    - უნაღდო ოპერაცია - თანხის გადახდა პოს-ტერმინალის და ინტერნეტის საშუალებით. Pay Sticker-ით მხოლოდ პოს-ტერმინალის საშუალებით.

24. ბარათით შესრულებული ფაქტობრივი ოპერაციის თარიღი განსხვავდება საბარათე ანგარიშზე მისი ასახვის თარიღისაგან და დამოკიდებულია ტრანზაქციის ტიპზე და ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე:

- საქართველოს პროკრედიტ ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული განაღდება/გადახდის ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება მომდევნო სამუშაო დღეს;
- საქართველოს პროკრედიტ ბანკის ბანკომატების ქსელში ბარათით განხორციელებული თანხის შეტანის ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება იმავე დღეს;
- ინტერნეტით შესრულებული გადახდა და სხვა ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება შესაბამისი საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების შემდეგ. აღნიშნული ტრანზაქციის დამუშავების მაქსიმალური ვადა, როგორც წესი, არის 30 კალენდარული დღე.

25. ბანკის მიერ დადგენილია:
ა) ბანკომატის საშუალებით თანხის შეტანის დღიური ლიმიტები;
ბ) ბანკომატის/პოს-ტერმინალის საშუალებით თანხის განაღდების დღიური ლიმიტები;
გ) პოს-ტერმინალით/ინტერნეტით შესრულებული გადახდების დღიური ლიმიტები;
დ) პოს-ტერმინალით პინ კოდის გამოყენების გარეშე შესრულებული გადახდის ერთჯერადი და დღიური ლიმიტები;
ე) რეკომენდაციები დამატებითი კონვერტაციების თავიდან აცილებისათვის, ანგარიშებზე არსებული თანხების გამოყენების ხელსაყრელი თანმიმდევრობა;
დღიური და ერთჯერადი ლიმიტების ოდენობა დამოკიდებულია ბარათის ტიპზე და გადახდის/განაღდების ოპერაციაზე. ბანკის მიერ დადგენილი დღიური და ერთჯერადი ლიმიტები მოცემულია ბარათით მომსახურების ტარიფებში.
26. ბარათებზე ასევე დაწესებულია ტრანზაქციების დღიური რაოდენობრივი ლიმიტი, რომელიც განსაზღვრულია ბარათით მომსახურების ტარიფებით.
27. ბარათი არ შეიძლება გამოყენებული იქნას უკანონო მიზნებისთვის, მათ შორის იმ საქონლის და მომსახურების შესაძენად, რომელიც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
28. ბარათის დაკარგვის/მოპარვის ფაქტის ბანკისათვის არ შეტყობინების ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში, ბანკს არ ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა შეტყობინებამდე, დაკარგული/მოპარული ბარათით, შესრულებულ ტრანზაქციებზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
29. ბარათის მფლობელს უფლება აქვს ბარათის დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში მოითხოვოს ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში ჩასმა. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის ჩასმა უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას.
30. საერთაშორისო სტოპ-სიაში შესაძლებელია მხოლოდ „ვიზა“ და „მასტერქარდ“ ბარათების ჩასმა მხოლოდ ორი კვირის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ბარათის მფლობელის სურვილის მიხედვით, თავიდან უნდა მოხდეს ბარათის ჩასმა საერთაშორისო სტოპ-სიაში.
31. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის ჩასმა ხდება კონკრეტული რეგიონის მიხედვით, ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
32. ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში ჩასმა ხდება მხოლოდ ბარათის მფლობელის ანგარიშ(ებ)ზე შესაბამისი მომსახურების საკომისიოსათვის საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში.
33. ბარათის მფლობელს შეუძლია ბარათის დაბლოკვიდან თხუთმეტი კალენდარული დღის განმავლობაში მოითხოვოს დაბლოკილი ბარათის განბლოკვა. ბარათის დაბლოკვიდან თხუთმეტი კალენდარული დღის გასვლის შემდეგ ბანკი ბარათის მფლობელისათვის შეტყობინების/გაფრთხილების გარეშე ხურავს ბარათს. დახურული ბარათი არ ექვემდებარება აღდგენას.
34. როგორც ბარათის მფლობელი, ასევე ბარათით მოსარგებლე ვალდებულია:
ა) ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის ან ბარათის ვადამდე დახურვის შემთხვევაში თხუთმეტი კალენდარული დღის განმავლობაში, დაუბრუნოს ბარათი ბანკს;

ბ) შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი/ანგარიშ-ქვითარი და რეგულარულად შეამოწმოს საბარათე ანგარიშის ამონაწერი, არანაკლებ თვეში ერთხელ;

გ) ტრანზაქციის გასაჩივრების შემთხვევაში, მიმართოს ბანკს სადავო ტრანზაქიის განხორციელებიდან 60 დღის ვადაში და წარუდგინოს გასაჩივრებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტები, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ტრანზაქციის თარიღი, ტრანზაქციის ოდენობა, ბარათის მონაცემები, ინფორმაცია სავაჭრო ობიექტზე (რელევანტურობის შემთხვევაში), შეძენილი ნივთი და/ან მომსახურება (რელევანტურობის შემთხვევაში), ქვითარი/გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (რელევანტურობის შემთხვევაში), გზავნილის მიმღების დასახელება და მისამართი (რელევანტურობის შემთხვევაში) და ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორამცია და/ან დოკუმენტი, რასაც ბანკი, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჭიროდ მიიჩნევს საკითხის შესწავლისა და განხილვის პროცესში.

35. ბარათის მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია ბარათით განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

36. ბარათის მფლობელი ვალდებულია, ბარათის ტრანზაქციების არ ცნობის შემთხვევაში, წერილობით მიმართოს ბანკს ტრანზაქციის შესრულებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტრანზაქცია ჩაითვლება მიღებულად და საჩივარი თანხის დაბრუნების თაობაზე არ მიიღება.

37. ბარათის საშუალებით შეძენილი საქონლის/მომსახურების ხარისხთან და/ან რაოდენობასთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზიის შემთხვევაში დავა უნდა გადაწყვიტოს ბარათის მფლობელმა/ბარათით მოსარგებლემ შესაბამის სავაჭრო დაწესებულებასთან. ამასთანავე, კლიენტი არ თავისუფლდება ზემოაღნიშნული სადავო ტრანზაქციის საფუძველზე ბანკის მიმართ წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისაგან.

38. ბანკი ვალდებულია დაიცვას ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის პერსონალური მონაცემების და საბარათე ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა (ჩატარებული ოპერაციები, ნაშთები და სხვ.). გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები ან/და ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საბარათე სისტემაში მონაწილეობასთან.

39. ბანკი ვალდებულია, ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის მოთხოვნისთანავე, მიაწოდოს მას ამონაწერი საბარათე ანგარიშიდან.

40. ბანკი უფლებამოსილია ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის წინასწარი გაფრთხილების/შეტყობინების საფუძველზე ან მის გარეშე: (1) დროებით დაბლოკოს ბარათი, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ბარათით არასანქცირებული ოპერაციების განხორციელების შესახებ ან თუ არსებობს ბარათის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ობიექტური საფუძვლები, მათ შორის თაღლითური ან/და არაუფლებამოსილი გამოყენების საფრთხე, ან საკრედიტო ლიმიტის მქონე ბარათის შემთხვევაში, ბარათის მფლობელის/მოსარგებლის მიერ გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის მნიშვნელვანად ზრდის შემთხვევაში. ბანკის მიერ ბარათი დაბლოკილი იქნება ტრანზაქციების გარკვევამდე და დაბლოკვის მიზეზის აღმოფხვრის შემდგომ, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე განიბლოკება ან საჭიროებისამებრ მოხდება ბარათის ჩანაცვლება ახლით. ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ბარათის ჩანაცვლებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. ამასთან, ხარჯების ანაზღაურების აღნიშნული უფლება არ იზღუდება ნებისმიერი საფუძვლით დაკარგული ბარათის ჩანაცვლების შემთხვევაში; (2) ჩამოჭრას ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლისათვის ბანკის მიერ წინასწარ დარიცხული თანხა, თუკი გასაჩივრებული ტრანზაქციის შედეგად, ვიზა/მასტერქარდის წესების შესაბამისად, საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ბანკი უზრუნველყოფს ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის ინფორმირებას ბარათის ბლოკირების თაობაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით, შესაძლებლობის შემთხვევაში ბარათის დაბლოკვამდე, მაგრამ არაუგვიანეს დაბლოკვისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაბლოკვის საფუძვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება დაუშვებელია უსაფრთხოებასთან

დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული მიზეზით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

41. ბანკი უფლებამოსილია დახუროს ბარათი იმ შემთხვევაში თუ:
   ა) დამზადებული ბარათი არ წაიღო უფლებამოსილმა პირმა ბარათის შეკვეთიდან სამი თვის განმავლობაში;
   ბ) პოს ტერმინალის მეშვეობით სავაჭრო (მომსახურების) ობიექტის მიერ ან ბანკომატის მიერ დაკავებული/ამოღებული ბარათი უფლებამოსილმა პირმა არ წაიღო დაკავებიდან/ამოღებიდან 3 თვის განმავლობაში;
   გ) ბარათის მფლობელმა არ დაფარა ბარათის მომსახურების საფასური 90 კალენდარული დღის განმავლობაში,
   დ) ბანკმა გაასაჩივრა ბარათით შესრულებული ტრანზაქცია თაღლითობის საფუძვლით ასეთ შემთხვევაში, ბანკი პასუხს არ აგებს დამდგარ ზიანზე.

42. (ამოღებულია)

43. ბანკი უფლებამოსილია ბარათის დამზადების და/ან ვადის გასვლის შესახებ ბარათის მფლობელს/ბარათით მოსარგებლეს მიაწოდოს ინფორმაცია SMS-ის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საშუალებით.

44. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის მხრიდან ისეთი სახის პრეტენზიაზე, როგორიცაა ბარათის გამოყენება მესამე პირის მიერ ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის ნების საწინააღმდეგოდ, თუ დადგინდა, რომ ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას, ვალდებულებათა დარღვევას განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

44[1]. ბანკი ვალდებულია:
   ა) მიიღოს ყველა შესაძლო ზომა ბარათის დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;
   ბ) არ გახადოს ბარათის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლები და საშუალებები ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის, გარდა ამ ბარათის მფლობელისა/მოსარგებლისა;
   გ) ნათლად გააცნოს ბარათის მფლობელს/მოსარგებლეს ბარათის უსაფრთხოების მოთხოვნები, რომელიც ჩამოყალიბებულია წინამდებარე დოკუმენტის მე-19 მუხლში - „ბარათების უსაფრთხოების სახელმძღვანელო“;
   დ) უზრუნველყოს ბარათის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან არაუფლებამოსილი გამოყენების ფაქტის შესახებ შეტყობინების, აგრეთვე ბარათის განბლოკვის მოთხოვნის ნებისმიერ დროს მიღება უშუალოდ ბარათის მფლობელისაგან/მოსარგებლისაგან ან მის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირისგან. ბარათის მფლობელის/მოსარგებლის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია მიაწოდოს მას შეტყობინების ან/და მოთხოვნის მიღების დასტური, თუ შეტყობინების მიღებიდან გასული არ არის 18 თვეზე მეტი;
   ე) ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ბარათის შემდგომი გამოყენების აღკვეთა;
   ვ) განიხილოს საბართე ინსტრუმენტის მფლობელის საჩივარი განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით და მიიღოს გადაწყვეტილება და გააცნოს იგი ბარათის მფლობელს/მოსარგებლეს საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 55 სამუშაო დღისა.
   [ვ) განიხილოს საბართე ინსტრუმენტის მფლობელის საჩივარი განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით და მიიღოს გადაწყვეტილება და გააცნოს იგი ბარათის მფლობელს/მოსარგებლეს საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 35 სამუშაო დღისა. *(ამოქმედდეს 2025 წლის 01 იანვრიდან)*].

44[2]. ბარათის ან/და მისი პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლებისა და საშუალებების ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, ბანკი საკუთარ თავზე იღებს მათ გაგზავნასთან დაკავშირებულ ყველა რისკს.

44[3]. ბარათის მფლობელი/მოსარგებლე ვალდებულია, ბარათი გამოიყენოს დადგენილი პირობების შესაბამისად; დაიცვას მისთვის გაცემული ბარათის უსაფრთხოების ზომები, უზრუნველყოს ამ ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული საშუალებების დაცვა; ბარათის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო

მითვისების ან არაუფლებამოსილი გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ან მისი აღმოჩენიდან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აცნობოს ბანკს.

44[4]. ბარათის მფლობელი/მოსარგებლე უფლებამოსილია, მოსთხოვოს ბანკს არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის მაკორექტირებელი ღონისძიების განხორციელება, თუ არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებეტებიდან არ გასულა 13 თვეზე მეტი და ბარათის მფლობელმა/მოსარგებლემ არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის აღმოჩენიდან დაუყოვნებლივ ან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე შეატყობინა ბანკს ამგვარი ოპერაციის შესახებ. ბარათის მფლობელი/მოსარგებლე ასევე უფლებამოსილია, მოსთხოვოს ბანკს არაავტორიზებული ტრანსსასაზღვრო გადახდის ოპერაციის შესაბამისი თანხის ანაზღაურება, თუ ბარათის მფლობელმა/მოსარგებლემ აღნიშნული არაავტორიზებული ტრანსსასაზღვრო ოპერაციის შესახებ დაუყოვნებლივ ან ასეთი ოპერაციის აღმოჩენიდან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, მაგრამ არაუგვიანეს თანხის დადებეტებიდან 75 დღისა შეატყობინა ბანკს და თუკი არაავტორიზებული ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებით ცალსახად იკვეთება მესამე პირის თაღლითობა ან/და გარემოებები მსგავსია ბანკის მიერ ბოლო 180 დღის განმავლობაში განხილული თაღლითური შემთხვევებისა. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის ბარათით შესრულებული ტრანსსასაზღვრო გადახდის ოპერაცია მოიცავს ისეთ ოპერაციას, რომელიც განხორციელდა საქართველოში გამოშვებული ბანკის ბარათის გამოყენებით, ხოლო ექვაირერი უცხოური საგადახდო მომსახურების პროვაიდერია.

44[5]. უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა განისაზღვრება ვიზა(VISA) და მასტერქარდი (MasterCard) საერთაშორისო სისტემის პროცედურების/რეგულაციების შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობით.

44[6]. ბარათის მფლობელი/მოსარგებლე პასუხისმგებელია მოპარული/დაკარგული/უკანონოდ მითვისებული/გამოყენებული ბარათით განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არა უმეტეს 100 ლარისა, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ბარათის მოპარვის, დაკარგვის, უკანონო მითვისების აღმოჩენა ბარათის მფლობელის/მოსარგებლის მიერ შეუძლებელი იყო ოპერაციის განხორციელებამდე ან/და დაკარგვა გამოწვეული იყო ბანკის, მისი აგენტის ან/და აუთსორსინგული კომპანიის მოქმედებით ან უმოქმედობით. კლიენტი სრულად აგებს პასუხს, გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებულ იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია მისი თაღლითური ქმედებით, მის მიერ წინამდებარე დოკუმენტში მითითებული პირობების/უსაფრთხოების წესების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობით.

44[7]. ბარათით არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის შესახებ ბარათის მფლობელის/მოსარგებლის მიერ ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა და ვადა განსაზღვრულია წინამდებარე დოკუმენტის მე-19 მუხლით. ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის მიერ ბანკის შეტყობინების შემდეგ შესრულებულ არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციაზე, თუ ბანკის მიერ არ მოხდა შეტყობინების მიღება და დროული რეაგირება ბარათის შემდგომი გამოყენების აღკვეთასთან დაკავშირებით ან პერსონიფიცირებული უსაფრთხოების დაუცველობით გამოწვეული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის, თუ ეს ზიანი გამოწვეული არ არის კლიენტის დანაშაულებრივი ან გაზრახ ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით. ბანკი არ არის პასუხისმგებელი არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის, თუ ბარათით მოსარგებლე/მფლობელი ბარათის დაკარგვის, მოპარვის ან უკანონო გამოყენების/მითვისების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე არ შეატყობინებს ბანკს წინამდებარე დოკუმენტის მე-19 მუხლის შესაბამისად, ან დაარღვევს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას, ან თუ ეს ზიანი გამოწვეულია კლიენტის დანაშაულებრივი/თაღლითური ან განზრახი ქმედებით/უხეში გაუფრთხილებლობით.

44[8]. კლიენტის მიერ არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის შემთხვევაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ ბანკის (ამ დოკუმენტის მე-19 მუხლით დადგენილი წესით და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში) შეტყობინებამდე შესრულებულ გადახდის ოპერაციაზე.

45. საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის შეტანის, განაღდების/გადახდის შემთხვევაში საბარათე ანგარიშიდან ჩამოიჭრება/ჩაირიცხება ტრანზაქციის ექვივალენტი თანხა.

კონვერტაციის კურსი დამოკიდებულია ტრანზაქციის შემსრულებელ ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე:

- საქართველოს პროკრედიტ ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში კონვერტაცია სრულდება ბარათით განხორციელებული ტრანზაქციის/ოპერაციის შესრულების (ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებეტება) დღეს არსებული ბანკის შიდა კომერციული კურსით;
- სხვა ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში კონვერტაცია სრულდება მასტერქარდის ან ვიზას მიერ დადგენილი კურსით.

45[1]. დამატებითი კონვერტაციის თავიდან აცილების მიზნით, ტრანზაქციის შესრულებისას, რეკომენდებულია, ძირითადი ანგარიში ფიქსირდებოდეს შემდეგ ვალუტაში:

1) ლარში (GEL), თუ ტრანზაქცია სრულდება საქართველოში. ლარში არსებული ძირითადი ანგარიშიდან ტრანზაქციის (განაღდება, შესყიდვა, თანხის შეტანა (მხოლოდ პროკრედიტ ბანკის ბანკომატებში)) აშშ დოლარსა და ევროში შესრულების შემთხვევაში, კონვერტაცია მოხდება ბანკის კომერციული კურსით, ხოლო სხვა ნებისმიერ ვალუტაში - კონვერტაცია განხორციელდება ჯერ აშშ დოლარში, ბანკის კომერციული კურსით, ხოლო, შემდეგ სხვა ვალუტაში საგადახდო სისტემის (ვიზა/მასტერქარდის) კურსით;

შენიშვნა: გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო კომპანიები და უცხოური ვებ-გვერდები, რომლებიც პროდუქციის/მომსახურების საფასურს გვთავაზობენ ლარში, მაგრამ ანგარიშსწორება ხდება მათი მომსახურე უცხოური ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით და ტრანზაქცია მუშავდება ევროში/დოლარში რეგისტრაციის ზონის შესაბამისად.

2) ევროში (EUR), თუ ტრანზაქცია სრულდება ევროზონაში. ევროში არსებული ძირითადი ანგარიშიდან ტრანზაქციის (განაღდება, შესყიდვა) ლარსა და აშშ დოლარში შესრულების შემთხვევაში, კონვერტაცია მოხდება ბანკის კომერციული კურსით, ხოლო სხვა ნებისმიერ ვალუტაში - კონვერტაცია ჯერ განხორციელდება ევროდან აშშ დოლარში, ბანკის კომერციული კურსით, ხოლო აშშ დოლარიდან სხვა ვალუტაში საგადახდო სისტემის (ვიზა/მასტერქარდის) კურსით;

3) აშშ დოლარში (USD) თუ ტრანზაქცია სრულდება სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე. აშშ დოლარში არსებული ძირითადი ანგარიშიდან ტრანზაქციის (განაღდება, შესყიდვა) ლარსა და ევროში შესრულების შემთხვევაში, კონვერტაცია მოხდება ბანკის კომერციული კურსით, ხოლო სხვა ნებისმიერ ვალუტაში - საგადახდო სისტემის (ვიზა/მასტერქარდის) კურსით.

46. ბარათზე ბარათის მფლობელის მიერ შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები (გარდა Pay Sticker-ზე):

ა) საბარათე ანგარიშის (ძირითადი და/ან დამატებითი) შეცვლა;
ბ) ბარათზე ანგარიშის მიბმა/მოხსნა:
გ) ბარათზე CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის გათიშვა/ჩართვა;
დ) ბარათზე ინტერნეტ ტრანზაქციების გათიშვა/ჩართვა;
ე) ბარათზე fallback ფუნქციის დაშვება/გათიშვა;
ვ) ბარათის დაბლოკვა/განბლოკვა. ბარათის დაბლოკვის უფლება ასევე აქვს ბარათით მოსარგებლეს;
ზ) ბარათზე დღიური განაღდების/ხარჯვის ლიმიტის ცვლილება;
თ) ბარათის დახურვა.
ი) თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაშვება/დაბლოკვა

Pay Sticker-ზე:

ა) Pay Sticker-ის ანგარიშის შეცვლა;
ბ) Pay Sticker-ის დაბლოკვა/განბლოკვა;
გ) Pay Sticker-ის დახურვა.

46[1] ბარათზე fallback ფუნქციის დაშვების შემთხვევაში ბარათს ეცვლება პროფილი, რომელიც გულისხმობს ბარათზე დაცვის მექანიზმების მოხსნას, რომლის შემდეგაც პოს-ტერმინალით შესაძლებელი იქნება მხოლოდ ბარათის ნომრის აკრეფით ტრანზაქციის განხორციელება. ბარათის პროფილის ცვლილების შემთხვევაში fallback ფუნქციის დაშვება ასევე მოიცავს CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის გათიშვას. ზემოთ აღნიშნული შეცვლილი პროფილი ბარათს ენიჭება მოლოდ 24 საათით. პროფილის

ცვლილებიდან 24 საათის შემდეგ ბარათი ავტომატურ რეჟიმში დაბრუნდება ცვლილებამდე არსებულ პროფილზე.

47. CVV2/CVC2 კოდი არის ბარათის უკანა მხარეს ხელმოწერისთვის განკუთვნილ ზოლზე მითითებული ციფრებიდან ბოლო სამი ციფრი, რომელიც არის ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი და გამოიყენება ელექტრონული (ინტერნეტ) გადახდის დროს. CVV2 კოდი გააჩნიათ ვიზას ტიპის პლასტიკურ ბარათებს, ხოლო CVC2 კოდი – მასტერქარდის ტიპის ბარათებს.

48. ინტერნეტით შესყიდვებისას თუ ვებ-გვერდი არ ითვალისწინებს ტრანზაქციის CVV2/CVC2 კოდით დადასტურებას, მაშინ ბარათით მოსარგებლე ამ ვებ-გვერდზე ბარათით შესყიდვას ვერ განახორციელებს. ასეთ შემთხვევაში ბარათის მფლობელმა უნდა მიმართოს ბანკს CVV2/CVC2 კოდის გათიშვის შესახებ მოთხოვნით. ბარათის მფლობელს ასევე შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს CVV2/CVC2 კოდის ჩართვა. კოდის ხელახლა ჩართვის შემთხვევაში ბარათის მფლობელი არ თავისუფლდება ინტერნეტში განხორციელებული ყველა ტრანზაქციის პასუხისმგებლობისაგან.

49. ბარათზე ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება ბარათის მფლობელის წერილობითი განაცხადის საფუძველზე, გარდა დაფიქსირებული საბანკო პლასტიკური ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის ცვლილებისა იმ შემთხვევაში, თუ ბარათის მფლობელი და მოსარგებლე სხვადასხვა პირია. ცვლილების მოთხოვნით ბარათის მფლობელს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ სერვის პუნქტს. გამონაკლისი არის მხოლოდ ბარათზე ძირითადი ანგარიშის ცვლილება (გარდა ვიზა ბიზნეს ბარათისა), ბარათის დაბლოკვა და სტოპ-სიაში ჩასმა, ბარათზე დღიური განაღდების/გადახდების ლიმიტის ცვლილება (გარდა ვიზა ბიზნეს ბარათისა), რომლ(ებ)იც ასევე შესაძლებელია სატელეფონო ზარის საშუალებით, შემდეგ ტელეფონის ნომერზე: *2222 +995 32 220-22-22, +995 599 214 214 - მხოლოდ 09:00 საათიდან 21:00 საათამდე.

50. **3D Security (3D კოდი)**

კლიენტს შეუძლია ბარათს მიანიჭოს ასევე 3D კოდი (3D Security), რომელიც წარმოადგენს უნიკალურ ონლაინ იდენტიფიკატორს. 3D კოდი გამოიყენება “Verified by VISA” და/ან “MasterCard SecureCode” სტატუსის მქონე ვებ–გვერდებზე შესყიდვების დასადასტურებლად და წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების საშუალებას VISA და MasterCard ბარათებით ინტერნეტ შესყიდვების განხორციელებისას. 3Dკოდი ცნობილია მხოლოდ ბარათის მფლობელისათვის.

კლიენტი ვალდებულია განახორციელოს ბარათისათვის 3D კოდის მინიჭება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს არ აქვს უფლება გაასაჩივროს „Verified by VISA“ და/ან “MasterCard SecureCode” სტატუსის მქონე ვებ–გვერდზე 3D კოდის გარეშე განხორციელებული ტრანზაქცია.

პროკრედიტ ბანკის VISA და MasterCard ბარათებზე 3D კოდის მინიჭება ხდება უშუალოდ ბარათის მფლობელის მიერ ინტერნეტ შესყიდვის განხორციელებისას, კერძოდ როდესაც შესაბამის ვებგვერდზე (“Verified by VISA” და/ან “MasterCard SecureCode” სტატუსით) კლიენტი შეძენის მიზნით ირჩევს სასურველ პროდუქციას ან მომსახურებას, ბარათის ინფორმაციის დაფიქსირების შემდეგ მოხდება ავტომატური გადამისამართება ვებგვერდზე (https://vbv.procreditbank.com), სადაც შესაძლებელი იქნება კლიენტმა გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია და მიანიჭოს ბარათს სასურველი 3D კოდი.

რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი ინფორმაცია:

ა. ბარათის მფლობელის დაბადების თარიღი;

ბ. ბარათის მფლობელის პირადი ნომერი;

გ. ბარათის მფლობელისათვის ბანკში მინიჭებული კლიენტის ნომერი;

დ. ბარათის მოქმედების ვადა;

ბარათზე 3D კოდის მინიჭების პროცესის გავლა საჭიროა მხოლოდ ერთხელ, ხოლო მისი გამოყენება ხდება ყოველი ინტერნეტ შესყიდვის დასადასტურებლად „Verified by VISA“ და/ან “MasterCard SecureCode” სტატუსის მქონე ვებ–გვერდზე. 3D კოდის სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში მოხდება არსებული 3D კოდის დაბლოკვა.
კლიენტს შეუძლია 3D კოდის დავიწყების ან დაბლოკვის შემთხვევაში, დაუკავშირდეს კონტაქტ ცენტს *2222, +995 32 220 22 22 - მხოლოდ 09:00 საათიდან 21:00 საათამდე.

50[1]. ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებისა და აღნიშნულ ნომერზე ონლაინ შესყიდვის/ინტერნეტ ტრანზაქციის დადასტურებისთვის განკუთვნილი 3D კოდის (შესაბამისი უსაფრთხოების სტატუსის მქონე შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში) მომსახურეობის გააქტიურების შემდგომ, კლიენტის მიერ ონლაინ შესყიდვის და/ან ინტერნეტ ტრანზაქციის შესრულება დაშვებული იქნება მხოლოდ ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომერზე, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიღებული 3D კოდი საშუალებით. 3D კოდი (3D Security), წარმოადგენს ბარათის უნიკალურ ონლაინ იდენტიფიკატორს, რომლის ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომერზე მიღება ხდება ერთჯერადად, ყოველი ცალკეული ონლაინ ტრანზაქციის/ინტერნეტ შესყიდვის დადასტურებისთვის. 3D კოდი გამოიყენება "Verified by VISA" და/ან "MasterCard SecureCode" სტატუსის მქონე ვებ–გვერდებზე შესყიდვების დასადასტურებლად და წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების საშუალებას VISA და MasterCard ბარათებით ინტერნეტ შესყიდვების განხორციელებისას. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიღების მიზნებისთვის, კლიენტი ვალდებულია, ბანკის მიერ შესაბამისი სერვისის აქტივაციამდე, უზრუნველყოს ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომრის ბანკში დაფიქსირება/შესაბამისი შეთანხმების გაფორმება, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი ვერ მიიღებს 50[1] პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებას.

51. (ამოღებულია).

52. სავაჭრო/მომსახურების ობიექტის კოდი ან MCC არის ISO 18245 სტანდარტით სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობების ჭრილში დადგენილი ოთხნიშნა კოდი.

53. საბანკო პლასტიკური ბარათის შეკვეთისას/გააქტიურებისას დაბლოკილია თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები. რაც ნიშნავს, რომ ბარათის შეკვეთისას/გააქტიურებისას ბანკის მიერ დაბლოკილია თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები როგორიცაა: გაცნობითი სერვისები (**MCC** 7273), საქველმოქმედო ორგანიზაციები (**MCC** 8398), ტოტალიზატორები, კაზინო და სათამაშო ბიზნესი და ა.შ. (**MCC** 7995), საგზაო და ხიდების კვეთის გადასახადი (**MCC** 4784). ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, ნებისმიერ დროს დაამატოს და/ან შეამციროს მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ჩამონათვალი. ხოლო, დამატებულ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები ასევე იქნება დაბლოკილი.

54. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ბარათზე გააქტიუროს/დაბლოკოს თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები.

55. თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების შეზღუდვა ემსახურება კლიენტის დაცვას შესაძლო თაღლითობის და/ან სხვა სახის მომეტებული საფრთხეებიდან, ხოლო მისი გააქტიურებით კლიენტი აცხადებს, რომ სრულად აქვს გაცნობიერებული გააქტიურებასთან დაკავშირებული რისკები.

საბანკო პლასტიკური ბარათების სპეციალური დებულებები

მუხლი 17. ფიზიკური პირის პლასტიკური ბარათი

1. ფიზიკური პირის პლასტიკური ბარათის („ბარათი") მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი.
2. ბარათი შეიძლება იყოს „ვიზას" ან "მასტერქარდის" ტიპის. ვიზა ბიზნეს ბარათი არ გაიცემა არამეწარმე ფიზიკურ პირზე.

2[1]. (გაუქმებულია 20.09.2022 დან)

3. ბარათი სადებეტო ტიპისაა.
4. კლიენტისთვის ბარათების რაოდენობა არ არის შეზღუდული.
5. ბარათზე ხდება მიმდინარე ანაბრის ანგარიშ(ებ)ის მიმაგრება. ბარათით მომსახურებისთვის კლიენტს ბანკში გახსნილი უნდა ჰქონდეს მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი.

6. ბარათზე შესაძლებელია არაუმეტეს სამი ანგარიშის მიბმა, რომლ(ებ)იც წარმოდგენილი შეიძლება იყოს მაქსიმუმ სამ სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო). ბარათზე მიბმული ანგარიშებიდან მხოლოდ ერთი ანგარიში არის ძირითადი, ხოლო დანარჩენი ორი არის დამატებითი ანგარიშები. ძირითად და დამატებით საბარათე ანგარიშებს ირჩევს კლიენტი ბარათის შეკვეთის დროს:
   - **ძირითადი საბარათე ანგარიში** –ვიზას და მასტერქარდის ტიპის ბარათებზე ძირითადი ანგარიში შეიძლება იყოს მხოლოდ მიმდინარე ანგარიში, ხოლო შემნახველ ბარათზე - მხოლოდ შემნახველი ანაბრის ანგარიში.
   - **დამატებითი საბარათე ანგარიში** –ვიზას და მასტერქარდის ტიპის ბარათებზე დამატებითი ანგარიშები შეიძლება იყოს როგორც მიმდინარე, ასევე შემნახველი ანაბრის ანგარიში, ხოლო შემნახველ ბარათზე - მხოლოდ შემნახველი ანაბრის ანგარიში.

მუხლი 18. იურიდიული პირის პლასტიკური ბარათი

1. იურიდიული პირის პლასტიკური ბარათი („ბარათი“) შეიძლება იყოს ვიზა ბიზნეს ბარათი ან ლოკალური ტიპის - სადეპოზიტო ბარათი.
2. ბარათის მფლობელი არის იურიდიული პირი, რომლის საბარათე ანგარიშების განკარგვაც ხდება ბარათით, ხოლო ბარათით მოსარგებლე არის ბარათის მფლობელსა და ბანკს შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული სრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომლის სახელი და გვარი იქნება ამოტვიფრული ბარათზე და რომელიც შეძლებს ბარათით სარგებლობას. ბარათზე მოსარგებლის სახელის და გვარის გარდა ამოტვიფრული იქნება იურიდიული პირის დასახელება.
3. ვიზა ბიზნეს ბარათი სადებეტო ტიპისაა, რომელიც ბარათით მოსარგებლეს საშუალებას აძლევს განკარგოს იურიდიული პირის (ბარათის მფლობელის) საბარათე ანგარიში და შეასრულოს ნაღდი თანხის შეტანა/გატანის ოპერაციები. ხოლო სადეპოზიტო ბარათით მოსარგებლეს შეუძლია მხოლოდ ნაღდი თანხის შეტანა მიმდინარე ანგარიშზე პროკრედიტ ბანკის ბანკომატის საშუალებით.
4. შეკვეთილი და დამზადებული ბარათის და პინ-კოდის მიღების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ბარათით მოსარგებლეს.
5. კოდური კითხვა-პასუხი ბარათით მოსარგებლისათვის ცნობილი ხდება მხოლოდ ბარათის და პინ კოდის მიღების დროს. ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე სარგებლობენ ერთი და იგივე კოდური კითხვა-პასუხით და ეკრძალებათ ამ ინფორმაციის სხვა პირისთვის გადაცემა.
6. ბარათის მფლობელს შეუძლია ნებისმიერი რაოდენობის ბარათების შეკვეთა.
7. ბარათზე ხდება საბარათე ანგარიშების მიმაგრება. ბარათით მომსახურებისთვის ბარათის მფლობელს სს „პროკრედიტ ბანკში“ გახსნილი უნდა ჰქონდეს მიმდინარე ან მიმდინარე და სპეციალური საბარათე ტიპის ანგარიშები.
8. ბარათის მფლობელის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ერთ საბარათე ანგარიშზე მიმაგრებული იყოს რამდენიმე ბარათი. ერთ ბარათზე შესაძლებელია მაქსიმუმ რვა საბარათე ანგარიშის მიმაგრება, რომლ(ებ)იც წარმოდგენილი შეიძლება იყოს მაქსიმუმ სამ სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო). ბარათზე მიბმული ანგარიშებიდან მხოლოდ ერთი ანგარიში არის ძირითადი, ხოლო დანარჩენი შვიდი არის დამატებითი ანგარიშები.
   - **ძირითადი საბარათე ანგარიში** –ვიზა ბიზნეს ბარათზე ძირითადი ანგარიში შეიძლება როგორც მიმდინარე, ასევე სპეციალური საბარათე ანგარიში, ხოლო სადეპოზიტო ბარათზე - მხოლოდ მიმდინარე ანგარიში.
   - **დამატებითი საბარათე ანგარიში** –ვიზა ბიზნეს ბარათზე დამატებითი ანგარიში შეიძლება როგორც მიმდინარე, ასევე სპეციალური საბარათე ანგარიში, ხოლო სადეპოზიტო ბარათზე - მხოლოდ მიმდინარე ანგარიში.
9. იურიდიული პირის საბარათე ანგარიშზე ბარათით შესაძლებელია როგორც თანხის განკარგვა, ასევე თანხის შეტანა, გარდა სპეციალური საბარათე ანგარიშისა, რომელიდანაც დაშვებულია მხოლოდ თანხების განკარგვა. სპეციალურ საბარათე ანგარიშზე თანხის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ ბარათის მფლობელის მიმდინარე ანგარიშიდან უნაღდო ანგარიშსწორებით ან/და უნაღდო კონვერტაციით.

10. სპეციალური საბარათე ანგარიშზე თანხის განთავსების მიზნობრიობა შეზღუდულია და მასზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ ამავე საბარათე ანგარიშის შევსების მიზნით.
11. სპეციალურ საბარათე ანგარიშიდან თანხის გადატანა ბარათის მფლობელს შეუძლია მხოლოდ პროკრედიტ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების ან/და უნაღდო კონვერტაციის გზით.
12. ბარათით მოსარგებლეს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მხოლოდ მის სარგებლობაში არსებული ბარათ(ებ)ით განხორციელებული ოპერაციების შესახებ.
13. იურიდიული პირებისათვის განკუთვნილი ვიზა ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირის მიერ ბარათით შესრულებულ ტრანზაქციებზე მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები:
    - თუ ვიზა ბიზნეს ბარათი დამზადებულია ორგანიზაციის უფლებამოსილ პირზე, მაშინ მას ბარათით საშუალება აქვს განკარგოს თანხები მიმდინარე და სპეციალური საბარათე ანგარიშებიდან და ნაღდი თანხა შეიტანოს მხოლოდ მიმდინარე ანგარიშზე.
    - თუ ვიზა ბიზნეს ბარათი დამზადებულია ორგანიზაციის თანამშრომელზე (არაუფლებამოსილ პირზე), მაშინ მას ბარათით საშუალება აქვს განკარგოს თანხები მხოლოდ სპეციალური საბარათე ანგარიშიდან და ნაღდი თანხა შეიტანოს მხოლოდ მიმდინარე ანგარიშზე.
14. იურიდიული პირის უფლებამოსილ პირზე დასაშვებია ორივე ტიპის შეზღუდვის მქონე ბარათის დამზადება.

მუხლი 18[1]. Pay Sticker -ი

1. Pay Sticker-ის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი.
2. Pay Sticker-ი სადებეტო ტიპის ბარათია და საშუალებას იძლევა განიკარგოს ბარათზე მიმაგრებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებული თანხა და დაშვებული ოვერდრაფტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. Pay Sticker -ით შესაძლებელია შეყიდვის ოპერაციების შესრულება მხოლოდ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში,
4. დამზადებული Pay Sticker-ის და პინ-კოდის მიღების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ Pay Sticker-ის მფლობელს.
5. ბარათის მფლობელს შეუძლია მაქსიმუმ 3 Pay Sticker-ის შეკვეთა.
6. Pay Sticker-ის შესაკვეთად კლიენტს უნდა გააჩნდეს აქტიური ბარათი, რომლის მოქმედების ამოწურვამდე დარჩენილია მინიმუმ 1 თვე.
7. Pay Sticker-ზე ხდება მხოლოდ ერთი მიმდინარე ანგარიშის მიმაგრება, რომელიც წარმოდგენილი შეიძლება იყოს მაქსიმუმ სამ სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო).
8. ბარათის მფლობელის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ერთ ანგარიშზე მიმაგრებული იყოს რამდენიმე Pay Sticker -ი.
9. Pay Sticker-ზე ვრცელდება ბარათთან დაკავშირებული უსაფრთხოების პირობები და წესები.

მუხლი 18[2]. ციფრული საფულე

1. კლიენტს შეუძლია ბანკის მიერ განსაზღვრული პლასტიკური ბარათ(ებ)ი გამოიყენოს ციფრულ საფულეში, რომლის საშუალებითაც შესაძლებლობა ეძლევა, შესაბამის ელექტრონულ მოწყობილობაში (ელექტრონული მოწყობილობები გულისხმობს მობილურ ტელეფონს, ტაბლეტს, ჭკვიან საათს და სხვა ელექტრონულ მოწყობილობებს) ჩაწერილი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ელექტრონულად აწარმოოს საბარათე ოპერაციები და მიიღოს ინფორმაცია შესრულებული საბარათე ოპერაციების შესახებ. მოცემული საბანკო მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელია პლასტიკური ბარათ(ებ)ის აქტივაცია ციფრულ საფულეში.
2. ციფრული საფულის პროგრამულ უზრუნველყოფაზე ვრცელდება შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობის ვენდორის წესები და პირობები. ციფრული საფულის საშუალებით გაწეულ საბანკო მომსახურებაზე ვრცელდება წინამდებარე საბანკო მომსახურების პირობები, მათ შორის, ბარათების უსაფრთხოების სახელმძღვანელო და ბარათების დებულებები.
3. ციფრული საფულით საბანკო მომსახურების გასააქტიურებლად კლიენტმა მის სახელზე არსებული პლასტიკური ბარათ(ებ)ი უნდა დაარეგისტრიროს ელექტრონულ მოწყობილობაში ჩაწერილ პროგრამულ უზრუნველყოფაში. ბარათ(ებ)ის აქტივაცია უნდა დადასტურდეს ბანკსა და კლიენტს

შორის პლასტიკური ბარათებისთვის შეთანხმებულ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდით.

4. ციფრული საფულით სარგებლობისთვის, მათ შორის, კონკრეტული გადახდების ავტორიზაციისთვის/დადასტურებისთვის და შესრულებული საბარათე ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებისთვის გამოიყენება პერსონალური იდენტიფიკაციის მონაცემები, რომელიც განსაზღვრულია ელექტრონული მოწყობილობის ვენდორის მიერ ციფრული საფულით სარგებლობისათვის. პას-კოდი/თითის ანაბეჭდი (Touch ID)/იდენტიფიკაცია სახით (Face ID) და ყველა ის მონაცემი, რომელიც გამოიყენება პროგრამულ უზრუნველყოფაში შესვლის/სარგებლობის/ავტორიზაციის მიზნით, არის პერსონალური იდენტიფიკაციის საშუალება. კლიენტი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული მონაცემების კონფიდენციალურობა და უზრუნველყოს მონაცემებისა და, აგრეთვე, შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობის უსაფრთხოება.
5. ელექტრონული მოწყობილობის შეცვლისას, დაკარგვისას ან/და მესამე პირ(ებ)ის წვდომის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს პლასტიკური ბარათ(ებ)ის დეაქტივაცია პროგრამული უზრუნველყოფიდან ან დაუყოვნებლივ ან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აცნობოს ბანკს ამის შესახებ ბანკის კონტაქტ ცენტრში დარეკვით ნომერზე: *2222 ან (32) 220 22 22, 09:00 სთ-დან 21:00 სთ-მდე პერიოდში; შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: support@procreditbank.ge შეტყობინებით; ინტერნეტ ბანკის ფუნქციით „ბარათების დაბლოკვა“ მენიუდან „ჩემი ბარათები“; ფილიალში ვიზიტით ან კლიენტსა და ბანკს შორის შეთანხმებული სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით, რა შემთხვევაშიც ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის სახელზე არსებული პლასტიკური ბარათ(ებ)ის დაბლოკვას.
6. კლიენტის მიზეზით ელექტრონული მოწყობილობის და/ან პერსონალური იდენტიფიკაციის მონაცემების დაკარგვისას ან მესამე პირების წვდომის შემთხვევაში, ბანკი თავისუფლდება გამოწვეულ შედეგზე ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 18³. ციფრული ბარათი

1. ციფრული ბარათის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი.
2. ციფრული ბარათი სადებეტო ტიპის ბარათია და საშუალებას იძლევა განიკარგოს ბარათზე მიმაგრებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებული თანხა და დაშვებული ოვერდრაფტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. კლიენტს უფლება აქვს ქონდეს მაქსიმუმ 3 (სამი) ციფრული ბარათი.
4. ციფრული ბარათის გააქტიურების დროს ხდება კოდური კითხვა-პასუხის გააქტიურებაც.
5. ციფრული ბარათზე ხდება მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მიმაგრება და შესაძლებელია არაუმეტეს სამი ანგარიშის მიბმა, რომლ(ებ)იც შეიძლება წარმოდგენილი იყოს მაქსიმუმ სამ სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო). ციფრული ბარათზე მიბმული ანგარიშებიდან მხოლოდ ერთი ანგარიში არის ძირითადი, ხოლო დანარჩენი არის დამატებითი ანგარიშები. ძირითად და დამატებით საბარათე ანგარიშებს ირჩევს კლიენტი ციფრული ბარათის გააქტიურების დროს და უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს ძირითადი ანგარიში:
   - ძირითადი ანგარიში – ციფრულ ბარათზე ძირითადი ანგარიში შეიძლება იყოს მხოლოდ მიმდინარე ანგარიში.
   - დამატებითი ანგარიში – ციფრულ ბარათზე დამატებითი ანგარიშები შეიძლება იყოს როგორც მიმდინარე, ასევე შემნახველი ანაბრის ანგარიში.
6. ციფრული ბარათით მომსახურებისთვის კლიენტს ბანკში გახსნილი უნდა ჰქონდეს და შეინარჩუნოს მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი შესაბამის ვალუტაში.

მუხლი 18⁴. პრემიალური ბარათი

1. ბარათი არის მასტერქარდის სადებეტო პლასტიკური ბარათი - Mastercard Black Edition, უნიკალური მუდმივი პრივილეგიებით.
   ბარათს გააჩნია შემდეგი უპირატესობები:
   - მრავალფეროვანი ადგილობრივი და საერთაშორისო შეთავაზებები.
   - უფასო განაღდება საქართველოში, ნებისმიერ ბანკომატში. საზღვარგარეთ პირველი განაღდება ყოველთვიურად უფასო 300 ევროს ექვივალენტ თანხაზე.
   - აეროპორტის ლაუნჯებში წვდომა (Mastercard LoungeKey). მსოფლიოს მასშტაბით 1200-ზე მეტი ლაუნჯით სარგებლობა.
   - პრიორიტეტული Fast Track მომსახურება.

   დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge.

2. პრემიალური ბარათი არის Mastercard Black Edition ბარათი, რომლის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს საბაზისო საბანკო პროდუქტები „უნივერსალური აქტიური ანგარიში“-ს ან საბანკო პროდუქტების ნაკრები - “პრემიუმი”-ს მომსახურებით.
3. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი პრემიალური ბარათის შეკვეთის/მიღების შემდეგ შეიცვლის „უნივერსალური აქტიური ანგარიში“-ს ან “პრემიუმი”-ს მომსახურებას და აირჩევს აღნიშნულის გარდა სხვა რომელიმე მომსახურებას, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმდოს შეკვეთილი და/ან მიღებული ყველა პრემიალური ბარათი, რაც გამოიწვევს ყველა შესაბამისი უპირატესობებით სარგებლობის უფლების შეწყვეტას.
4. კლიენტზე პრემიალური ბარათების რაოდენობა არ არის შეზღუდული.
5. პირველი პრემიალური ბარათის შეკვეთა/მიღება კლიენტს შეუძლია უფასოდ. ყოველი მომდევნო პრემიალური ბარათის შეკვეთა/მიღება არის ფასიანი. პრემიალური ბარათის საფასური განისაზღვრება ტარიფებით, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge. კლიენტი ვალდებულია ყოველი მომდევნო პრემიალური ბარათის შეკვეთისას გაეცნოს ტარიფებს.
6. პრემიალური ბარათის გააქტიურების დროს ხდება კოდური კითხვა-პასუხის გააქტიურებაც.
7. პრემიალური ბარათზე ხდება მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მიმაგრება და შესაძლებელია არაუმეტეს სამი ანგარიშის მიბმა, რომლ(ებ)იც შეიძლება წარმოდგენილი იყოს მაქსიმუმ სამ სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო). პრემიალურ ბარათზე მიბმული ანგარიშებიდან მხოლოდ ერთი ანგარიში არის ძირითადი, ხოლო დანარჩენი არის დამატებითი ანგარიშები. ძირითად და დამატებით საბარათე ანგარიშებს ირჩევს კლიენტი პრემიალური ბარათის გააქტიურების დროს და უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს ძირითადი ანგარიში. ძირითადი და/ან დამატებითი ანგარიში შეიძლება იყოს მხოლოდ მიმდინარე ანგარიში.
8. პრემიალური ბარათით მომსახურებისთვის კლიენტს ბანკში გახსნილი უნდა ჰქონდეს და პრემიალური ბარათის ქონის მთელი ვადის განმავლობაში შეინარჩუნოს მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი შესაბამის ვალუტაში.

მუხლი 19. ბარათების უსაფრთხოების სახელმძღვანელო.

1. წინამდებარე მუხლში მოცემულია როგორც პროკრედიტ ბანკის მიერ გატარებული და დანერგილი უსაფრთხოების ზომები, ასევე მითითებები, რომელთა გათვალისწინება კლიენტს დაეხმარება ბარათებთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილებაში.
2. პინ-კოდი:
3. პინ-კოდი წარმოადგენს პერსონალური იდენტიფიკაციის 4-ციფრიან ნომერს. პინ-კოდი არის კონფიდენციალური. ის მხოლოდ კლიენტისთვისაა ცნობილი და ევალება დაიცვას მისი საიდუმლოება. უსაფრთხოების თვალსაზრისით აკრძალულია:
   - პინ-კოდის სხვა პირებისთვის, მათ შორის ნათესავებისთვის, ბანკის თანამშრომლებისთვის, სავაჭრო და მომსახურების ობიექტების თანამშრომლებისთვის გამჟღავნება;
   - პინ-კოდის ჩანიშვნა ან ჩაწერა, მათ შორის რაიმე ფორმით ბარათზე მითითება;
   - პინ-კოდისა და ბარათის ერთად ტარება;
   - პინ-კოდის გამჟღავნება ელ. ფოსტის, ტელეფონისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით;
   - პინ-კოდის გამოყენება, გარდა ბანკომატებისა და პოს-ტერმინალებისა.
4. აღნიშნული მითითებების გათვალისწინება დაგეხმარებათ შეამციროთ ბარათის გაყალბების და/ან ფულადი სახსრების დაკარგვის რისკი.
5. ინტერნეტით შესრულებული ტრანზაქცია არ საჭიროებს პინ-კოდით დადასტურებას.
6. 3D Security (3D კოდი) წარმოადგენს უსაფრთხოების საშუალებას VISA და MasterCard ბარათებით ინტერნეტ შესყიდვების განხორციელებისას, რომელიც “Verified by VISA” და/ან “MasterCard SecureCode” სტატუსის მქონე ვებ–გვერდებზე შესყიდვების დადასტურებას მოითხოვს 3D კოდით. 3D კოდი წარმოადგენს უნიკალურ ონლაინ იდენტიფიკატორს, რომელიც ცნობილია მხოლოდ ბარათის მფლობელისათვის. უსაფრთხოების მიზნით სავალდებულოა კლიენტმა განახორციელოს ბარათისათვის 3D კოდის მინიჭება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ბანკს არ აქვს უფლება გაასაჩივროს „Verified by VISA“ და/ან „MasterCard SecureCode” სტატუსის მქონე ვებ–გვერდზე 3D კოდის გარეშე

განხორციელებული ტრანზაქცია. უსაფრთხოების მიზნით (3D კოდის თავისებურებათა გათვალისწინებით) ასევე აკრძალულია მე–2 პუნქტში მითითებული ქმედებები.

7. კოდური კითხვა–პასუხი:
   - ბარათის შეკვეთის დროს ხდება კოდური კითხვა-პასუხის შეთანხმება, რომლის გარეშე პირისათვის გამჟღავნება იკრძალება.
   - კოდური კითხვა-პასუხი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება ბანკის მიერ ტელეფონის საშუალებით ბარათის შემკვეთის/ბარათის მფლობელის იდენტიფიკაციისთვის.

7[1]. პას-კოდი/თითის ანაბეჭდი (Touch ID)/იდენტიფიკაცია სახით (Face ID) - პერსონალური იდენტიფიკაციის მონაცემები, რომელიც გამოიყენება ციფრული საფულით სარგებლობისთვის, მათ შორის, კონკრეტული გადახდების ავტორიზაციისთვის/დადასტურებისთვის და შესრულებული საბარათე ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებისთვის. აღნიშნული პერსონული იდენტიფიკატორები განსაზღვრულია და მუშავდება ელექტრონული მოწყობილობის ვენდორის მიერ. აკრძალულია აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება მესამე პირებისთვის.

8. ბარათის სავაჭრო ობიექტებში, ბანკომატში და ციფრულ საფულეში გამოყენება:

9. სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შენაძენის საფასურის ბარათით გადახდა ხორციელდება პოს-ტერმინალის მეშვეობით. პროკრედიტ ბანკის ყველა პოს-ტერმინალი კითხულობს როგორც ჩიპს, ასევე მაგნიტურ ზოლს. გადახდა შესაძლებელია აგრეთვე ციფრული საფულით. პროკრედიტ ბანკის პოს-ტერმინალით გადახდისას ბარათის მფლობელმა ტრანზაქცია უნდა დაადასტუროს პინ-კოდით, ხოლო ციფრული საფულით გადახდისას კი პას-კოდით/თითის ანაბეჭდით (Touch ID)/იდენტიფიკაცია სახით (Face ID), რაც ზრდის ბარათის მფლობელისა და სავაჭრო/მომსახურების ობიექტის თანხების უსაფრთხოების ხარისხს.
   - კლიენტმა აუცილებელია მოითხოვოს, რომ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით საგადამხდელო ოპერაციები განხორციელდეს კლიენტის თანდასწრებით და არ გაატანოს ბარათი მომსახურე პერსონალს.
   - შენაძენის საფასურის გადახდის დროს ტრანზაქციის დადასტურებისას კლიენტმა უნდა გააკონტროლოს ქვითარზე მითითებულ თანხის, ვალუტისა და თარიღის სისწორე და მოითხოვოს ქვითრის ასლი. კლიენტი უნდა დარწმუნდეს, რომ პინ-კოდის შეყვანისას კლიენტის კონფიდენციალურობის უფლებები არ ირღვევა.
   - ბანკომატში ბარათის გამოსაყენებლად აუცილებელია პინ-კოდის შეყვანა. ბანკომატი არ უნდა იყოს გარეგნულად დაზიანებული და ბანკომატის კორპუსზე არ უნდა იყოს დამონტაჟებული დამატებითი მოწყობილობები.
   - კლიენტი ვალდებულია დაიცვას პერსონალური იდენტიფიკაციის ნებისმიერი და ყველა მონაცემის კონფიდენციალურობა და უზრუნველყოს აღნიშნული მონაცემებისა და ელექტრონული მოწყობილობების უსაფრთხოება. ელექტრონული მოწყობილობის შეცვლისას, დაკარგვისას ან/და მესამე პირ(ებ)ის წვდომის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ან მისი აღმოჩენიდან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე უნდა მოახდინოს ბარათ(ებ)ის დეაქტივაცია პროგრამული უზრუნველყოფიდან ან ბარათ(ებ)ის დაბლოკვა.

10. ბარათის/ციფრული საფულის გამოყენება ინტერნეტის საშუალებით:

11. ინტერნეტში შესაძლებელია პროკრედიტ ბანკის ვიზა კლასიკის, ვიზა ბიზნესისა და მასტერქარდ სტანდარტის ტიპის ბარათების გამოყენება.

12. ინტერნეტში შესყიდვის შესასრულებლად საჭიროა ბარათის სრული ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა, ბარათის მფლობელის სახელი და გვარი და, ასევე, ხელმოწერის გრაფაში არსებული ბოლო სამი ციფრი: CVV2/CVC2 კოდი Card Verification Value – ბარათის ვერიფიკაციის მნიშვნელობა) და/ან 3D კოდი. CVV2 კოდი გააჩნიათ ვიზას ტიპის პლასტიკურ ბარათებს, ხოლო CVC2 კოდი გააჩნიათ მასტერქარდის ტიპის ბარათებს.

12[1]. უსაფრთხოების მიზნით აკრძალულია:

- ბარათის/ელექტრონული მოწყობილობის გადაცემა სხვა პირისთვის ან ბარათზე არსებული ინფორმაციის გამჟღავნება, ვინაიდან გაცემული ინფორმაცია საკმარისი იქნება არა ავტორიზებული შესყიდვებისთვის.
- ციფრული საფულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია იმ მოწყობილობის დაცულობა, რომელშიც გააქტიურებულია პლასტიკური ბარათი.

12[2]. უსაფრთხოების მიზნით მიზანშეწონილია:

- ბარათი/ციფრული საფულე გამოყენებულ იქნას მხოლოდ დაცულ და ნაცნობ ვებ-გვერდებზე, სადაც მოითხოვება CVV2/CVC2 და/ან 3D კოდით შესყიდვის დადასტურება, ხოლო ციფრული საფულით გადახდის შემთხვევაში ტრანზაქციის დადასტურება ხდება პას-კოდით/თითის ანაბეჭდით (Touch ID)/იდენტიფიკაცია სახით (Face ID). დაცული ვებ-გვერდები ძირითადად იწყება https და არა http. ასევე, დაცულ ვებ-გვერდებზე ყოველთვის არსებობს დაცვის სისტემის ნიშნები “Verified by VISA”, “MasterCard SecureCode” და ა.შ.
- კლიენტმა მუდმივად უნდა გააკონტროლოს ბარათის შენახვის ადგილი და ასევე, ბარათზე კლიენტის მიერ შერჩეულ ძირითად ანგარიშზე თანხების ბრუნვა. კონტროლი შესაძლებელია ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, ასევე SMS შეტყობინებით, ბანკთან SMS მომსახურების ხელშეკრულებით შეთანხმებულ ნომერზე ან საბანკო პლასტიკური ბარათის მომსახურების სატელეფონო ნომერზე, შესაბამისი სერვისის აქტივაციის შემდგომ. SMS შეტყობინებით კლიენტი მიიღებს ინფორმაციას ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.
- ამასთანავე, ბანკი თავისი ინიციატივით არასდროს დაუკავშირდება კლიენტს ბარათის სრული ნომრის, პინ–კოდის ან CVV2/CVC2 და/ან 3D კოდის დასაზუსტებლად.
- Pay Sticker-ი განათავსოთ ისეთ ნივთზე, რომელსაც ყოველდღიურად იყენებთ. აღნიშნული ქმედება დაგეხმარებათ, შეამციროთ Pay Sticker-ის დაკარგვის / მოპარვის რისკი და/ან დროულად აღმოაჩინოთ Pay Sticker-ის დაკარგვა / მოპარვა.
- ციფრული საფულე/პლასტიკური ბარათი გააქტიურეთ ისეთ მოწყობილობაზე, რომელსაც ყოველდღიურად იყენებთ. აღნიშნული ქმედება დაგეხმარებათ, შეამციროთ საბარათე გადახდებთან დაკავშირებული რისკები.

13. ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესრულება დაეხმარება კლიენტს უსაფრთხოდ გამოიყენოს პლასტიკური ბარათები. ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში, კლიენტს შეუძლია დაუკავშირდეს კონტაქტ ცენტრს: *2222; +995 32 220-22-22, +995 599 214 214 (09:00 საათიდან 21:00 საათამდე) ან support@procreditbank.ge შეტყობინებით; ასევე დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.procreditbank.ge.

13[1]. პლასტიკური ბარათის / Pay Sticker-ის დაბლოკვა - ბარათის / Pay Sticker-ის და/ან ისეთი ელექტრონული მოწყობილობების სადაც გააქტიურებულია ციფრული საფულე, დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში, ასევე, თუ პას-კოდი/თითის ანაბეჭდი (Touch ID)/იდენტიფიკაცია სახით (Face ID)., პინ-კოდი, 3D კოდი და/ან ბარათის/ Pay Sticker-ის ზედაპირზე განთავსებული ინფორმაცია ცნობილი გახდა მესამე პირთათვის, ბარათით მოსარგებლე/ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ ან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე დაბლოკოს ბარათი / Pay Sticker-ი ერთ-ერთი არხის საშუალებით:

- ინტერნეტ ბანკის ფუნქციით „პლასტიკური ბარათების დაბლოკვა“ მენიუდან „ჩემი ბარათები“;
- ბანკის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული ბარათით მოსარგებლის/ბარათის მფლობელის მობილური ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) გაგზავნით ნომერზე 2022 (SMS ტექსტი: BLOCK და დასაბლოკი ბარათის ბოლო 4 ციფრი მაგ.: BLOCK1234, ხოლო ბარათის ბოლო 4 ციფრის გასაგებად გააგზავნეთ შეტყობინება ნომერზე 2022 SMS ტექსტით 14). ბანკი ბარათით მოსარგებლის/ბარათის მფლობელის იდენტიფიკაციას მოახდენს მობილური ტელეფონის ნომრით, რომელიც დაფიქსირებულია ბანკის მონაცემთა ბაზაში ბარათით მოსარგებლის/ბარათის მფლობელის ტელეფონის ნომრად.
- დაუკავშირდეს ბანკს წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე – 09:00 საათიდან 21:00 საათამდე ან მიმართოს ბანკის ნებისმიერ სერვის პუნქტს, კლიენტთა მომსახურების საათებში.

14. კლიენტის მიერ ბარათთან და/ან ბარათით შესრულებულ ოპერაციებთან დაკავშირებით ბანკის მიერ დადგენილი უსაფრთხოების ვალდებულებების, რეკომენდაციების და/ან მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტის ან მესამე პირების მიმართ დამდგარ ნებისმიერ ზიანზე სრულადაა პასუხისმგებელი თავად კლიენტი, ხოლო ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.
15. პროკრედიტ ბანკის ბარათები აღჭურვილია შემდეგი დამცავი ნიშნებით:

ბარათის სიმბოლოები



პროკრედიტ ბანკის ბარათები





16. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, მრავალჯერადად შეცვალოს ბარათის პროფილი და შეუძლია აირჩიოს ქვემოთ მოცემული ბარათის პროფილის ტიპებიდან:

16.1. **თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაბლოკვა და CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის გათიშვა** - აღნიშნული ემსახურება კლიენტის დაცვას მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდებიდან მომდინარე რისკებისაგან. ასევე, CVV2/CVC2 კოდი არის დამატებითი დაცვის მექანიზმი ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების დასადასტურებლად.

16.2. **თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაბლოკვა და CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის ჩართვა** - აღნიშნული ემსახურება კლიენტის დაცვას მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდებიდან მომდინარე რისკებისაგან. ასევე, ვინაიდან, ბარათზე გათიშული იყო სავალდებულო CVV2/CVC2 კოდის ფუნქცია, მისი ჩართვით არ იზღუდება/უქმდება ბარათზე არასანქცირებული ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობა.

16.3. **თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაშვება და CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის გათიშვა** - კლიენტისათვის ცნობილია, რომ მოცემული ფუნქციონალის ჩართვით/გააქტიურებით იზრდება თაღლითობის რისკები. ასევე, CVV2/CVC2 კოდი არის დამატებითი დაცვის მექანიზმი ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების დასადასტურებლად.

16.4. **თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაშვება და CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის ჩართვა** - კლიენტისათვის ცნობილია, რომ მოცემული ფუნქციონალის ჩართვით/გააქტიურებით იზრდება თაღლითობის რისკები. ასევე, ვინაიდან, ბარათზე გათიშული იყო სავალდებულო CVV2/CVC2 კოდის ფუნქცია, მისი ჩართვით არ იზღუდება/უქმდება ბარათზე არასანქცირებული ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობა.

16.5. **თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაბლოკვა** - აღნიშნული ფუნქციონალის ჩართვით დაიბლოკება გადახდები მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში. კლიენტისათვის ცნობილია, სხვა ყველა ტიპის ტრანზაქცია დაშვებული იქნება ბარათზე.

16.6. **ბარათზე ყველა ტიპის შეზღუდვის მოხსნა/ყველა ტიპის ტრანზაქციის დაშვება** - კლიენტისათვის ცნობილია, რომ აღნიშნული ფუნქციონალის გააქტიურების შემთხვევაში ბარათზე დაშვებული იქნება ყველა ტიპის ტრანზაქცია და ოპერაცია.

16.7. **Fallback ფუნქციის დაშვება** - კლიენტისათვის ცნობილია, რომ, ბარათზე Fallback ფუნქციის დაშვებით დაიშვება პოს-ტერმინალზე ბარათის ნომრის შეყვანის გზით ტრანზაქციის განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც ასევე მოიცავს სავალდებულო CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის გათიშვას. CVV2/CVC2 კოდი არის დამატებითი დაცვის მექანიზმი ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების დასადასტურებლად. Fallback ფუნქციის დაშვებით ბარათის გამოყენება შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში.

16.8. **Fallback ფუნქციის გათიშვა** - მიუხედავად იმისა, რომ Fallback ფუნქციის დაშვების პერიოდის განმავლობაში ბარათზე გათიშული იყო სავალდებულო CVV2/CVC2 კოდის ფუნქციები, კლიენტისათვის ცნობილია, რომ Fallback ფუნქციის გათიშვით ბარათზე არასანქცირებული ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობა არ უქმდება.

16.9. **ინტერნეტ შესყიდვების გათიშვა** - კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბარათზე ინტერნეტ შესყიდვის შესაძლებლობის გათიშვით ვერ შეძლებს ონლაინ შესყიდვებს. ხოლო სხვა ყველა ტიპის ტრანზაქცია დაშვებული იქნება.

17. კლიენტისათვის ცნობილია, რომ: ა) ბანკი არ აგებს პასუხს არასანქცირებული ტრანზაქციების შემთხვევაში თანხის დაბრუნებაზე, ასევე სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან წარმოქმნილ სადავო ტრანზაქციის შემთხვევებზე; ბ) სრულად არის პასუხისმგებელი ინტერნეტში და ასევე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით განხორციელებულ ყველა ტრანზაქციაზე და მისგან გამომდინარე შედეგებზე და რისკებზე; გ) თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაბლოკვა ემსახურება მის დაცვას და გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან; დ) ბანკი უფლებამოსილია კლიენტის თანხმობის გარეშე, დამოუკიდებლად დაამატოს და/ან შეამციროს მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ჩამონათვალი, რომელიც მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში; ე) შეუძლია ნებისმიერ დროს, მრავალჯერადად, საკუთარი რისკის ფარგლებში, გააქტიუროს გადახდები დაბლოკილ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში და/ან ხელახლა დაბლოკოს გააქტიურებული გადახდები.

მუხლი 19[1]. გადახარჯვა

1. მომხმარებლის ბარათზე დაიშვება გადახარჯვა, რაც ნიშნავს შემდეგს: მომხმარებლის არაპირდაპირი თანხმობის საფუძველზე ავტომატურად დაშვებული იმ ოდენობის ოვერდრაფტი, რომელიც აღემატება მომხმარებლის საბარათე ანგარიშზე არსებულ თანხას ან/და ცალსახად შეთანხმებულ ოვერდრაფტის, ან საკრედიტო ბარათის შემთხვევაში - საკრედიტო ლიმიტის ოდენობას;
2. გადახარჯვის ფაქტის დადგომის შემდეგ, ბანკი მოახდენს მომხმარებლის ინფორმირებას ერთჯერადად, დაუყოვნებლივ, ბანკის ტექნიკური მოწყობის შესაძლებლობების ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს გადახარჯვის ფაქტის დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ბანკს და მომხმარებელს შორის შეთანხმებული ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის საშუალებით - წერილობით, ელექტრონული ფოსტით, ინტერნეტ ბანკით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სატელეფონო ზარით. თითოეულ შემთხვევაში კონკრეტულ მომხმარებელთან, კონკრეტული საკომუნიკაციო არხის არჩევა ცალმხრივად მოხდება ბანკის მიერ.
3. გადახარჯვის თითოეული ფაქტის შესახებ შეტყობინებით, ბანკი მომხმარებელს მიაწვდის ინფორმაციას: გადახარჯვის ფაქტის შესახებ, გადახარჯვის ჯამურ თანხას, ინფორმაციას შესაძლო პირგასამტეხლოს და სხვა სახის ხარჯის შესახებ, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომხმარებელს.
4. მომხმარებელი ვალდებულია საკონტაქტო ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. ბანკი არ აგებს პასუხს წინამდებარე მუხლში მოცემული ვალდებულების დარღვევისათვის, თუ მომხმარებელთან დაკავშირება ან/და მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება მომხმარებლის ბრალეულობით და/ან მომხმარებელმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ბანკისათვის.

5. მომხმარებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს ბარათით განხორციელებული ოპერაციის შედეგად გადახარჯული თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას გადახარჯულ თანხაზე დაარიცხოს როგორც საპროცენტო სარგებელი, წლიური 36 %-ის ოდენობით, ასევე პირგასამტეხლო გადახარჯული თანხის 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება დავალიანების სრულად დაფარვამდე, მაგრამ არაუმეტეს 90 კალენდარული დღისა.

თავი V - ინტერნეტ ბანკი / მობაილ ბანკი

მუხლი 20.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„ინტერნეტ ბანკით მომსახურებაზე“.** კლიენტი ვალდებულია, ინტერნეტ ბანკი გამოიყენოს აღნიშნული ინსტრუმენტისთვის დადგენილი პირობების შესაბამისად.
2. ამ მუხლში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
   ა) **ინტერნეტ ბანკი** - ინტერნეტ ტექნოლოგიების მეშვეობით შექმნილი ელექტრონული ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით საბანკო მომსახურების დისტანციურად მიღება. ინტერნეტ ბანკის ვებგვერდის მისამართია: https://online.procreditbank.ge
   ბ) **ელექტრონული საგადახდო დოკუმენტი** - კლიენტის ან ბანკის მიერ ფორმირებული ელექტრონული საბუთი, რომელიც წარმოადგენს კლიენტის შესაბამის ანგარიშებზე ოპერაციების შესრულების საფუძველს და არის ორიგინალი საბუთის ტოლფასი.
   გ) **მომხმარებლის სახელი** - ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის უნიკალური სახელი, რომელიც ენიჭება მას ინტერნეტ ბანკში ჩართვისას და რომელიც გამოიყენება პაროლთან და ავთენტიფიკაციის კოდთან ერთად ინტერნეტ ბანკში შესასვლელად.
   დ) **პაროლი** - ასოების, სიმბოლოებისა და ციფრების კომბინაცია რომელიც გამოიყენება მომხმარებლის სახელთან და ავთენტიფიკაციის კოდთან ერთად ინტერნეტ ბანკში შესასვლელად.
   ე) **TAN** - ტრანზაქციის ავტორიზაციის ნომერი, რომელიც წარმოადგენს უნიკალურ ციფრულ კომბინაციას და გამოიყენება ელექტრონული საგადახდო დოკუმენტის რეგისტრაციისას.
   ვ) **TAN**-ის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობები/საშუალებები:
   - დიჯიპას მოწყობილობა;
   - SMS კოდი;
   - ელექტრონული დიჯიპასის აპლიკაცია

   ზ) **ძირითადი მომხმარებელი** - ფიზიკური პირის შემთხვევაში ძირითადი მომხმარებელი არის უშუალოდ ის ფიზიკური პირი, ვის სახელზეც გახსნილია ანგარიში. იურიდიული პირის შემთხვევაში ძირითადი მომხმარებელი არის ამ იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.
   თ) **დამატებითი მომხმარებელი** - ძირითადი მომხმარებლის მიერ საკუთარ ინტერნეტ ბანკში დარეგისტრირებული დამატებითი მომხმარებელი, რომელიც სარგებლობს ძირითადი მომხმარებლის მიერ ამ უკანასკნელისთვის ინტერნეტ ბანკში მინიჭებული შეზღუდული უფლებებით.
   ი) **საანგარიშსწორებო თარიღ(ებ)ი** - ინტერნეტ ბანკის მომსახურების საკომისიოს დაფარვის თარიღ(ებ)ი, რომელიც აითვლება ბანკის მიერ კლიენტისათვის **TAN**-ის საგენერაციო თითოეული ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების გადაცემის თარიღ(ებ)იდან.
   კ) ავთენტიფიკაცია – პროცედურა, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს მოახდინოს მომხმარებლის იდენტურობის ან/და საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების ვალიდურობის დადგენა, რაც მათ შორის, მოიცავს მომხმარებლის მიერ გამოყენებული იმ უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების შემოწმებას, რომელსაც ბანკი აწვდის მომხმარებელს ავთენტიფიკაციის მიზნებით.

ლ) ძლიერი ავთენტიფიკაცია - ავთენტიფიკაცია, რომელიც დამყარებულია ორი ან მეტი შემდეგი სხვადასხვა კატეგორიის ელემენტების გამოყენებაზე: ცოდნა (ის, რაც მხოლოდ მომხმარებელმა იცის, მაგალითად: პაროლი, პინ კოდი), ფლობა (ის, რასაც მხოლოდ მომხმარებელი ფლობს, მაგალითად: ავთენტიფიკაციის კოდი) და უნიკალურობა (ის, რაც თვით მომხმარებელია, მაგალითად: თითის ანაბეჭდის სკანირება), რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებელია იმგვარად, რომ ერთი კატეგორიის ელემენტის ნებისმიერი გზით გამჟღავნება არ გამოიწვევს დანარჩენი კატეგორიების ელემენტის/ელემენტების საიმედოობის კომპრომეტირებას.

მ) ავთენტიფიკაციის კოდი - წარმოადგენს უნიკალურ ციფრულ კომბინაციას, რომელიც გამოიყენება მომხმარებლის სახელთან და პაროლთან ერთად ინტერნეტ ბანკში. ავთენტიფიკაციის კოდის გენერირებას მომხმარებელი ახდენს ინტერნეტ ბანკით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით შეთანხმებული კოდის საგენერაციო ელექტრონულ მოწყობილობის/საშუალების გამოყენებით.

ნ) ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობები/საშუალებები:

- SMS კოდი;
- დიჯიპას მოწყობილობა;
- ელექტრონული დიჯიპასის აპლიკაცია.

ო) სანდო მოწყობილობა წარმოადგენს ფლობის კატეგორიის ავთენტიფიკაციის ელემენტს, რომელიც შეიძლება იყოს მოწყობილობა (მობილური მოწყობილობა, კომპიუტერი და სხვ), რომელსაც კლიენტის მიერ მინიჭებული აქვს სანდო მოწყობილობის სტატუსი და რომელიც გამოიყენება მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციისთვის კოდის სანაცვლოდ.

3. ბანკი ინტერნეტ ბანკის საშუალებით უზრუნველყოფს კლიენტისათვის ელექტრონულ საბანკო მომსახურებას, რომელშიც შედის ინფორმაციის უზრუნველყოფა ინტერნეტ ბანკში ჩართული კლიენტის (ასევე დამატებითი კლიენტის) ანგარიშების შესახებ, ელექტრონული საგადახდო დოკუმენტების გაცვლა კლიენტსა და ბანკს შორის, საბანკო ანგარიშ(ებ)ის გახსნა, სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით და/ან მომსახურებით სარგებლობისათვის მოთხოვნის/განაცხადის წარდგენა და/ან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება. მოთხოვნის/განაცხადის წარდგენა განხორციელდება როგორც ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, ასევე, კლიენტთან შეთანხმებული ნებისმიერი საშუალებით, ხოლო ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება განხორციელდება მხოლოდ ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, ელექტრონული წერილობითი ფორმით, რაც საკმარისია მათი ძალაში შესვლისათვის.
4. ინტერნეტ ბანკში გამოყენებულ ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტს ქაღალდის საგადახდო დოკუმენტის ტოლფასი იურიდიული ძალა აქვს. ელექტრონული საგადახდო დოკუმენტები გამოიყენება, როგორც საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ კლიენტის ანგარიშებზე განხორციელდეს ოპერაციები. კლიენტისათვის მისაღებია, რომ წინამდებარე პირობების შესაბამისად გამოყენებული ინტერნეტ ბანკი ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაციის უსაფრთხოდ და საიმედოდ გადაცემის საშუალებას იძლევა, რაც საკმარისია ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად.
5. კლიენტს ბანკი გადასცემს "დიჯიპასს" დროებით სარგებლობაში და/ან TAN-ის და/ან ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო სხვა ელექტრონულ მოწყობილობას/საშუალებას. ოპერაციის/ტრანზაქციის/სხვა მოქმედების **TAN**-ით და/ან ავთენტიფიკაციის კოდით ავტორიზაცია (დადასტურება) აუცილებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ინტერნეტ ბანკის მიერ ხდება ასეთი ავტორიზაციის მოთხოვნა.
6. ინტერნეტ ბანკის მომსახურება წინამდებარე პირობების შესაბამისად წარმოდგენილია მომსახურების ორი განსხვავებული პაკეტით:
    - **სტანდარტული პაკეტი:** ამ შემთხვევაში კლიენტს არ გადაეცემა "დიჯიპასი" დროებით სარგებლობაში და/ან **TAN**-ის საგენერაციო სხვა ელექტრონული მოწყობილობა/საშუალება. მომხმარებელს შეეძლება ნახოს თავისი ანგარიშები, შეასრულოს ოპერაციები მხოლოდ მის კუთვნილ ანგარიშებს შორის, მიმდინარე ანგარიშიდან განახორციელოს კომუნალური, მობილური ოპერატორების, ტელევიზიის და ინტერნეტის გადახდები, თუ ტრანზაქციის თანხა არის არაუმეტეს 250 ლარი, დღიური ლიმიტის 1000 ლარის ფარგლებში. (2020 წლის 13

აგვისტოდან მომხმარებლის მიერ სტანდარტული პაკეტის რეგისტრაცია/აქტივაცია დაუშვებელია);

- **სრული პაკეტი:** ამ შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა "დიჯიპასი" დროებით სარგებლობაში და/ან **TAN**-ის/**ავთენტიფიკაციის კოდი**ს საგენერაციო სხვა ელექტრონული მოწყობილობა/საშუალება (ამასთან, SMS კოდის რეგისტრაცია სავალდებულოა ინტერნეტ ბანკით მომსახურების მიმღები ყველა კლიენტისათვის). მას დამატებით შეეძლება სხვა (მესამე) პირის ანგარიშებზე გადარიცხვების წარმოება და სხვა საბანკო ოპერაციების შესრულება. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით და/ან მომსახურებით სარგებლობისათვის მოთხოვნის/განაცხადის წარდგენა და/ან ხელშეკრულებების გაფორმება, მათ შორის ანგარიშ(ებ)ის გახსნა.

7. მხარეებისათვის მისაღებია, რომ ინტერნეტ ბანკში, ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტებთან მუშაობისას, კლიენტის იდენტიფიცირება ხდება მომხმარებლის სახელით, პაროლითა და/ან ავთენტიფიკაციის კოდით. სხვა (მესამე) პირის ანგარიშებზე გადარიცხვის განსახორციელებლად ბანკი კლიენტისგან დამატებით მოითხოვს ავტორიზაციას TAN-ით.
8. კლიენტის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ინტერნეტ ბანკში დამატებითი მომხმარებლის დარეგისტრირება, რომელიც არ არის სავალდებულო იყოს ბანკის კლიენტი.
9. ინტერნეტ ბანკში მომხმარებელთა რაოდენობა განსაზღვრულია და შეადგენს მაქსიმუმ 10 (ათი) მომხმარებელს, აქედან 1 (ერთი) ძირითადი და 9 (ცხრა) დამატებითი მომხმარებელი.
10. ინტერნეტ ბანკში შესაძლებელია ჯამურად მაქსიმუმ **TAN**-ის საგენერაციო 10 (ათი) ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების დარეგისტრირება.
11. ინტერნეტ ბანკში პირველად შესასვლელად ბანკი ანიჭებს კლიენტს (ძირითად მომხმარებელს) მომხმარებლის სახელს და ერთჯერად პაროლს და დაუყონებლივ უგზავნის მას. კლიენტს შეუძლია შევიდეს ინტერნეტ ბანკში მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიღებისთანავე. ინტერნეტ ბანკში პირველად შესასვლელად კლიენტი ვალდებულია გამოიყენოს მომხმარებლის სახელი, ერთჯერადი პაროლი და ავთენტიფიკაციის კოდი. ამასთან, კლიენტი ვალდებულია შეცვალოს ერთჯერადი პაროლი ინტერნეტ ბანკში შესვლისთანავე;

11.1. ძირითადი მომხმარებლის სახელი და პაროლი კლიენტს ეგზავნება მის მიერ არჩეული მეთოდის შესაბამისად:

- ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში ინტერნეტ ბანკით მომსახურებაზე;
- ან მობილური ტელეფონის ნომერზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში ინტერნეტ ბანკით მომსახურებაზე;
- ან ორივე მეთოდით ერთდროულად: ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მობილური ტელეფონის ნომერზე, რომლებიც მითითებულია ხელშეკრულებაში ინტერნეტ ბანკით მომსახურებაზე.

11.2. კლიენტი უფლებამოსილია შეცვალოს პაროლის მიღების მის მიერ არჩეული/გააქტიურებული მეთოდი ზემოთ ჩამოთვლილი სხვა მეთოდით, რისთვისაც ის ვალდებულია მიმართოს ბანკს, ხოლო ბანკი კლიენტის იდენტიფიკაციის საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამის ცვლილებას.

12. თუ კლიენტი (ძირითადი მომხმარებელი) არ გამოიყენებს ერთჯერად პაროლს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, მაშინ ინტერნეტ ბანკში პირველად შესასვლელად ბანკისგან გამოგზავნილი ერთჯერადი პაროლი დაიბლოკება და კლიენტი დაკარგავს უფლებას შევიდეს ინტერნეტ ბანკში აღნიშნული პაროლის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია დარეკოს ან მივიდეს ბანკში და მოითხოვოს ახალი ერთჯერადი პაროლი. ბანკთან ტელეფონით დაკავშირებისას კლიენტს მოეთხოვება სწორი პასუხი გასცეს კოდურ შეკითხვას, რომელიც დაფიქსირებულია ინტერნეტ ბანკის მომსახურების ხელშეკრულებაში.
13. თუ კლიენტს (ძირითად მომხმარებელს) დაავიწყდა პაროლი ან მოხდა პაროლის გამჟღავნება, იგი უფლებამოსილია განაახლოს ინტერნეტ ბანკის პაროლი ვებ-გვერდიდან

(https://online.procreditbank.ge). კლიენტს შეცვლილი უნდა ჰქონდეს ინტერნეტ ბანკის რეგისტრაციისას მიღებული ერთჯერადი პაროლი. კლიენტს, ასევე, შეუძლია დარეკოს ან მივიდეს ბანკში და მოითხოვოს ახალი ერთჯერადი პაროლი, რომელიც უნდა შეიცვალოს ინტერნეტ ბანკში შესვლისთანავე. ბანკთან ტელეფონით დაკავშირებისას კლიენტს მოეთხოვება სწორი პასუხი გასცეს კოდურ შეკითხვას, რომელიც დაფიქსირებულია ინტერნეტ ბანკის მომსახურების ხელშეკრულებაში.

13[1]. ვებ-გვერდიდან (https://online.procreditbank.ge) პაროლის განახლება შეუძლია მხოლოდ აქტიური პირადობის დამადასტურებელი/მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის მქონე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. ამასთან, კლიენტს ბანკში დაფიქსირებული/რეგისტრირებული უნდა ჰქონდეს შეთანხმებული მობილური ტელეფონის ნომერი და გააჩნდეს აქტიური პლასტიკური ბარათი (გარდა pay sticker-ისა/ლოკალური ტიპის - სადეპოზიტო ბარათისა), იურიდიული პირის შემთხვევაში მხოლოდ ორგანიზაციის უფლებამოსილ პირზე გაცემული აქტიური პლასტიკური ვიზა ბიზნეს ბარათი, ან ელ. ფოსტა, რომელიც დარეგისტრირებულია ინტერნეტ ბანკის რეგისტრაციის განაცხადში. პაროლის განახლება ხდება მხოლოდ ძირითად მომხმარებელზე. პაროლის განახლების შემთხვევაში დამატებითი მომხმარებლები იბლოკებიან.

14. დამატებითი მომხმარებლის დამატება/წაშლას და უფლებების ადმინისტრირებას ინტერნეტ ბანკში კერძოდ, ანგარიშებზე ოპერაციების შესრულების უფლებების განსაზღვრას, მასზე **TAN**-ის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების გადაცემა/ჩამორთმევას, მომსახურების დაბლოკვა/განბლოკვას, პაროლის აღდგენას, ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების აქტივაცია/რეგისტრაცია/ცვლილებას, ინტერნეტ ბანკით შესასრულებელი ოპერაციების ლიმიტების განსაზღვრას ახორციელებს ძირითადი მომხმარებელი. ამასთან, პაროლის აღდგენის შემთხვევაში, კლიენტს ახალი პაროლი ეგზავნება ინტერნეტ ბანკით მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებით მის მიერ არჩეული მეთოდის შესაბამისად.

15. თუ კლიენტი არის მეწარმე სუბიექტი და მის მიერ ინტერნეტ ბანკით უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის თანხა აღემატება 100 000 (ასი ათასი) ლარის ექვივალენტს, მაშინ იგი ვალდებულია გადარიცხვის ოპერაციასთან ერთად ინტერნეტ ბანკით გამოაგზავნოს ბანკში აღნიშნული გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში გადარიცხვა არ შესრულდება.

16. ინტერნეტ ბანკით შესრულებულ ოპერაციებზე დადგენილია ლიმიტები. ლიმიტები მოცემულია ტარიფებში.

17. დადგენილ ლიმიტებზე მეტ თანხაზე შესრულებული ოპერაცია უარყოფილი იქნება ინტერნეტ ბანკის სისტემის მიერ.

18. კლიენტის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადახდო დოკუმენტით საბანკო ოპერაცია შესრულდება ბანკში არსებული ზოგადი წესების შესაბამისად. ოპერაცია ბანკის მიერ ითვლება შესრულებულად მას შემდეგ, რაც ბანკი მოახდენს ოპერაციის ავტორიზებას და ინტერნეტ ბანკში ოპერაცია აისახება სტატუსით "შესრულებული".

19. ბანკი დაამუშავებს ინტერნეტ ბანკის მეშვეობით მიღებულ ნებისმიერ ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტს. ბანკს შეუძლია უარი განაცხადოს ელექტრონული დოკუმენტის მიღებასა და დამუშავებაზე თუ არსებობს რაიმე საფუძვლიანი ეჭვი დოკუმენტის ნამდვილობასთან დაკავშირებით. ბანკს ასევე შეუძლია მოითხოვოს კლიენტის პირადობის დადასტურება და/ან განზრახვის საფუძველი, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნას ფაქსით, ტელეფონით, პირადად, ან კლიენტისა და ბანკისათვის მისაღები სხვა საშუალებით.

20. ინტერნეტ ბანკში შესაძლებელია მხოლოდ ერთი კლიენტის ანგარიშ(ებ)ის მიბმა, გარდა ამ მუხლის 21-ე პუნქტში აღწერილი შემთხვევისა.

21. ფიზიკური პირის შემთხვევაში შესაძლებელია ინტერნეტ ბანკს, კლიენტის სურვილის მიხედვით, დაემატოს დამატებით კლიენტზე გახსნილი საბავშვო ანაბარი, მხოლოდ ნახვის უფლებით და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ფიზიკური პირი არის მეანაბრის მშობელი.

22. როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი კლიენტისათვის ახალი ანგარიშ(ებ)ის გახსნის შემთხვევაში მათი ჩართვა ინტერნეტ ბანკში მოხდება ავტომატურად.

23. ინტერნეტ ბანკში კლიენტის შესვლის შემდეგ ხელმისაწვდომი ხდება ინტერნეტ ბანკის პროგრამასთან მუშაობის სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაში "ინტერნეტ ბანკი" ცალკეული მომსახურების მიღებისთვის საჭირო დამხმარე სახელმძღვანელოების სახით.
24. კლიენტმა თავიდან უნდა აიცილოს ინტერნეტ ბანკში უფლების არმქონე მესამე მხარეთა შესვლა მისი მომხმარებლის სახელით, პაროლითა და ავთენტიფიკაციის კოდით. კლიენტი სრულად პასუხისმგებელია ინტერნეტ ბანკის მეშვეობით გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე, სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით და/ან მომსახურებით სარგებლობაზე და ყველა ოპერაციაზე, რომელიც გაეგზავნება ბანკს სათანადო მომხმარებლის სახელით, პაროლით, ავთენტიფიკაციის კოდით და TAN-ით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.
25. უსაფრთხოების მიზნით, კლიენტი ვალდებულია პერიოდულად განაახლოს ინტერნეტ ბანკში შესასვლელი მომხმარებლის პაროლი, მაგრამ არაუგვიანეს ყოველი 6 თვისა. სისტემა იმახსოვრებს კლიენტის მიერ მინიჭებულ პაროლს, რომლის გამოყენებაც ვეღარ მოხდება.
25[1]. ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაციისა და ძლიერი ავთენტიფიკაციის გარეშე, კლიენტს ეზღუდება სანდო მოწყობილობის პირველადი აქტივაციის შესაძლებლობა. სანდო მოწყობილობის აქტივაციის ვადა შეადგენს 6 თვეს. ამასთან, სანდო მოწყობილობით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, კლიენტის მიერ უნდა მოხდეს მისი TAN კოდის დადასტურებით განმეორებით აქტივაცია.
26. თუ კლიენტს გაუჩნდა ეჭვი იმისა, რომ მისი მომხმარებლის სახელი და პაროლი გახდა ცნობილი მესამე პირისთვის და/ან მისი **TAN**-ის და/ან ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობა/საშუალება და/ან მობილური ტელეფონი იქნა მოპარული ან დაკარგული და/ან მის სანდო მოწყობილობაზე წვდომა/საიმედოობა კომპრომეტირებულია, კლიენტი ვალდებულია დაუკავშირდეს ბანკს და მოითხოვოს მისი ინტერნეტ ბანკის ბლოკირება, ან შეუძლია თავად დაბლოკოს მისი მომხმარებლისათვის ინტერნეტ ბანკზე წვდომის უფლება ან სანდო მოწყობილების დეაქტივაცია/ცვლილება ვებგვერდიდან: https://online.procreditbank.ge. თუ კლიენტმა არ აცნობა ბანკს მისი პაროლისა და/ან **TAN**-ის და/ან ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობის (საშუალების)/მობილური ტელეფონის დაკარგვის ან სანდო მოწყობილობის საიმედოობის კომპრომეტირების შესახებ, ან ვებგვერდიდან: https://online.procreditbank.ge არ დაბლოკა ინტერნეტ ბანკზე წვდომა ან არ მოახდინა სანდო მოწყობილობის დეაქტივაცია/ცვლილება, მაშინ კლიენტი სრულად პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ინტერნეტ ბანკით ჩატარებული ოპერაციების შედეგად.
26[1]. ბანკი ვალდებულია:
   ა) მიიღოს ყველა გონივრული ზომა ინტერნეტ ბანკის დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;
   ბ) არ გახადოს ინტერნეტ ბანკის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლები და საშუალებები ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის, გარდა კლიენტისა;
   გ) ნათლად გააცნოს კლიენტს ინტერნეტ ბანკის უსაფრთხოების მოთხოვნები, რომელიც განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: www.online.procreditbank.ge;
   დ) ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის სახელისა და პაროლის და/ან TAN-ის/ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების და/ან მობილური ტელეფონის ნებისმიერი ფორმით დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან არაუფლებამოსილი გამოყენების ფაქტის შემთხვევაში, უზრუნველყოს აღნიშნული ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღება ნებისმიერ დროს უსასყიდლოდ უშუალოდ კლიენტისაგან ან მის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირისგან. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია მიაწოდოს მას შეტყობინების მიღების დასტური, თუ შეტყობინების მიღებიდან გასული არ არის 18 თვეზე მეტი;
   ე) ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ინტერნეტ ბანკის შემდგომი გამოყენების აღკვეთა.
26[2]. ინტერნეტ ბანკის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლებისა და საშუალებების ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია საკუთარ თავზე აიღოს მათ გაგზავნასთან დაკავშირებული ყველა რისკი.
26[3]. კლიენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ბანკს არაავტორიზებული წვდომის შედეგად განხორციელებული ოპერაციის ან ბანკის მიერ არასწორად განხორციელებული ოპერაციის

მაკორექტირებელი ღონისძიების განხორციელება და შესაბამისი თანხის ანაზღაურება, თუ არაავტორიზებული წვდომის შედეგად ან ბანკის მიერ არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 13 თვეზე მეტი, თუ კლიენტმა აღნიშნული ოპერაციის შესახებ დაუყოვნებლივ ან მისი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე შეატყობინა ბანკს.

26[4]. ბანკი პასუხს არ აგებს მის მიერ შეთავაზებულ უსაფრთხოების ზომაზე კლიენტის მიერ უარის თქმის/შეუსრულებლობის შემთხვევაში დამდგარი შედეგისთვის. ასეთ შემთხვევაში უსაფრთხოების ზომაზე უარის თქმის/შეუსრულებლობის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებელია კლიენტი, თუ ამასთანავე დადგინდება რომ მომხმარებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა თაღლითურ ქმედებას, განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას.

26[5]. ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის სახელისა და პაროლის და/ან TAN-ის და/ან ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების და/ან მობილური ტელეფონის ნებისმიერი ფორმით მოპარვის, დაკარგვის ან უკანონო მითვისების/გამოყენების შემთხვევაში კლიენტი პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული საფუძვლით განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არა უმეტეს 100 ლარისა, გარდა შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე მუხლით განსაზღვრული საგადახდო ინსტრუმენტის მოპარვის, დაკარგვის, უკანონო მითვისების გადამხდელის მიერ აღმოჩენა შეუძლებელი იყო ოპერაციის განხორციელებამდე ან/და დაკარგვა გამოწვეული იყო ბანკის, მისი აგენტის ან/და აუთსორსინგული კომპანიის მოქმედებით ან უმოქმედობით. კლიენტი სრულად აგებს პასუხს, გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებულ იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია მისი ბრალეული/თაღლითური ქმედებით, მის მიერ წინამდებარე დოკუმენტში მითითებული პირობების ან უსაფრთხოების წესების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობით.

26[6]. კლიენტს შეუძლია დაუკავშირდეს ბანკს მისთვის ხელმისაწვდომი ფორმით, მათ შორის, *2222; +995 32 220-22-22, +995 599 214 214 ან support@procreditbank.ge; ასევე დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.procreditbank.ge. ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის მიერ ბანკის შეტყობინების შემდეგ შესრულებულ არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციაზე, თუ ბანკის მიერ არ მოხდა შეტყობინების მიღება და დროული რეაგირება ინტერნეტ ბანკის შემდგომი გამოყენების აღკვეთასთან დაკავშირებით ან პერსონიფიცირებული უსაფრთხოების დაუცველობით გამოწვეული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის, თუ ეს ზიანი გამოწვეული არ არის კლიენტის დანაშაულებრივი/თაღლითური ქმედებით ან საგადახდო ინსტრუმენტსა და ავთენტიფიკაციის საშუალებებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ერთი ან ერთზე მეტი ვალდებულების გაზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობით. ბანკი არ არის პასუხისმგებელი არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის, თუ კლიენტი ინტერნეტ ბანკის უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ან შესაბამისი შემთხვევის აღმოჩენიდან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე არ შეატყობინებს ბანკს, ან არ დაბლოკავს ინტერნეტ ბანკით მომსახურებას წინამდებარე დოკუმენტში მითითებული წესით, ან თუ ეს ზიანი გამოწვეულია კლიენტის დანაშაულებრივი, მათ შორის თაღლითური ქმედებით ან უმოქმედობით. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ ბანკის შეტყობინებამდე შესრულებულ გადახდის ოპერაციაზე.

26[7]. ინტერნეტ ბანკით მომსახურების დაბლოკვა - თუ კლიენტს გაუჩნდა ეჭვი იმისა, რომ მისი მომხმარებლის სახელი და პაროლი გახდა ცნობილი მესამე პირისთვის და/ან მისი დიჯიპასის, მობილური ტელეფონის და/ან TAN-ის/ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო სხვა ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების დაკარგვის, სანდო მოწყობილობის საიმედოობის კომპრომეტირების შემთხვევაში, ასევე მომხმარებლის სახელის და პაროლის გამჟღავნების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაბლოკოს ინტერნეტ ბანკი შემდეგი საშუალებით:

- დაუკავშირდეს ბანკის კონტაქტ ცენტრს წინამდებარე მუხლის 26[6] პუნქტში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე 09:00 საათიდან 21:00 საათამდე, ხოლო 21:00 საათიდან 09:00 საათამდე ავტომოპასუხის საშუალებით მიიღოს ინფორმაცია დაბლოკვის შესახებ ან მიმართოს ბანკის ნებისმიერ ფილიალს, ფილიალის სამუშაო საათებში;
- ბანკის ვებგვერდიდან: https://online.procreditbank.ge, 24 საათის განმავლობაში, ერთჯერადი კოდის საშუალებით, კლიენტი მოახდენს ინტერნეტ ბანკის მომსახურების დაბლოკვას. აღნიშნული

ერთჯერადი კოდი, კლიენტის არჩევანის შესაბამისად, გაეგზავნება მას ინტერნეტ ბანკის ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან შეთანხმებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ან თავად დააგენერირებს ინტერნეტ ბანკის დასაბლოკად ვალიდურ კოდს TAN-ის საგენერაციო საშუალების - დიჯიპასის/ელექტრონული დიჯიპასის მეშვეობით, ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.procreditbank.ge მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად.

27. კლიენტი აცნობიერებს და ეთანხმება იმ ფაქტს, რომ TAN-ის და/ან ავთენტიფიკაციის კოდის SMS-ით მიღება შესაძლებელია დაგვიანდეს ან/და შეფერხდეს ან/და საერთოდ არ შესრულდეს, რაც გამოწვეულია პროვაიდერი მობილური ოპერატორის მხრიდან ტექნიკური შეფერხებით და აღნიშნულ ფაქტზე ან დამდგარ შედეგებზე ბანკი პასუხისმგებელი არ არის.
ამასთან, კლიენტისათვის ცნობილია, რომ დისტანციურად შესასრულებელი ტრანზაქციების წარმატებით დასრულებისათვის, სავალდებულოა TAN-ის და/ან ავთენტიფიკაციის კოდის მიღება ბანკში დაფიქსირებულ სატელეფონო ნომერზე, იმ შემთხვევაში თუ არჩეულია SMS კოდი TAN-ის და/ან ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო ელექტრონულ მოწყობილობად/საშუალებად. კლიენტი ასევე ეთანხმება და აცნობიერებს, რომ ბანკში უცხოური ნომრის დაფიქსირების შემთხვევაში, შესაბამისი SMS-ის მიღება, შესაძლებელია, დაგვიანდეს ან საერთოდ არ შესრულდეს. აღნიშნული გამოწვეულია პროვაიდერი მობილური ოპერატორის მხარეს შექმნილი ტექნიკური შეფერხებით და სცდება ბანკის კონტროლს. შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ან ასეთი ფაქტით გამოწვეულ დამდგარ შედეგზე ბანკი არ აგებს პასუხს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კლიენტს აქვს საშუალება განმეორებით, შეუზღუდავი რაოდენობით გამოითხოვოს TAN-ის და/ან ავთენტიფიკაციის კოდები, თუკი თავდაპირველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

28. კლიენტის მიერ ინტერნეტ ბანკის დაბლოკვის მოთხოვნის შემდეგ, ინტერნეტ ბანკით კლიენტის მომხმარებლის სახელით, პაროლითა და ავთენტიფიკაციის კოდის გამოყენებით შესრულებულ ოპერაციებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკს.

29. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ინტერნეტ ბანკის საშუალებით არასანქცირებული ან საეჭვო ოპერაციების გამოვლენის შემთხვევაში, ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული საფუძვლით საკუთარი ინიციატივით დაბლოკოს მომხმარებლისთვის ინტერნეტ ბანკის პროგრამაში წვდომის უფლება. ბანკის ინიციატივით დაბლოკვის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია შეთანხმებული ფორმით შეატყობინოს კლიენტს აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით, შესაძლებლობის შემთხვევაში დაბლოკვამდე, მაგრამ არაუგვიანეს დაბლოკვისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაბლოკვის საფუძვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება დაუშვებელია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული მიზეზით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

30. ინტერნეტ ბანკის ბლოკირების შემთხვევაში, ავტომატურად ხდება ინტერნეტ ბანკით მოსარგებლე ყველა დამატებითი მომხმარებლის წვდომის უფლების ბლოკირება.

31. ბანკს უფლება აქვს არ მიიღოს შესასრულებლად კლიენტის ელექტრონული დოკუმენტი იმ შემთხვევაში, თუ:
    - ელექტრონული დოკუმენტი არ შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას;
    - ელექტრონული დოკუმენტის რომელიმე ველი შეიცავს არასწორ ინფორმაციას;
    - კლიენტის მიერ არ იყო ინტერნეტ ბანკით გამოგზავნილი უცხოური ვალუტის გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
    - კლიენტის მხრიდან მოხდა წინამდებარე დოკუმენტით ან ბანკის მიერ დადგენილი რომელიმე წესის დარღვევა;
    - კლიენტი არ წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, როდესაც გადარიცხვა სრულდება მესამე პირის მაგივრად/სასარგებლოდ;
    - კანონით განსაზღვრული სხვა საფუძველით.

32. ინტერნეტ ბანკის მომსახურების საკომისიო კლიენტის საბანკო ანგარიშებიდან ჩამოიწერება საანგარიშსწორებო თარიღ(ებ)ის დადგომის დღეს.

33. ბანკი უფლებამოსილია, წინასწარი შეტყობინების/გაფრთხილების გარეშე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გაუუქმოს კლიენტს ინტერნეტ ბანკით მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშსწორებო თარიღის დადგომიდან ერთი თვის განმავლობაში არ იქნება დაფარული ინტერნეტ ბანკის მომსახურების საკომისიო.
34. **TAN**-ის საგენერაციო ახალი ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს ტარიფებით დადგენილი **TAN**-ის საგენერაციო ახალი ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების დარეგისტრირების საკომისიო.
35. დიჯიპასის გამოცვლის შემთხვევაში, თუ მას არ აღენიშნება გარეგნული დაზიანება, ბანკი ვალდებულია გამოუცვალოს კლიენტს აღნიშნული დიჯიპასი უფასოდ, თუ მისი დარეგისტრირების თარიღიდან არ არის გასული 2 (ორი) წელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკის ტარიფების თანახმად კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს ახალი დიჯიპასის რეგისტრაციის საკომისიო.
36. გაუქმებული ინტერნეტ ბანკის აღდგენა არ ხდება. თუ კლიენტს სურს ინტერნეტ ბანკით მომსახურების განახლება, მაშინ კლიენტთან გაფორმდება ახალი ხელშეკრულება ინტერნეტ ბანკით მომსახურებაზე და კლიენტს დაეკისრება ბანკის ტარიფებით დადგენილი საკომისიო გადასახადი.
37. ინტერნეტ ბანკის მომსახურება მოქმედებს ერთ–ერთი მხარის მიერ მის გაუქმებამდე.
38. ინტერნეტ ბანკის მომსახურების გაუქმებისას, თუ კლიენტი სარგებლობს "დიჯიპასით", იგი ვალდებულია დაუბრუნოს "დიჯიპასი" ბანკს ინტერნეტ ბანკის მომსახურების გაუქმებისთანავე.
39. ინტერნეტ ბანკის მომსახურების გაუქმების შემთხვევაში, მხარეები პასუხისმგებელნი არიან ელექტრონულ საგადასახადო დოკუმენტებზე, რომლებიც რეგისტრირებულია კლიენტის მიერ და მიღებულია ბანკის მიერ ხელშეკრულების გაუქმებამდე.
40. (ამოღებულია).
41. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, ბანკის მიერ ყველა მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია, სავალდებულო წესით, განხორციელდება 2021 წლის 01 აპრილიდან. აღნიშნულ თარიღამდე, არსებული მომხმარებლის მიერ ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაცია ფაკულტატურ ხასიათს ატარებს და კლიენტი უფლებამოსილია სურვილისამებრ/საჭიროებისამებრ უზრუნველყოს ხსენებული კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების აქტივაცია. იმ კლიენტებისთვის, რომელთა მიმართ ინტერნეტ ბანკის მომსახურების რეგისტრაცია განხორციელდა 2020 წლის 13 აგვისტოდან, ავტომატურად ხდება ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების აქტივაცია.
42. ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაციისა და ძლიერი ავთენტიფიკაციის გარეშე, 2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 01 აპრილამდე პერიოდში, კლიენტს ეზღუდება ელექტრონული საბანკო სერვისი. კერძოდ, შეზღუდვის ფარგლებში, ინტერნეტ ბანკის საშუალებით, დაიშვება მხოლოდ მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ისა და არსებული ნაშთ(ებ)ის, უკანასკნელი 30 კალენდარული დღის ტრანზაქციებისა და უკანასკნელი 90 კალენდარული დღის გადახდის ოპერაციების ამსახველი ინფორმაციის/ამონაწერის ნახვა, აგრეთვე საკუთარ ანგარიშებს შორის გადარიცხვა და/ან კონვერტაცია.
42[1]. ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაციის შემდგომ, კლიენტი უფლებამოსილია ძლიერი ავთენტიფიკაციის გარეშე ისარგებლობს წინამდებარე მუხლის 42-ე პუნქტით განსაზღვრული ინტერნეტ ბანკის შეზღუდული ელექტრონული საბანკო სერვისით, თუ მის მიერ ინტერნეტ ბანკში ძლიერი ავთენტიფიკაციის კოდის უკანასკნელი გამოყენებიდან არ გასულა 90 კალენდარული დღე.
43. 2021 წლის 01 აპრულიდან ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაციამდე, კლიენტს ეზღუდება ინტერნეტ ბანკით სარგებლობის შესაძლებლობა, გარდა ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების აქტივაცია/რეგისტრაციის უფლებისა.
44. ინტერნეტ ბანკით მოსარგებლე კლიენტის მიერ ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაცია, აგრეთვე ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების ცვლილება, შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვის პუნქტებში,

ასევე ინტერნეტ ბანკის ან წინამდებარე ხელშეკრულების 2[2] მუხლით განსაზღვრული წესით პირის ვიდეო იდენტიფიკაციის პროცესის გამოყენებით.

45. კლიენტი ადასტურებს და ეთანხმება, რომ ინტერნეტ ბანკი და/ან მობაილ ბანკი წარმოადგენს ბანკსა და კლიენტს შორის ოფიციალურ და სამართლებრივად მოქმედ საკომუნიკაციო არხს ნებისმიერი ინფორმაციისა და კორესპონდენციის გაცვლის, ასევე ნებისმიერი გარიგების განხორციელებისა და/ან დადასტურების მიზნით.
46. ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ინტერნეტ ბანკისა და/ან მობაილ ბანკის საშუალებით კლიენტს მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, შეტყობინება, გაფრთხილება, მოთხოვნა, ხელშეკრულება, ხელშეკრულების დანართი, ცვლილება, დამატება, პრეტენზია, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება, სასამართლო გაფრთხილების წერილი, ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი/ინფორმაცია.
47. თუ კონკრეტული დოკუმენტისათვის ან შეტყობინებისათვის მოქმედი კანონმდებლობით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინტერნეტ ბანკსა და/ან მობაილ ბანკში დოკუმენტის, ინფორმაციის ან შეტყობინების განთავსება ან/და კლიენტისათვის ხელმისაწვდომად გახდომა კლიენტისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება ინტერნეტ ბანკსა და/ან მობაილ ბანკში მისი განთავსების/გამოჩენის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, გაეცნო თუ არა კლიენტი აღნიშნულ დოკუმენტს, ინფორმაციას ან შეტყობინებას.
48. კლიენტი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს ინტერნეტ ბანკი და/ან მობაილ ბანკი და დამოუკიდებლად გაეცნოს მისთვის მიწოდებულ ინფორმაციას, შეტყობინებებსა და დოკუმენტებს.
49. კლიენტი ადასტურებს, რომ ინტერნეტ ბანკი და მობაილ ბანკი უზრუნველყოფს მისთვის მიწოდებული დოკუმენტებისა და ინფორმაციის ნახვის, ჩამოტვირთვის, ელექტრონულად შენახვის და/ან ამობეჭდვის შესაძლებლობას.
50. კლიენტი უარს აცხადებს ბანკის მიმართ ნებისმიერი სახის პრეტენზიის წარდგენაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ დოკუმენტი, ინფორმაცია ან შეტყობინება მისთვის მიწოდებული იქნა ინტერნეტ ბანკისა და/ან მობაილ ბანკის საშუალებით და არა სხვა საკომუნიკაციო არხით.
51. წინამდებარე მუხლი არ ზღუდავს ბანკის უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტთან კომუნიკაციისათვის გამოიყენოს ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო არხი, მათ შორის ელექტრონული ფოსტა, SMS, სატელეფონო კომუნიკაცია, საფოსტო გზავნილი, კურიერი ან კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საშუალება.

მუხლი 20[1]

1. მობაილ ბანკი წარმოდგენს დისტანციური საბანკო მომსახურების არხს, რომლის გამოყენებით კლიენტს ეძლევა საშუალება მიიღოს დისტანციული საბანკო მომსახურება.
2. მობაილ ბანკით მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ, მის კუთვნილ მობილურ ტელეფონში ჩაწერილი პროგრამული აპლიკაციის გამოყენებით, ინტერნეტ ბანკის მომსახურებით სარგებლობას.
3. მობაილ ბანკით სარგებლობისთვის, კლიენტს უნდა ჰქონდეს გააქტიურებული ინტერნეტ ბანკი და გააჩნდეს სათანადო ოპერაციულ სისტემაზე (Android, IOS ან/და შემდგომში ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ოპერაციული სისტემა) მომუშავე მობილური ტელეფონი;
4. მობაილ ბაკის მომხმარებელი უფლებამოსილია განახორციელოს ე.წ. სწრაფი წვდომის აქტივაცია/დეაქტივაცია/ცვლილება (წვდომა განხორციელებული ცოდნის და/ან უნიკალურობის ელემენტის გამოყენებით). ამასთან, კლიენტი აცნობიერებს რისკს, რომ მობაილ ბანკით სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით ეკიდება ელექტრონულ სისტემაში განხორციელებულ ყველა ოპერაციასა თუ მოქმედებას/ტრანზაქციას.
5. მობაილ ბანკით მომსახურებაზე ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირობები.

6. ინტერნეტ ბანკით მომსახურების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს მობაილ ბანკით სარგებლობის შეწყვეტას.

მუხლი 20[2]. ღია ბანკინგი (Open Banking) - მონაცემების გაზიარების წესები და პირობები

1. ღია ბანკინგის ფარგლებში, კლიენტი შეარჩევს პროვაიდერს და პროვაიდერთან განაცხადებს თანხმობას პროკრედიტ ბანკიდან (შემდგომში „ბანკი“) ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. ასეთი ფორმით პროვაიდერთან გაცხადებული თანხმობა შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი.
2. თუ ინფორმაციის გამოთხოვა მრავალჯერადია, კლიენტი აცნობიერებს, რომ პროვაიდერს შეუძლია 24 საათის განმავლობაში ავტომატურად, მრავალჯერადად გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ ცნობილი რაოდენობით (მაქსიმუმ 4-ჯერ).
3. ბანკიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლება გულისხმობს ბანკში დაცული ყველა იმ ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) გამოთხოვას, რომელიც ხელმისაწვდომია ღია ბანკინგით და რომელზეც კლიენტს აქვს გაცხადებული თანხმობა.
4. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბანკის მხრიდან პროვაიდერთან ინფორმაციის გაზიარების შეწყვეტა ნებისმიერი მიზეზით (მათ შორის ვადის გასვლით ან კლიენტის ქმედებით) არ გულისხმობს კლიენტის მიერ შერჩეული პროვაიდერისთვის უკვე გადაცემული ინფორმაციის დამუშავების შეწყვეტას ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით ინფორმაციის უკან გამოთხოვას, გაუქმებას/განადგურებას. სურვილის შემთხვევაში, კლიენტმა თავად უნდა მიმართოს პროვაიდერს მასთან დაცული ინფორმაციის გასანადგურებლად.
5. ინფორმაციის სხვა პროვაიდერისათვის გადაცემის შემდეგ ბანკი კარგავს ამ ინფორმაციის ნებისმიერი სახით დაცვაზე ეფექტურ კონტროლს. შესაბამისად, ბანკი არ აგებს პასუხს ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანზე/დარღვევაზე, რომელიც შეიძლება დადგეს კლიენტის მიერ შერჩეული პროვაიდერის მხრიდან ამ ინფორმაციის საკუთარ სისტემაში გადაწერით/გადატანით ან შემდგომ ეტაპებზე მიზნობრივად ან/და არამიზნობრივად დამუშავების შედეგად, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ღია ბანკინგის ფარგლებში, ბანკი ასრულებს კლიენტის დავალებას მის მიერ შერჩეული პროვაიდერის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი გადაცემის შესახებ.
6. კლიენტს შეუძლია ინტერნეტ ბანკინგში, თანხმობების მართვის გვერდზე ნახოს ღია ბანკინგის ფარგლებში ბანკის მიერ პროვაიდერისთვის გაზიარებული ინფორმაცია. ასევე, კლიენტს შეუძლია ამ გვერდიდანვე გააუქმოს/შეწყვიტოს/გამოითხოვოს გაცემული თანხმობა ბანკის მიერ პროვაიდერისთვის ინფორმაციის გაზიარების შესახებ.
7. ღია ბანკინგის ფარგლებში ინფორმაციის გაზიარების საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვის ან/და პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს (geo.info@procredit-group.com ან +(995 32) 2202222).

თავი VI - ავტომატური გადარიცხვები

ავტომატური გადარიცხვების საერთო დებულებები

მუხლი 21.

1. ავტომატური გადარიცხვები რეგულირდება ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებით და წარმოადგენს გრძელვადიან სამართლებრივ ურთიერთობას. გადარიცხვები წარმოეზს ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს საგადახდო დავალებას ყოველი გადარიცხვისათვის.
2. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს ანგარიშზე გადარიცხვის განხორციელებისთვის და ბანკის შესაბამისი საკომისიოს გადახდისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკმარისი თანხის არსებობა ავტომატური გადარიცხვის თარიღის დადგომამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე.
3. ბანკი იღებს ვალდებულებას შეასრულოს გადარიცხვების ოპერაციები კლიენტის ანგარიშიდან ხელშეკრულების საფუძველზე, მასში მითითებული მონაცემების შესაბამისად.

4. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს გაფორმებული აქვს ერთზე მეტი ხელშეკრულება და მათი შესრულების თარიღი დაემთხვევა ერთ დღეს, მაშინ ბანკი ვალდებულია განახორციელოს ერთეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადარიცხვის ოპერაციები კლიენტის მიერ წარმოდგენილი ავტომატური გადარიცხვების პრიორიტეტის ცხრილის შესაბამისად.
5. ერთზე მეტი ავტომატური გადარიცხვების შესახებ ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ავტომატური გადარიცხვების (ხელშეკრულებების შესრულების) პრიორიტეტების თანრიგის შეცვლა.
6. თავისი შინაარსის გათვალისწინებით ავტომატურ გადარიცხვებზე ვრცელდება საბანკო ანგარიშების საერთო დებულებები, თუ ავტომატური გადარიცხვების საერთო და/ან სპეციალური დებულებები სხვა რამეს არ ითვალისწინებს.
7. კლიენტი უფლებამოსილია, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს (მიუხედავად იმისა, განსაზღვრულია თუ არა ხელშეკრულების ვადა), შეწყვიტოს ბანკთან გაფორმებული ავტომატური გადარიცხვების შესახებ ხელშეკრულება, რისთვისაც აუცილებელია ბანკს აცნობოს წერილობით. ამასთან, ავტომატური გადარიცხვების მიზნებისთვის თუ საგადახდო დავალება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს/დღეებში ან განსაზღვრული პერიოდის/პერიოდების ბოლოს ან ანგარიშზე თანხის განთავსების დღეს, კლიენტს უფლება აქვს გამოითხოვოს ავტომატური საგადახდო დავალება არაუგვიანეს შეთანხმებული დღის წინა სამუშაო დღისა, რა დროსაც საგადახდო დავალების გამოთხოვისთვის მხრეთა შეთანხმებით დაწესებულია შესაბამისი საკომისიო.
8. ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს (მიუხედავად იმისა, განსაზღვრულია თუ არა ხელშეკრულების ვადა), შეწყვიტოს კლიენტთან გაფორმებული ავტომატური გადარიცხვების შესახებ ხელშეკრულება, რისთვისაც აუცილებელია კლიენტს აცნობოს ხუთი კალენდარული დღით ადრე.
9. ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ დაიხურება ხელშეკრულებაში მითითებული ანგარიში.

ავტომატური გადარიცხვების სპეციალური დებულებები

მუხლი 22.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„კომუნალური დავალიანების ავტომატური გადარიცხვების შესახებ“.**
2. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას მოახდინოს დავალიანების გადახდა ხელშეკრულებაში მითითებული ანგარიშიდან კომუნალური მომსახურების კომპანიის მიერ მონაცემთა ბაზაში დავალიანების დაფიქსირების პერიოდულობის შესაბამისად.
3. კლიენტის მიერ მაქსიმალური თანხის მითითების შემთხვევაში, თუ კომუნალური მომსახურების კომპანიის მიერ გადმოცემული დავალიანების თანხა მეტი იქნება კლიენტის მიერ მითითებულ მაქსიმალურ გადასარიცხ თანხაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადარიცხვა ბანკის მიერ არ შესრულდება.

მუხლი 23.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„ავტომატური გადარიცხვების შესახებ“.**
2. ბანკი იღებს ვალდებულებას შეასრულოს გადარიცხვების ოპერაციები კლიენტის ძირითადი ანგარიშიდან, ხელშეკრულებაში მითითებული მონაცემების შესაბამისად.
3. იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხვის მომენტისათვის ხელშეკრულებაში მითითებულ ძირითად ანგარიშზე რიცხული ნაშთი არ იქნება საკმარისი ავტომატური ოპერაციის განხორციელებისა და ბანკის შესაბამისი საკომისიოს გადახდისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაშინ ამ ანგარიშზე საკმარისი თანხის უზრუნველყოფის მიზნით ბანკი ვალდებულია გამოიყენოს ხელშეკრულებით განსაზღვრული დამატებითი ანგარიშები (მათ შორის განსხვავებულ ვალუტაში) და მათზე არსებული თანხები გადაიტანოს ძირითად ანგარიშზე. დამატებითი ანგარიშების გამოყენება ხდება

ხელშეკრულებაში მითითებული პრიორიტეტების გათვალისწინებით. ანგარიშების პრიორიტეტები დგინდება ხელშეკრულებაში მათი მითითების რიგითობის მიხედვით.

4. ავტომატური გადარიცხვის შესასრულებლად ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულებაში მითითებული დამატებითი ანგარიშებიდან შეასრულოს კონვერტაციის ოპერაციები კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე. კონვერტაცია განხორციელდება გადარიცხვის მომენტისათვის ბანკში არსებული კომერციული კურსით.
5. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს ძირითად ან დამატებით ანგარიშებზე გადარიცხვის განხორციელებისთვის საკმარისი თანხის არსებობა ავტომატური გადარიცხვის თარიღის დადგომამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე.
6. კლიენტი უფლებამოსილია შეცვალოს კონკრეტულ ხელშეკრულებაში დამატებითი ანგარიშები ან/და მათი პრიორიტეტის რანგირება.
7. ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება ასევე იმ შემთხვევაში, თუ დაიხურა ხელშეკრულების ძირითადი ანგარიში და/ან ის ანგარიში, რომელიც გახსნილია პროკრედიტ ბანკში და რომელზეც ხდება თანხის გადარიცხვა.

თავი VII - SMS მომსახურება

მუხლი 24.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება „SMS მომსახურების შესახებ“.
2. ბანკი უგზავნის კლიენტს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და/ან წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციას მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით მობილური ტელეფონის ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ნომერზე. კლიენტი უფლებამოსილია აირჩიოს შემდეგი ტიპის შეტყობინებები: ინფო სერვისი 2022, ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა/შეტანა და პოს-ტერმინალის ჯამური ჩარიცხვები.
3. თუ ხელშეკრულებით არჩეულია შეტყობინება “ინფო სერვისი 2022”, მაშინ კლიენტს შეუძლია სასურველი ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით ხელშეკრულებაში მითითებული მობილური ტელეფონის ნომრიდან SMS-ით გააგზავნოს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი SMS კოდი ნომერზე: 2022.

SMS კოდი	მნიშვნელობა
0	ინფორმაცია SMS კოდების და მათი მნიშვნელობების შესახებ
1	მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია
2	მიმდინარე ანგარიშებზე ხელმისაწვდომი ნაშთების შესახებ ინფორმაცია
3	შემნახველ ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია
4	ზრდად ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია
5	საკრედიტო შენატანის დავალიანების შესახებ ინფორმაცია
6	ვალუტის ოფიციალური კურსები: USD, EUR, GBP, RUR
7	ვალუტის გაცვლის კომერციული კურსები: USD/GEL, EUR/GEL, EUR/USD
8	ვალუტის გაცვლის კომერციული კურსები: GBP/GEL, RUR/GEL
9	მიმდინარე ანგარიშების რეკვიზიტები
10	შემნახველი ანგარიშების რეკვიზიტები
11	ინფორმაცია საკრედიტო ბარათის შესახებ
12	ინფორმაცია საკრედიტო ბარათის შესახებ
13	შეტყობინებათა ენის (ქართული/ინგლისური) შეცვლა
14	ინფორმაცია პლასტიკური ბარათების დასახელების, ნომრის და ბარათის დაბლოკვის მეთოდის შესახებ

4. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ხელშეკრულებით ამორჩეული აქვს შეტყობინების “პოს-ტერმინალის ჯამური ჩარიცხვები” რეჟიმი, კლიენტი მიიღებს ინფორმაციას ჯამური ბრუნვების შესახებ მის თითოეულ პოს-ტერმინალზე ცალ-ცალკე. SMS იგზავნება ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემდეგ და მასში მითითებულია ინფორმაცია წინა დღეს შესრულებული ბრუნვების შესახებ. პოს-ტერმინალით თანხის დაბრუნების შემთხვევაში დაბრუნებული თანხა დააკლდება თანხის დაბრუნების დღეს არსებულ ჯამურ ბრუნვას. არასამუშაო დღეს შესრულებული/ჩარიცხული ბრუნვების შესახებ ინფორმაცია იგზავნება მომდევნო სამუშაო დღეს ცალ-ცალკე დღეების მიხედვით.

5. კლიენტი ბანკში შეტყობინების გაგზავნისთვის მის მომსახურე სატელეფონო კომპანიას უხდის სატელეფონო კომპანიის მიერ SMS შეტყობინების გაგზავნისათვის დადგენილ საფასურს.
6. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს, დაამატოს ან გააუქმოს ხელშეკრულებით არჩეული შეტყობინებები.
7. კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულებაში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამის შესახებ წერილობითი ფორმით და გააფორმოს ბანკთან ახალი ხელშეკრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის ანგარიშების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევაზე და დამდგარ ზიანზე.

თავი VIII - სატელეფონო პინ-კოდით მომსახურება

მუხლი 25.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„სატელეფონო პინ-კოდით მომსახურებაზე“.**
2. სატელეფონო პინ-კოდის საშუალებით ბანკი ახდენს კლიენტის იდენტიფიკაციას და აწვდის მას ანგარიშ(ებ)თან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას. დამატებით კლიენტს უფლება აქვს, ტელეფონის საშუალებით განახორციელოს საკუთარ ანგარიშებზე ვალუტის უნაღდო კონვერტაცია, და მისცეს ბანკს საგადახდო დავალება საკუთარ ანგარიშებს შორის თანხ(ებ)ის (ნებისმიერ ვალუტაში) გადარიცხვის შესახებ.
3. ზემოთ მითითებული ოპერაციების შესრულებისას, ბანკის მიერ კლიენტის იდენტიფიკაცია ხდება მხოლოდ სატელეფონო პინ-კოდისა და კლიენტის სახელი-გვარის/დასახელების მიხედვით. ბანკი ასევე უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, თავისი შეხედულებისამებრ, კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით გადაამოწმოს მის ხელთ არსებული სხვა მონაცემებიც. ბანკი ახდენს კლიენტსა და ბანკს შორის სატელეფონო საუბრის ჩაწერას და საკუთარი შეხედულებისამებრ ჩანაწერის სხვადასხვა სახით, მათ შორის არაავტომატური, ნახევრად ავტომატური და/ან ავტომატური წესით/საშუალებით დამუშავებას, გამომდინარე ბანკის მართლზომიერი მიზნებიდან.
4. კლიენტისათვის გადაცემული/მინიჭებული პინ-კოდი აღირიცხება და კლიენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტ/მობაილ ბანკში. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს სატელეფონო პინ-კოდის ციფრების კომბინაცია. ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს მოქმედი პინ-კოდი და გადასცეს კლიენტს ახალი პინ-კოდი. კლიენტის მიერ სატელეფონო პინ-კოდის დავიწყების შემთხვევაში, ბანკის მხრიდან არ ხორციელდება კლიენტისთვის პინ-კოდის შეხსენება და კლიენტის სურვილისამებრ გაიცემა ახალი პინ-კოდი. კლიენტი ვალდებულია, დაიცვას წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები.
5. ბანკი არ იღებს პასუხისმგებლობას კლიენტის მიერ მესამე პირისათვის სატელეფონო პინ-კოდის გადაცემის და/ან პინ კოდის დაკარგვის/მოპარვის გამო დამდგარ, კლიენტისათვის არასასურველ, შედეგებზე. კლიენტის მიერ სატელეფონო პინ-კოდის დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით შეატყობინოს ამის შესახებ ბანკს და უფლებამოსილია გააუქმოს მომსახურება სატელეფონო პინ-კოდით ან შეცვალოს სატელეფონო პინ-კოდი.
6. (გაუქმებულია)
7. ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ავტომატურად უქმდება ბანკში კლიენტის ბოლო ანგარიშის დახურვისთანავე.

თავი VIII[1] - ელექტრონული ყულაბის მომსახურება

მუხლი 25[1]. ელექტრონული ყულაბის პირობები

1. ბანკსა და კლიენტს შორის დისტანციურად თანხმდება ელექტრონული ყულაბის პირობები. კერძოდ, ელექტრონული ყულაბის საშუალებით, კლიენტი ფიზიკური პირი უფლებამოსილია, განახორციელოს თანხის დაგროვება მის მიერ ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული მიმდინარე ანგარიშიდან ანაბრის ანგარიშზე. ამასთან, თანხის დაგროვება განხორციელდება კლიენტის მიერ წინასწარ

განსაზღვრული ოდენობით და იმ პირობით, რომ კლიენტი ფლობს ბანკის მიერ ემიტირებულ და ელექტრონული ყულაბისთვის შერჩეულ ერთ აქტიურ სადებეტო ბარათს.

2. ელექტრონული ყულაბის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის ჭრილში გახსნისლ ზრდად ან შემნახველი ყულაბის ანაბარზე. ამასთან, ერთი შემნახველი ყულაბის ანაბრის ანგარიშზე შესაძლებელია ერთი ელექტრონული ყულაბის მომსხურების გააქტიურება.
3. ელექტრონული ყულაბის საშუალებით, თანხის დაგროვება ხდება კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე განხორციელებულ თითოეულ ტრანზაქციაზე, წინასწარ დადგენილი ოდენობით.
4. ელექტრონული ყულაბის მომსახურების ფარგლებში თითოეულ ოპერაციაზე დასაგროვებელი თანხის ოდენობა წინასწარ განისაზრვრება კლიენტის მიერ და მომსახურებისთვის განკუთვნილი ანაბრის ანგარში შესაძლებელია იყოს მხოლოდ ლარში.
5. ანაბრის ანგარიშზე თანხის გადარიხვა განხორციელდება მხოლოდ სალარე საბარათე შესყიდვის ტრანზაქციის შემთხვევაში.
6. კლიენტი ვერ შეძლებს, ელექტრონული ყულაბით სარგებლობას, თუ მიმდინარე ანგარიშზე არ იქნება მიბმული სადებეტო ვიზა (VISA) ან/და მასტერქარდ (MASTERCARD) აქტიური ბარათი;
7. ელექტრონული ყულაბის გააქტიურებით კლიენტი თანხმდება შემნახველი ყულაბის პირობებს. ამასთან, ერთი კლიენტის მიერ შესაძლებელია რამდენიმე ელექტრონული ყულაბის გააქტიურება.
8. ელექტრონული ყულაბით დასაგროვებელი თანხის გადათვლა განხორციელდება შესაბამისი ოპერაციის ამანოწერში ასახვის დღეს და გადაირიცხება შესაბამისი ანაბრის ანგარიშზე.
9. იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული საბარათე ტრანზაქციის შემდეგ მიმდინარე ლარის ანგარიშზე არ იქნება განთავსებული ელექტრონული ყულაბის მომსახურების გასაწევად აუცილებელი თანხა, აღნიშნული ოპერაცია კონკრეტული ტრანზაქციის ჭრილში არ შესრულდება და არ მოხდება მისი დაკომპენსირება მომდევნო ტრანზაქციის დროს, ასევე არ მოხდება სხვა სავალუტო ანგარიშიდან თანხის კონვერტაცია შემდეგი დაგროვების მიზნით.
10. ბანკი უფლებამოსილია არ მოახდინოს დაგროვებული თანხის ანაბრის ანგარიშზე გადატანა, იმ შემთხვევაში, თუ ანაბრის ანგარიშზე არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა და შესაბამისად შეზღუდულია აღნიშნულ ანგარშიზე ჩარიცხვა ან გადარიცხვა.
11. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გახსნას ან დახუროს ელექტრონული ყულაბის მომსახურება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დაიხურება კლიენტის მიმდინარე ლარის ანგარიში, რომლის საშუალებით ხდება სალარე საბარათე ტრანზაქციების წარმოება, ელექტრონული ყულაბით სარგებლობა ავტომატურად შეწყდება.
12. ელექტრონული ყულაბის გაუქმების შემთხვევაში ანაბარი „შემნახველი ყულაბა“ ავტომატურად იხურება, ხოლო ზრდადი ანაბარი - არა.
13. ელექტრონული ყულაბის მომსახურების სარგებლბისას გააქტიურებული ანაბრის ანგარიშის ნებისმიერი მიზეზით დახურსვის ან მიმდინარე ანგარიშის დახურვის ან ბარათის გაუქმების/ვადის გასვლის შემთხვევაში, ავტომატურად განხორციელდება ელექტრონული ყულაბის მომსახურების გამორთვა.
14. იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული ყულაბის გააქტიურება ხდება ზრდად ანაბარზე, რომელის ვადა ბარათის მოქმედების ვადაზე მეტია, ელექტრონული ყულაბის მომსახურების ვადა განისაზრვრება ბარათის მოქმედების ვადით, ხოლო თუ ზრდადი ანაბრის ვადა ნაკლებია ბარათის მოქმედების ვადაზე, ელექტრონული ყულაბის მომსახურების ვადა განისაზრვრება ზრდადი ანაბრის მოქმედების ვადით.
15. იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული ყულაბის გააქტიურება ხდება „შემნახველი ყულაბის“ ანაბარზე, სერვისის ვადა განისაზღვრება ბარათის მოქმედების ვადით.

თავი VIII² - იმეილბანკის მომსახურება

მუხლი 25². იმეილბანკის მომსახურების პირობები

1. იმეილბანკის მომსახურების მიღების უფლება აქვს საბანკო პროდუქტების ნაკრები “პრემიუმი”-თ მოსარგებლე კლიენტ ფიზიკურ პირს, რომელსაც ყავს პირადი ფიზიკური პირების მრჩეველი, ბანკში დაფიქსირებული აქვს შეთანხმებული ელ.ფოსტა და ბანკთან გაფორმებული აქვს “შეთანხმება იმეილბანკის გააქტიურების შესახებ”.
2. იმეილბანკის მომსახურების ფარგლებში კონკრეტული მომსახურების მისაღებად, კლიენტი უნდა დაუკავშირდეს ფიზიკური პირების მრჩეველს და მიაწოდოს მოთხოვნილი საბანო მომსახურების გაწევისათვის საჭირო ინფორმაცია და დეტალები.
3. თავის მხრივ, ფიზიკური პირების მრჩეველი კლიენტისაგან მიღებულ დავალებას ასახავს/დაარეგისტრირებს ბანკის პროგრამაში და საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების შინაარსიდან გამომდინარე, მოახდენს კლიენტის ვერიფიკაციას.
4. იმეილბანკის კონკრეტული მომსახურების გაწევა დამოკიდებულია კლიენტის მიერ ბანკის მოთხოვნის შესაბამისად და ბანკის მიერ დადგენილი პირობებით ვერიფიკაციის გავლასთან, რომელიც განხორციელდება ერთჯერადი კოდით, რომელსაც კლიენტი მიიღებს სატელეფონო საუბრის განმავლობაში, კონკრეტული მომსახურების დისტანციურად მიღების მიზნით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ავტორიზაციისთვის, იდენტიფიკაციის ან/და ვერიფიკაციისათვის გამოიყენოს კანონით ნებადართული სხვა მეთოდიც. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ მეთოდს ცალმხრივად ირჩევს ბანკი. ხოლო, წარუმატებელი იდენტიფიკაციის ან/და ვერიფიკაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს ან/და არ შეასრულოს კლიენტის მოთხოვნა.
5. იმეილბანკით დაშვებული ოპერციების ჩამონათვალი:
   5.1. საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გაცემა;
   5.2. ანაბრის გახსნა;
   5.3. თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში საკუთარ/სხვის ანგარიშზე;
   5.4. თანხის კონვერტაცია;
   5.5. ავტომატური დავალებების მომსახურების გააქტიურება/გაუქმება;
   5.6. სესხის ნაწილობრივი/სრული დაფარვა;
   5.7. ოფსეტის ფუნქციონალის ჩართვა/გამორთვა;
   5.8. ბანკის მიერ დადგენილი სხვა ოპერაციის შესრულება.
6. ბანკი უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის და ბანკის შიდა პოლიტიკა/პროცედურების, ასევე მომსახურებასთან დაკავშირებული რისკების შესაბამისად, ყოველი კონკრეტული მომსახურების გასაწევად, საჭიროების შემთხვევაში, კლიენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის წარმოდგენა. შესაბამისად, კლიენტისათვის ცნობილია, რომ იმეილბანკის კონკრეტული მომსახურების გაწევას ბანკი შეძლებს მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის სრულყოფილად მიწოდების შემდეგ.
7. ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის მოთხოვნა თუ არსებობს ეჭვი უსაფრთხოების დაცვასთან ან მოთხოვნა ბანკის მიერ შეფასდება საეჭვოდ.
8. იმეილბანკის მომსახურების ფარგლებში ბანკის ელ. ფოსტის მისამართი არის geo.emailbank@procredit-group.com.
9. ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის მიერ შეთანხმებული მეილის არასწორად/არასრულად ჩაწერის შემთხვევაში მომსახურების გაწევის შეუძლებლობის ან ნებისმიერი სახის ხარვეზის შემთხვევაში დამდგარ ზიანზე ან/და ხარჯზე, ასევე ისეთ ზიანზე ან/და ხარჯზე, რომელიც კლიენტს მიადგა/მიადგება შეთანხმებული მეილის არაავტორიზებული გამოყენების გამო.
10. ბანკი უფლებამოსილია ავტომატურად გააუქმოს კლიენტის მოთხოვნა თუ ბანკის მიერ მოთხოვნის შესრულების დროს კლიენტის შესაბამის ანგარიშზე არ იქნება ხელმისაწვდომი ნაშთი.
11. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით, კლიენტის დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს დააწესოს როგორც იმეილბანკით მომსახურების, ასევე იმეილბანკის მომსახურების ფარგლებში გასაწევი საბანკო ოპერაციების საკომისიო, ან/და შეცვალოს მოქმედი საკომისიოს ოდენობა, მისი დარიცხვის და გადახდის წესი.
12. კლიენტი ვალდებულია ყოველი მოთხოვნის წინ გაეცნოს მომსახურების ტარიფებს (ტარიფები განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge) და ბანკში მოთხოვნის გაგზავნის კონკრეტული მომენტისათვის მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს როგორც იმეილბანკით, ასევე მოთხოვნილი კონკრეტული მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია მოთხოვნის მომენტში ბანკში მოქმედი ტარიფების

შესაბამისად კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოწეროს საკომისიოს თანხა.

13. მომსახურების უსაფრთხოების და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის, კლიენტი ვალდებულია იმეილბანკით მომსახურების დროებით შეჩერების, შეწყვეტის ან/და შეთანხმებული მეილის შეცვლის, მასზე წვდომის/ფლობის/განკარგვის უფლების დაკარგვამდე არანაკლებ 2 (ორი) საბანკო დღით ადრე აცნობოს ბანკს წერილობითი ფორმით.
14. იმეილბანკის მომსახურების მიღება შესაძლებელია ბანკის სამუშაო დღის და სამუშაო საათების განმავლობაში.
15. კლიენტისათვის ასევე ცნობილია, რომ იმეილბანკის მომსახურების შეუფერხებელი გაწევა დამოკიდებულია სხვადასხვა ელექტრონულ/ქსელურ ტექნოლოგიაზე, რომელსაც ბანკი იღებს სხვადასხვა მომწოდებლებისგან. შესაბამისად, ბანკი მიმართავს მის ხელთ არსებულ ყველა ზომას შეასრულოს კლიენტისგან მიღებული დავალება, მაგრამ ვერ გასცემს გარანტიას, რომ დავალებას კლიენტისგან ყოველთვის მიიღებს. შესაბამისად, კლიენტისათვის ცნობილია, რომ მის მიერ ბანკისათვის გაგზავნილი დავალების მიღება, შესრულება ან მისთვის ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია დაგვიანდეს, შეჩერდეს, ან დაყოვნდეს. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის პირდაპირ ან ირიბ ზარალზე, ზიანზე, ხარჯებზე, რომელიც კლიენტმა მიიღო ამგვარი დაგვიანების/არ მიღების შედეგად.
16. კლიენტისათვის ცნობილია, რომ იმეილბანკის მომსახურება დაფუძნებულია მის მიერ შეთანხმებულ მეილის ქონას, ფლობასა და განკარგვის შესაძლებლობაზე. შესაბამისად, კლიენტი აცნობიერებს თავის ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს შეთანხმებულ მეილზე წვდომის ან ფლობის დაკარგვისთანავე, ასევე ნებისმიერი ისეთი გარემოების დადგომისთანავე, რამაც შესაძლოა გამოწვიოს ბანკის მხრიდან მისთვის მომსახურების უსაფრთხოდ მიწოდების დარღვევა, ან ასეთი დარღვევის საფრთხე.
17. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით, პერიოდულად მოითხოვოს კლიენტისაგან შეთანხმებული მეილის ვერიფიკაცია ბანკში დადგენილი წესების და პირობების შესაბამისად. წინამდებარე მუხლში მოცემული ნებისმიერი გარემოების დადგომის, ან ასეთი საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს, შეზღუდოს ან შეწყვიტოს კლიენტის მიერ იმეილბანკის სარგებლობის უფლება.
18. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე შეცვალოს იმეილბანკის მომსახურების წესები და პირობები, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად გაზარდოს/შეამციროს მომსახურების ჩამონათვალი, ან შეწყვიტოს/დროებით შეაჩეროს იმეილბანკის მომსახურება. აღნიშნულთან დაკავშირებით კლიენტის ინფორმირება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ვადებში.
19. კლიენტი ადასტურებს, რომ შეთანხმებული მეილზე მიღებული ნებისმიერი შეტყობინება და/ან შეთავაზება, ასევე მის მიერ შეთანხმებული მეილიდან განხორციელებული/გამოხატული თანხმობა/დასტური ჩაითვლება კლიენტის მიერ განხორციელებულ ნების ნამდვილ გამოვლენად/შეტყობინებად/თანხმობად და შეთავაზებად.
20. ბანკის მხრიდან იმეილბანკის მომსახურების გაწევის მიზნებისათვის, კლიენტის მიერ მოთხოვნილი საბაკო ოპერაციის/მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე, კლიენტი ვალდებულია წარმოუდგინოს ბანკს შესაბამისი ოპერაციის/მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია. ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს/დაასრულოს კლიენტის მოთხოვნა, არ გაუწიოს მომსახურება თუ არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
21. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ იმეილბანკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულებებზე, შეთანხმებებზე, დანართებზე და სხვა სახის დოკუმენტებზე შეთანხმებული მეილიდან თანხმობის გამოხატვა/დადასტურება. შესაბამისად, კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბანკის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი დოკუმენტის/ინფორმაციის (მათ შორის ხელშეკრულება) დადასტურება შეთანხმებული მეილიდან გაუთანაბრდება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე პირად ხელმოწერას და ამ ფორმით დადასტურებული დოკუმენტი/ინფორმაცია/ხელშეკრულება არ შეიძლება გახდეს სადავო მხოლოდ იმის გამო, რომ მასზე არ არის კლიენტის ხელმოწერა.
22. ბანკი უფლებამოსილია შეინახოს იმეილბანკის მომსახურების ფარგლებში განხორციელებული ყველა მიმოწერა და კომუნიკაცია ბანკის მიერ დადგენილი ვადით. კლიენტისათვის ცნობილია და თანახმაა, რომ მის მიერ იმეილბანკის მომსახურების ფარგლებში ბანკში წარმოდგენილი მონაცემები, დოკუმენტები ან ინფორმაცია შესაძლოა ბანკის მიერ გამოყენებულ იქნეს მტკიცებულების სახით,

ასევე აღნიშნული მონაცემები, დოკუმენტები და ინფორმაცია წარმოადგენს ბანკის საკუთრებას და აქვს კანონმდებლობით მინიჭებული იურიდიული ძალა.

23. კლიენტის მიერ გაცემული მოთხოვნის შესრულებაზე ბანკის მხრიდან უარის შემთხვევაში, ბანკი შეატყობინებს კლიენტს აღნიშნულის შესახებ ბანკის ელ.ფოსტის მისამართიდან შეთანხმებულ მეილზე გაგზავნილი შეტყობინებით.
24. ნებისმიერი პირობა, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე იმეილბანკი-ით მომსახურების პირობებით, რეგულირდება ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

თავი IX - საბაზისო საბანკო პროდუქტებით/საბანკო პროდუქტების ნაკრებით სარგებლობა საერთო დებულებები

მუხლი 26.

1. კლიენტისათვის აღნიშნული თავის სპეციალური დებულებებით განსაზღვრული საბანკო მომსახურებების გაწევა ხორციელდება საბაზისო საბანკო პროდუქტებით/საბანკო პროდუქტების ნაკრებით სარგებლობაზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.
2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის კლიენტი უკვე სარგებლობს საბაზისო საბანკო პროდუქტებით/საბანკო პროდუქტების ნაკრებით სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული სერვისებით/საბანკო პროდუქტ(ებ)ით, მაშინ კლიენტზე უკვე დარეგისტრირებული საბანკო პროდუქტ(ებ)ის ხელახალი რეგისტრაცია და აღნიშნულ პროდუქტებზე ახალი ხელშეკრულებების/შეთანხმებების გაფორმება აღარ ხდება.
3. საბაზისო საბანკო პროდუქტებით/საბანკო პროდუქტების ნაკრებით სარგებლობის ხელშეკრულება მოქმედებს ბანკში კლიენტის ყველა ანგარიშის დახურვამდე.
4. საბანკო მომსახურების პირობების/საბანკო პროდუქტების ნაკრების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს საბაზისო საბანკო პროდუქტებით/საბანკო პროდუქტების ნაკრებით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფები. კლიენტი ადასტურებს, რომ გაეცნო საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობისთვის დადგენილ შესაბამის ტარიფებს, ეთანხმება მათ და პრეტენზია არ გააჩნია.
5. ის საკითხები და ასევე ის ტარიფები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით/წინამდებარე დოკუმენტით და საბაზისო საბანკო პროდუქტებით/საბანკო პროდუქტების ნაკრებით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფებით, განისაზღვრება თითოეულ საბანკო მომსახურებაზე/პროდუქტზე გაფორმებული ხელშეკრულებით/შეთანხმებით და ბანკის მიერ დადგენილი სტანდარტული ტარიფებით.
6. აღნიშნული თავით განსაზღვრული დებულებები 2017 წლის 10 ივლისიდან ვრცელდება სახელფასო პროექტის, ონლაინ ანგარიშისა და სერვის პაკეტით მოსარგებლე, ასევე ბანკის ყველა არსებულ კლიენტზე.

სპეციალური დებულებები

მუხლი 27. მომსახურება სახელფასო პროექტის პაკეტით (ამოღებულია 10/07/2017)

მუხლი 28. მომსახურება სერვის პაკეტით (ამოღებულია 10/07/2017)

მუხლი 29. მომსახურება ონლაინ ანგარიშის პაკეტით (ამოღებულია 10/07/2017)

მუხლი 29[1]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - „ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება“ / „ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტული მომსახურება“ / „ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება“ /„ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება +“/„ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება +“

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ“ (“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტული მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება +“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება +“).
2. საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობა („ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტული მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება +“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება +“) გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ.
3. საბაზისო საბანკო პროდუქტებში („ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტული მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება +“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება +“) შემავალი საბანკო პროდუქტებია:
   7.1. ერთი მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიში;
   7.2. ინტერნეტ ბანკის სრული პაკეტი;
   7.3. ვიზა ბიზნეს ბარათი (1 ცალი შემდეგი საბაზისო საბანკო პროდუქტებისთვის -„ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტული მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება“; 2 ცალი შემდეგი საბაზისო საბანკო პროდუქტებისთვის - “ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება +“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება +“);
   7.4. 2 ცალი სადეპოზიტო ბარათი (აღნიშნული პროდუქტი არ შედის “ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტულ მომსახურებაში“);
   7.5. SMS მომსახურება (1 აბონენტზე);
   7.6. ავტომატური გადარიცხვა;
   7.7. სატელეფონო პინ–კოდი.
   7.8. ინდივიდუალური კურსით საკონვერტაციო ოპერაციების წარმოება (მხოლოდ შემდეგი საბაზისო საბანკო პროდუქტებისთვის - “ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება +“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება +“).
4. ევროსთან მიმართებაში ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრი რყევების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, აღნიშნულის გამო, წელიწადში ორჯერ, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული “ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება +“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება +“-ის საბაზისო საბანკო პროდუქტების სარგებლობისთვის დადგენილი ფიქსირებული საკომისიოს ოდენობა.

მუხლი 29[2]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - „აქტიური ანგარიშით მომსახურება“ / „უნივერსალური აქტიური ანგარიში“ (აღნიშნული პროდუქტი ახალ კლიენტზე აღარ გაიხსნება 20.09.2022 წლიდან)

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ” („აქტიური ანგარიშით მომსახურება“ / „უნივერსალური აქტიური ანგარიში“).
2. საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობა („აქტიური ანგარიშით მომსახურება“ / „უნივერსალური აქტიური ანგარიში“) გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ.

3. საბაზისო საბანკო პროდუქტებში („აქტიური ანგარიშით მომსახურება“ / „უნივერსალური აქტიური ანგარიში“) შემავალი საბანკო პროდუქტებია:
   3.1. ერთი მიმდინარე ანგარიში ლარში, აშშ დოლარში, ევროში;
   3.2. შემნახველი ანაბარი Flex Save/ Flex Save+ (მიმდინარე ანგარიშის შესაბამის ვალუტაში);
   3.3. ინტერნეტ ბანკის სრული პაკეტი;
   3.4. პლასტიკური ბარათი (1 ცალი სადებეტო MasterCard აქტიური ბარათი; კლიენტის მიერ ინტერნეტ ბანკით დამატებითი შეკვეთილი 1 ცალი Visa ბარათი);
   3.5. ვიზა კლასიკის ტიპის უკონტაქტო ბარათი Pay Sticker (1 ცალი), მხოლოდ „უნივერსალური აქტიური ანგარიში“ -თვის;
   3.6. SMS მომსახურება (1 აბონენტზე);
   3.7. ავტომატური გადარიცხვა;
   3.8. კომუნალური დავალიანების ავტომატური გადარიცხვა;
   3.9. სატელეფონო პინ–კოდი;
   3.10. შეღავათიანი საკონვერტაციო ოპერაციების წარმოება.
4. აღნიშნული მომსახურების ფარგლებში კლიენტს ეხსნება მხოლოდ ერთი მიმდინარე ანგარიში ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში (მხოლოდ აშშ დოლარი და/ან ევრო) თითო დამატებითი ანგარიშ(ებ)ის გახსნა ხორციელდება კლიენტის განაცხადების საფუძველზე.
5. კლიენტის ანგარიშზე ლარის, აშშ დოლარის და ევროს ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს თანხის კონვერტირებას და კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვას შემდეგი პროცედურის დაცვით: ზემოაღნიშნული თანხა პირველ რიგში დაკონვერტირდება და ჩაირიცხება კლიენტის აშშ დოლარის ანგარიშზე. თუ კლიენსტ არ აქვს გახსნილი აშშ დოლარის ანაგრიში ბანკში, თანხა დაკონერტირდება ევროში და ჩაირიცხება კლიენტის ევროს ანგარიშზე, ხოლო თუ კლიენტს არ აქვს არც ერთი ზემოაღნიშნული სავალუტო ანგარიში, ხსენებული თანხა დაკონვერტირდება ლარში და ჩაირიცხება კლიენტის - ლარის ანგარიშზე.
6. ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს არსებული სს ,,პროკრედიტ ბანკის“ კომერციული გაცვლითი კურსით.
7. წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტების/მომსახურების გარდა, სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტით/მომასხურებით სარგებლობის შემთხვევაში, ფიქსირებული საკომისიოს გარდა კლიენტი იხდის სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტის სარგებლობისათვის/მომსახურების მიღებისათვის დაწესებულ საკომისიოს.
8. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმა, ავტომატურად იწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას/ანგარიშების დახურვას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.
9. ევროსთან მიმართებაში ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრი რყევების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, აღნიშნულის გამო, წელიწადში ორჯერ, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული საბაზისო საბანკო პროდუქტების სარგებლობისთვის დადგენილი ფიქსირებული საკომისიოს ოდენობა.
10. თუ კლიენტს არ ჩამოეჭრება საბანკო ანგარიშის მომსახურების საკომისიო ნებისმიერი, ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (მაგ: ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობა, ყადაღა, ინკასო და ა.შ.) ზედიზედ 4 (ოთხი) კალენდარული თვის განმავლობაში და ამავდროულად კლიენტი არ სარგებლობს აქტიური ვადიანი დეპოზიტით/სადეპოზიტო სერტიფიკატით, ან/და აქტიური საკრედიტო პროდუქტით (გარდა ისეთი აქტიური საკრედიტო პროდუქტისა, რომელიც ვადაგადაცილებაშია არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში), ბანკი ავტომატურად, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე, შეუცვლის წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ მომსახურებას 29[7] მუხლში მოცემული **„ანგარიში სტანდარტი“**-ს პირობების შესაბამისად.

11. წინა პუნქტის შესაბამისად „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილ კლიენტს შეუნარჩუნდება „ანგარიში სტანდარტი“-ს პირობებით მომსახურება სანამ არ მოითხოვს მის შეცვლას.
12. „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილი კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე დოკუმენტის 29^4 – 29^8 მუხლებში მოცემული ნებისმიერი საბაზისო საბანკო პროდუქტით სარგებლობაზე გადაყვანა, რისთვისაც უნდა მიმართოს ბანკს (ბანკისათვის მიმართვა შეიძლება განხორციელდეს წერილობით, ინტერნეტ ბანკით და ა.შ.) და მოხდეს მისი იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია.
13. შესაბამისი მოთხოვნა კლიენტმა უნდა წარმოადგინოს ბანკის სამუშაო საათების განმავლობაში. არასამუშაო საათებში/დღეებში გაკეთებული მოთხოვნა ბანკის მიერ შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 29^3. საბაზისო საბანკო პროდუქტები - „პასიური ანგარიშით მომსახურება“ (აღნიშნული პროდუქტი ახალ კლიენტზე აღარ გაიხსნება 20.09.2022 წლიდან)

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ” („პასიური ანგარიშით მომსახურება“).
2. საბაზისო საბანკო პროდუქტებით („პასიური ანგარიშით მომსახურება“) სარგებლობა გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ.
3. საბაზისო საბანკო პროდუქტებში („პასიური ანგარიშით მომსახურება“) შემავალი საბანკო პროდუქტებია:
   3.1. ერთი მიმდინარე ანგარიში ლარში, აშშ დოლარში, ევროში;
   3.2. შემნახველი ანაბარი Flex Save / Flex Save + (მიმდინარე ანგარიშის შესაბამის ვალუტაში);
   3.3. ინტერნეტ ბანკის სრული პაკეტი;
   3.4. პლასტიკური ბარათი, მხოლოდ თანხის განაღდების უფლებით (1 ცალი Visa ბარათი);
   3.5. SMS მომსახურება (1 აბონენტზე);
   3.6. სატელეფონო პინ–კოდი;
4. აღნიშნული მომსახურების ფარგლებში კლიენტს ეხსნება მხოლოდ ერთი მიმდინარე ანგარიში ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში (მხოლოდ აშშ დოლარი და/ან ევრო) თითო დამატებითი ანგარიშ(ებ)ის გახსნა ხორციელდება კლიენტის განაცხადების საფუძველზე.
5. კლიენტის ანგარიშზე ლარის, აშშ დოლარის და ევროს ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს თანხის კონვერტირებას და კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვას შემდეგი პროცედურის დაცვით: ზემოაღნიშნული თანხა პირველ რიგში დაკონვერტირდება და ჩაირიცხება კლიენტის აშშ დოლარის ანგარიშზე. თუ კლიენსტ არ აქვს გახსნილი აშშ დოლარის ანაგრიში ბანკში, თანხა დაკონერტირდება ევროში და ჩაირიცხება კლიენტის ევროს ანგარიშზე, ხოლო თუ კლიენტს არ აქვს არც ერთი ზემოაღნიშნული სავალუტო ანგარიში, ხსენებული თანხა დაკონვერტირდება ლარში და ჩაირიცხება კლიენტის - ლარის ანგარიშზე.
6. ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს არსებული სს ,,პროკრედიტ ბანკის“ კომერციული გაცვლითი კურსით.
7. წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტების/მომსახურების გარდა, სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტით/მომასხურებით სარგებლობის შემთხვევაში, ფიქსირებული საკომისიოს გარდა კლიენტი იხდის სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტის სარგებლობისათვის/მომსახურების მიღებისათვის დაწესებულ საკომისიოს.
8. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმა, ავტომატურად იწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას/ანგარიშების დახურვას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.

9. დაუშვებელი საბაზისო საბანკო პროდუქტებით „პასიური ანგარიში“ მოსარგებლე კლიენტზე ნებისმიერი ტიპის კრედიტის/სესხის გაცემა (მათ შორის ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი).
10. კლიენტი უფლებამოსილია აღნიშნული თავით განსაზღვრული მომსახურება შეცვალოს/ჩაანაცვლოს - საბაზისო საბანკო პროდუქტებით „აქტიური ანგარიში“ მომსახურებით და არა პირიქით.

მუხლი 29[3ა]. ფიზიკური პირის მიერ დისტანციური არხით საბანკო ანგარიშის გახსნის სპეციალური პირობები

1. კლიენტი/პოტენციური კლიენტი ფიზიკური პირის მიერ დისტანციური არხით საბანკო ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, კლიენტს თავდაპირველად ავტომატურად გაუაქტიურდება „საბანკო პროდუქტების ნაკრები - **მინიმალი**“-თ განსაზღვრული მომსახურება (შემდგომში „მინიმალი“), რომელიც შეუნარჩუნდება ანგარიშის გახნიდან ერთი (1) თვის განმავლობაში.
2. მინიმალით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში კლიენტი ვერ შეძლებს საბანკო პლასტიკური ბარათის აღებას და სარგებლობას, ასევე, მის მიერ ვალუტის კონვერტაციაზე და სხვა სახის საბანკო მომსახურების მიღებაზე, რაც არ არის გათვალისწინებული მინიმალის ნაკრებით, იმოქმედებს ბანკის სტანდარტული ტარიფები და საკომისიოები.
3. ანგარიშის გახსნით კლიენტი ადასტურებს, რომ გაცნობილია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ტარიფებს და მომსახურების სტანდარტულ საკომისიოებს.
4. იმისათვის, რომ კლიენტმა შეძლოს ბანკის მიერ შეთავაზებული მომსახურებით და დაკავშირებული ბენეფიტებით სარგებლობა, ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში უნდა აირჩიოს „საბანკო პროდუქტების ნაკრები - პრემიუმი“ (მუხლი 29[5]), „საბანკო პროდუქტების ნაკრები - სტარტი“ (მუხლი 29[9]), ან „საბანკო პროდუქტების ნაკრები - კომფორტი“ (მუხლი 29[10]) განსაზღვრული ერთ-ერთი მომსახურება. შესაბამისად, კლიენტი ვალდებულია გაეცნოს „პრემიუმის“, „სტარტის“ და „კომფორტის“ მომსახურების პირობებს და შესაბამის სტანდარტულ ტარიფებს.
5. კლიენტი უფლებამოსილია ინტერნეტ/მობაილ ბანკში თავად გაიაქტიუროს წინა პუნქტში მითითებული რომელიმე მომსახურება, ან შესაბამისი მოთხოვნით მიმართოს ბანკს ინტერნეტ/მობაილ ბანკით და ბანკი, კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, გონივრულ ვადაში გაუაქტიურებს არჩეულ მომსახურებას.
6. თუ კლიენტი ზემოაღნიშნულ ვადაში არ აირჩევს რომელიმე შეთავაზებულ მომსახურებას, ვადის გასვლისთანავე, დამატებითი თანხმობის და შეტყობინების გარეშე, ავტომატურად გაუაქტიურდება წინამდებარე დოკუმენტის 29[7] მუხლით განსაზღვრული „საბანკო პროდუქტების ნაკრები - ანგარიში სტანდარტის“ მომსახურება. ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ კლიენტს გაუაქტიურდება მასში შემავალი ყველა საბანკო მომსახურება და დაეკისრება ყველა შესაბამისი საკომისიოს გადახდა, რაც გათვალისწინებულია „ანგარიში სტანდარტის“ მომსახურებისათვის.
7. მას შემდეგ რაც მოთხოვნის შესაბამისად გაუაქტიურდება წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული რომელიმე მომსახურება, კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების პირობების ცვლილება და სხვა, წინამდებარე თავში მოცემული მომსახურების პირობებით სარგებლობა, რისთვისაც ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნით მიმართოს ბანკს. მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ბანკი მომსახურების პირობების ცვლილების შესახებ კლიენტს შეატყობინებს შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებით, ხოლო შეცვლილი პირობები ძალაში შედის შეტყობინების შემდეგ. კლიენტს გაცნობიერებული აქვს, რომ ახალ მომსახურების პირობებზე გადასვლა ავტომატურად გამოიწვევს შესაბამის ცვლილებებს მის მიერ გადასახდელ საკომისიოებსა და მომსახურების პირობებში, რაზეც აცხადებს თანხმობას.

მუხლი 29[4]. (ამოღებულია).

მუხლი 29[5]. საბანკო პროდუქტების ნაკრები - პრემიუმი

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება „საბანკო პროდუქტების ნაკრები - პრემიუმი"-თ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნული პროდუქტით სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს მულტისავალუტო ანგარიში და ინტერნეტ/მობაილ ბანკი.
2. "პრემიუმის" სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების ავტომატურად მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. რაც არ გამორიცხავს ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით საფასურის გადახდას.
3. ქვემოთ მოცემულის გარდა, სხვა საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტი დამატებით იხდის შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილ საკომისიოს.
4. "პრემიუმის" სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს უფლება ექნება გაიაქტიუროს და ისარგებლოს ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტებით (ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ტარიფების დოკუმენტში მოცემულია საბანკო პროდუქტების დეტალური ჩამონათვალი):
   4.1. მულტისავალუტო ანგარიში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
   4.2. ინტერნეტ/მობაილ ბანკის რეგისტრაცია და მომსახურება ერთი მოწყობილობით;
   4.3. სალარე გადარიცხვები და კომუნალური გადახდები;
   4.4. პლასტიკური ბარათი (კლიენტი უფლებამოსილია შეუკვეთოს 1 (ერთი) სადებეტო MasterCard ბარათი. ასევე, დამატებით, კლიენტი უფლებამოსილია შეუკვეთოს 1 (ერთი) ცალი Visa ბარათი);
   4.4.ა ციფრული ბარათი (არაუმეტეს 3 ცალი ბარათი);
   4.5. საკონვერტაციო ოპერაციების წარმოება შეღავათიანი კურსით;
   4.6. თანხის განაღდება პროკრედიტ ბანკის ბანკომატებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
   4.7. თანხის განაღდება საქართველოში არსებული ნებისმიერი სხვა ბანკის ბანკომატიდან MasterCard ბარათით - უფასოდ;
   4.8. უფასოდ პირველი განაღდება 300 (სამასი) ევროს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში) ოდენობით თანხაზე MasterCard ბარათით საქართველოს საზღვრებს გარეთ;
   4.9. SMS სერვისის რეგისტრაცია და მომსახურება (1 აბონენტზე);
   4.10. ავტომატური გადარიცხვა;
   4.11. სატელეფონო პინ–კოდი;
   კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.3 - 4.11 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე, რა დროსაც "პრემიუმის" მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.
5. (ამოღებულია).
6. კლიენტის ანგარიშზე ლარის, აშშ დოლარის და ევროს ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს თანხის კონვერტირებას და კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვას შემდეგი პროცედურის დაცვით: ზემოაღნიშნული თანხა პირველ რიგში დაკონვერტირდება და ჩაირიცხება კლიენტის აშშ დოლარის ანგარიშზე. თუ კლიენტს არ აქვს გახსნილი აშშ დოლარის ანგარიში ბანკში, თანხა დაკონვერტირდება ევროში და ჩაირიცხება კლიენტის ევროს ანგარიშზე, ხოლო თუ კლიენტს არ აქვს არც ერთი ზემოაღნიშნული სავალუტო ანგარიში, ხსენებული თანხა დაკონვერტირდება ლარში და ჩაირიცხება კლიენტის - ლარის ანგარიშზე.
7. ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს არსებული სს ,,პროკრედიტ ბანკის" კომერციული გაცვლითი კურსით, 4.5 პუნქტის პირობების გათვალისწინებით.
8. (ამოღებულია).
9. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში (გარდა მე-4 პუნქტში მოცემული გამონაკლისისა), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და

დახუროს ანგარიში, ასევე აღნიშნული გამოიწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.

10. „პრემიუმით“ მოსარგებლე კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების პირობების ცვლილება და სხვა, წინამდებარე თავში მოცემული მომსახურების პირობებით სარგებლობა, რისთვისაც ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნით მიმართოს ბანკს. მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ბანკი მომსახურების პირობების ცვლილების შესახებ კლიენტს შეატყობინებს შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებით, ხოლო შეცვლილი პირობები ძალაში შედის შეტყობინების შემდეგ. კლიენტს გაცნობიერებული აქვს, რომ ახალ მომსახურების პირობებზე გადასვლა ავტომატურად გამოიწვევს შესაბამის ცვლილებებს მის მიერ გადასახდელ საკომისიოსა და მომსახურების პირობებში, რაზეც აცხადებს თანხმობას.
11. კლიენტის მოთხოვნით საბანკო მომსახურების პირობების ცვლილების დროს („პრემიუმი“-დან გადასვლა წინამდებარე თავში მოცემული საბანკო მომსახურების სხვა პირობებზე), კლიენტის სარგებლობაში არსებული პლასტიკური ბარათი არ გაუქმდება (გარდა „მინიმალი“-ზე გადასვლისას, რა დროსაც ბარათი უქმდება), არამედ, ბარათზე გააქტიურდება/გაითიშება ის შეღავათები და მომსახურებები, რომელიც გათვალისწინებულია კლიენტის მიერ შერჩეული ახალი მომსახურების პირობებისათვის.
12. თუ კლიენტს არ ჩამოეჭრება საბანკო ანგარიშის მომსახურების საკომისიო ნებისმიერი, ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (მაგ: ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობა, ყადაღა, ინკასო და ა.შ.) ზედიზედ 4 (ოთხი) კალენდარული თვის განმავლობაში და ამავდროულად კლიენტი არ სარგებლობს აქტიური ვადიანი დეპოზიტით/სადეპოზიტო სერტიფიკატით, ან/და აქტიური საკრედიტო პროდუქტით (გარდა ისეთი აქტიური საკრედიტო პროდუქტისა, რომელიც ვადაგადაცილებაშია არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში), ბანკი ავტომატურად, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე, შეუცვლის წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ მომსახურებას 29[7] მუხლში მოცემული „ანგარიში სტანდარტი“-ს პირობების შესაბამისად.
13. წინა პუნქტის შესაბამისად „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილ კლიენტს შეუნარჩუნდება „ანგარიში სტანდარტი“-ს პირობებით მომსახურება სანამ არ მოითხოვს მის შეცვლას.
14. „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილი კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე დოკუმენტის 29[4] – 29[10] მუხლებში მოცემული ნებისმიერი პროდუქტით სარგებლობაზე გადაყვანა, რისთვისაც უნდა მიმართოს ბანკს (ბანკისათვის მიმართვა შეიძლება განხორციელდეს წერილობით, ინტერნეტ ბანკით და ა.შ.) და მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია.
15. შესაბამისი მოთხოვნა კლიენტმა უნდა წარმოადგინოს ბანკის სამუშაო საათების განმავლობაში. არასამუშაო საათებში/დღეებში გაკეთებული მოთხოვნა ბანკის მიერ შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.
16. სურვილის შემთხვევაში და შესაბამისი საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ კლიენტი უფლებამოსილია ნაკრები „პრემიუმი“ გახადოს „ეკო მეგობრული“, რითაც კლიენტი ჩაერთვება გარემოზე ზრუნვასა და მის ეკომეგობრულად გარდაქმნაში, ასევე გახდება პროკრედიტ ბანკის ეკომეგობრული ინიციატივების და აქტივობების თანამონაწილე და პერიოდულად მიიღებს ინფორმაციას ბანკის მიერ ჩატარებული ეკო აქტივობების შესახებ.

მუხლი 29[6]. (ამოღებულია).

მუხლი 29[7]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - ანგარიში სტანდარტი

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება „საბანკო პროდუქტების ნაკრები - ანგარიში სტანდარტით“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნული პროდუქტით სარგებლობის მთელი

ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს მულტისავალუტო ანგარიში და ინტერნეტ/მობაილ ბანკი.

2. „ანგარიში სტანდარტით“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების ავტომატურად მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. რაც არ გამორიცხავს ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით საფასურის გადახდას.
3. ცალკეული საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტი დამატებით იხდის შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილ საკომისიოს.
4. „ანგარიში სტანდარტის“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს უფლება ექნება გაიაქტიუროს და ისარგებლოს ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტებით (ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ტარიფების დოკუმენტში მოცემულია საბანკო პროდუქტების დეტალური ჩამონათვალი):
   4.1. მულტისავალუტო ანგარიში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
   4.2. ინტერნეტ/მობაილ ბანკის რეგისტრაცია და მომსახურება ერთი მოწყობილობით;
   4.3. SMS მომსახურების რეგისტრაცია და მომსახურება (1 აბონენტზე);
   4.4. სატელეფონო პინ–კოდი;
   4.5. ციფრული ბარათი (არაუმეტეს 3 ცალი ბარათი);
   კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.3 ან 4.5 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე, რა დროსაც „ანგარიში სტანდარტის“ მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.
5. (ამოღებულია).
6. კლიენტის ანგარიშზე ლარის, აშშ დოლარის და ევროს ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს თანხის კონვერტირებას და კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვას შემდეგი პროცედურის დაცვით: ზემოაღნიშნული თანხა პირველ რიგში დაკონვერტირდება და ჩაირიცხება კლიენტის აშშ დოლარის ანგარიშზე. თუ კლიენტს არ აქვს გახსნილი აშშ დოლარის ანაგრიში ბანკში, თანხა დაკონერტირდება ევროში და ჩაირიცხება კლიენტის ევროს ანგარიშზე, ხოლო თუ კლიენტს არ აქვს არც ერთი ზემოაღნიშნული სავალუტო ანგარიში, ხსენებული თანხა დაკონვერტირდება ლარში და ჩაირიცხება კლიენტის - ლარის ანგარიშზე.
7. ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს არსებული სს ,,პროკრედიტ ბანკის“ კომერციული გაცვლითი კურსით.
8. (ამოღებულია).
9. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში (გარდა მე-4 პუნქტში მოცემული გამონაკლისისა), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და დახუროს ანგარიში, ასევე აღნიშნული გამოიწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.
10. ანგარიში „სტანდარტი“-თ მოსარგებლე კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების პირობების ცვლილება და სხვა, წინამდებარე თავში მოცემული მომსახურების პირობებით სარგებლობა, რისთვისაც ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნით მიმართოს ბანკს. მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ბანკი მომსახურების პირობების ცვლილების შესახებ კლიენტს შეატყობინებს შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებით, ხოლო შეცვლილი პირობები ძალაში შედის შეტყობინების შემდეგ. კლიენტს გაცნობიერებული აქვს, რომ ახალ მომსახურების პირობებზე

გადასვლა ავტომატურად გამოიწვევს შესაბამის ცვლილებებს მის მიერ გადასახდელ საკომისიოსა და მომსახურების პირობებში, რაზეც აცხადებს თანხმობას.

11. კლიენტის მოთხოვნით საბანკო მომსახურების პირობების ცვლილების დროს (გადასვლა **ანგარიში** „სტანდარტი“-დან წინამდებარე თავში მოცემული საბანკო მომსახურების სხვა პირობებზე), კლიენტის სარგებლობაში არსებული პლასტიკური ბარათი არ გაუქმდება (გარდა „მინიმალი“-ზე გადასვლისას, რა დროსაც ბარათი უქმდება). არამედ, ბარათზე გააქტიურდება/გაითიშება ის შეღავათები და მომსახურებები, რომელიც გათვალისწინებულია კლიენტის მიერ შერჩეული ახალი მომსახურების პირობებისათვის. ასეთ შემთხვევაში, კლიენტის მომართვის შემდეგ საჭიროა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია.
12. სურვილის შემთხვევაში და შესაბამისი საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ კლიენტი უფლებამოსილია ნაკრები „ანგარიში სტანდარტი“ გახადოს „ეკო მეგობრული“, რითაც კლიენტი ჩაერთვება გარემოზე ზრუნვასა და მის ეკომეგობრულად გარდაქმნაში, ასევე გახდება პროკრედიტ ბანკის ეკომეგობრული ინიციატივების და აქტივობების თანამონაწილე და პერიოდულად მიიღებს ინფორმაციას ბანკის მიერ ჩატარებული ეკო აქტივობების შესახებ.

მუხლი 29[8]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - მინიმალი (დასახელება „საბაზისო საბანკო პროდუქტები - მინიმალი“ 29.08.2024 წლიდან შეიცვლება „საბანკო პროდუქტების ნაკრები - მინიმალი“-თ)

7. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება „საბანკო პროდუქტების ნაკრები - მინიმალით“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნული პროდუქტით სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს მულტისავალუტო ანგარიშის და ინტერნეტ ბანკი.
8. „მინიმალით“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით სარგებლობის უფლების ავტომატურად მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. რაც არ გამორიცხავს ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით საფასურის გადახდას.
9. ცალკეული საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტი დამატებით იხდის შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილ საკომისიოს.
10. „მინიმალით“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს უფლება ექნება გაიაქტიუროს და ისარგებლოს ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტებით (ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ტარიფების დოკუმენტში მოცემულია საბანკო პროდუქტების დეტალური ჩამონათვალი):
    4.1. მულტისავალუტო ანგარიში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
    4.2. ინტერნეტ ბანკის რეგისტრაცია და მომსახურება დამატებითი მოწყობილობის გარეშე;
    4.3. სატელეფონო პინ–კოდი;
    4.4. SMS სერვისის რეგისტრაცია და მომსახურება (1 აბონენტზე);
    კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.3 ან 4.4 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე რა დროსაც „მინიმალის“ მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.
5. (ამოღებულია).
6. კლიენტის ანგარიშზე ლარის, აშშ დოლარის და ევროს ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს თანხის კონვერტირებას და კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვას შემდეგი პროცედურის დაცვით: ზემოაღნიშნული თანხა პირველ რიგში დაკონვერტირდება და ჩაირიცხება კლიენტის აშშ დოლარის ანგარიშზე. თუ კლიენტს არ აქვს გახსნილი აშშ დოლარის ანაგრიში ბანკში, თანხა დაკონერტირდება ევროში და ჩაირიცხება კლიენტის ევროს ანგარიშზე, ხოლო თუ კლიენტს არ აქვს არც ერთი ზემოაღნიშნული სავალუტო ანგარიში, ხსენებული თანხა დაკონვერტირდება ლარში და ჩაირიცხება კლიენტის - ლარის ანგარიშზე.
7. ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს არსებული სს ,,პროკრედიტ ბანკის“ კომერციული გაცვლითი კურსით.

8. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტების/მომსახურების გარდა, სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტით/მომასხურებით სარგებლობის შემთხვევაში, ბანკის მიერ დადგენილი საკომისიოს გარდა კლიენტი იხდის სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტის სარგებლობისათვის/მომსახურების მიღებისათვის დაწესებულ საკომისიოს.
9. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში (გარდა მე-4 პუნქტში მოცემული გამონაკლისისა), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და დახუროს ანგარიში, ასევე აღნიშნული გამოიწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.
10. „მინიმალი“-თ მოსარგებლე კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების პირობების ცვლილება და სხვა, წინამდებარე თავში მოცემული მომსახურების პირობებით სარგებლობა, რისთვისაც ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნით მიმართოს ბანკს. მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ბანკი მომსახურების პირობების ცვლილების შესახებ კლიენტს შეატყობინებს შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებით, ხოლო შეცვლილი პირობები ძალაში შედის შეტყობინების შემდეგ. კლიენტს გაცნობიერებული აქვს, რომ ახალ მომსახურების პირობებზე გადასვლა ავტომატურად გამოიწვევს შესაბამის ცვლილებებს მის მიერ გადასახდელ საკომისიოსა და მომსახურების პირობებში, რაზეც აცხადებს თანხმობას.
11. კლიენტის მოთხოვნით საბანკო მომსახურების პირობების ცვლილების დროს (გადასვლა „მინიმალი“-დან წინამდებარე თავში მოცემული საბანკო მომსახურების სხვა პირობებზე), კლიენტი ვალდებულია შეუკვეთოს მის მიერ შერჩეული ახალი მომსახურების პირობების შესაბამისი ბარათი. ასეთ შემთხვევაში, კლიენტის მომართვის შემდეგ საჭიროა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია.

მუხლი 29⁹. საბანკო პროდუქტების ნაკრები - სტარტი

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება „საბანკო პროდუქტების ნაკრები - სტარტი“-თ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნული პროდუქტით სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს მულტისავალუტო ანგარიში და ინტერნეტ/მობაილ ბანკი.
2. „სტარტით“ სარგებლობის ხელშეკრულება გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების ავტომატურად მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. რაც არ გამორიცხავს ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით საფასურის გადახდას.
3. ცალკეული საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტი დამატებით იხდის შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილ საკომისიოს.
4. „სტარტით“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს უფლება ექნება გაიაქტიუროს და ისარგებლოს ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტებით (ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ტარიფების დოკუმენტში მოცემულია საბანკო პროდუქტების დეტალური ჩამონათვალი):
   4.1. მულტისავალუტო ანგარიში (ლარში, აშშ დოლარში, ევროში);
   4.2. ინტერნეტ/მობაილ ბანკის რეგისტრაცია და მომსახურება ერთი მოწყობილობით;
   4.3. პლასტიკური ბარათი (კლიენტი უფლებამოსილია შეუკვეთოს 1 (ერთი) ცალი სადებეტო MasterCard ბარათი);
   4.3.ა ციფრული ბარათი (არაუმეტეს 3 ცალი ბარათი);
   4.4. თანხის განაღდება პროკრედიტ ბანკის ბანკომატებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);

4.5. კალენდარული თვის განმავლობაში 5 (ხუთი) უფასო განაღდება საქართველოში მდებარე ნებისმიერი სხვა ბანკის ბანკომატიდან MasterCard ბარათით;

4.6. SMS სერვისის რეგისტრაცია და მომსახურება (1 აბონენტზე);

4.7. სატელეფონო პინ–კოდი;

კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.3 - 4.7 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე, რა დროსაც „სტარტის“ მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.

5. კლიენტის ანგარიშზე ლარის, აშშ დოლარის და ევროს ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს თანხის კონვერტირებას და კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვას შემდეგი პროცედურის დაცვით: ზემოაღნიშნული თანხა პირველ რიგში დაკონვერტირდება და ჩაირიცხება კლიენტის აშშ დოლარის ანგარიშზე. თუ კლიენტს არ აქვს გახსნილი აშშ დოლარის ანაგრიში ბანკში, თანხა დაკონვერტირდება ევროში და ჩაირიცხება კლიენტის ევროს ანგარიშზე, ხოლო თუ კლიენტს არ აქვს არც ერთი ზემოაღნიშნული სავალუტო ანგარიში, ხსენებული თანხა დაკონვერტირდება ლარში და ჩაირიცხება კლიენტის ლარის ანგარიშზე.
6. ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს არსებული სს ,,პროკრედიტ ბანკის“ კომერციული გაცვლითი კურსით.
7. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტების/მომსახურების გარდა, სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტით/მომასხურებით სარგებლობის შემთხვევაში, ბანკის მიერ დადგენილი საკომისიოს გარდა კლიენტი იხდის სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტის სარგებლობისათვის/მომსახურების მიღებისათვის დაწესებულ საკომისიოს.
8. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში (გარდა მე-4 პუნქტში მოცემული გამონაკლისისა), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და დახუროს ანგარიში, ასევე აღნიშნული გამოიწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.
9. „სტარტით“ მოსარგებლე კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების პირობების ცვლილება და სხვა, წინამდებარე თავში მოცემული მომსახურების პირობებით სარგებლობა, რისთვისაც ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნით მიმართოს ბანკს. მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ბანკი მომსახურების პირობების ცვლილების შესახებ კლიენტს შეატყობინებს შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებით, ხოლო შეცვლილი პირობები ძალაში შედის შეტყობინების შემდეგ. კლიენტს გაცნობიერებული აქვს, რომ ახალ მომსახურების პირობებზე გადასვლა ავტომატურად გამოიწვევს შესაბამის ცვლილებებს მის მიერ გადასახდელ საკომისიოსა და მომსახურების პირობებში, რაზეც აცხადებს თანხმობას.
10. კლიენტის მოთხოვნით საბანკო მომსახურების პირობების ცვლილების დროს („სტარტი“-დან გადასვლა წინამდებარე თავში მოცემული საბანკო მომსახურების სხვა პირობაზე), კლიენტის სარგებლობაში არსებული პლასტიკური ბარათი არ გაუქმდება. (გარდა „მინიმალი“-ზე გადასვლისას, რა დროსაც ბარათი უქმდება). არამედ, ბარათზე გააქტიურდება/გაითიშება ის შეღავათები და მომსახურებები, რომელიც გათვალისწინებულია კლიენტის მიერ შერჩეული ახალი მომსახურების პირობებისათვის.
11. თუ კლიენტს არ ჩამოეჭრება საბანკო ანგარიშის მომსახურების საკომისიო ნებისმიერი, ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (მაგ: ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობა, ყადაღა, ინკასო და ა.შ.) ზედიზედ 4 (ოთხი) კალენდარული თვის განმავლობაში და ამავდროულად კლიენტი არ სარგებლობს აქტიური ვადიანი დეპოზიტით/სადეპოზიტო სერტიფიკატით, ან/და აქტიური საკრედიტო პროდუქტით (გარდა ისეთი აქტიური საკრედიტო პროდუქტისა, რომელიც ვადაგადაცილებაშია არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში), ბანკი ავტომატურად, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე, შეუცვლის წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ მომსახურებას 29[7] მუხლში მოცემული „ანგარიში სტანდარტი“-ს პირობების შესაბამისად.

12. წინა პუნქტის შესაბამისად „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილ კლიენტს შეუნარჩუნდება „ანგარიში სტანდარტი“-ს პირობებით მომსახურება სანამ არ მოითხოვს მის შეცვლას.
13. „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილი კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე დოკუმენტის 29^4 – 29^{10} მუხლებში მოცემული ნებისმიერი პროდუქტით სარგებლობაზე გადაყვანა, რისთვისაც უნდა მიმართოს ბანკს (ბანკისათვის მიმართვა შეიძლება განხორციელდეს წერილობით, ინტერნეტ ბანკით და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში, კლიენტის მომართვის შემდეგ საჭიროა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია.
14. მოთხოვნა კლიენტმა უნდა წარმოადგინოს ბანკის სამუშაო საათების განმავლობაში. არასამუშაო საათებში/დღეებში გაკეთებული მოთხოვნა ბანკის მიერ შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.
15. სურვილის შემთხვევაში და შესაბამისი საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ კლიენტი უფლებამოსილია ნაკრები „სტარტი“ გახადოს „ეკო მეგობრული“, რითაც კლიენტი ჩაერთვება გარემოზე ზრუნვასა და მის ეკომეგობრულად გარდაქმნაში, ასევე გახდება პროკრედიტ ბანკის ეკომეგობრული ინიციატივების და აქტივობების თანამონაწილე და პერიოდულად მიიღებს ინფორმაციას ბანკის მიერ ჩატარებული ეკო აქტივობების შესახებ.

მუხლი 29^{10}. საბანკო პროდუქტების ნაკრები - კომფორტი

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება „საბანკო პროდუქტების ნაკრები - კომფორტით” სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნული პროდუქტით სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს მულტისავალუტო ანგარიში და ინტერნეტ/მობაილ ბანკი.
2. “კომფორტით” სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების ავტომატურად მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. რაც არ გამორიცხავს ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით საფასურის გადახდას.
3. ცალკეული საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტი დამატებით იხდის შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილ საკომისიოს.
4. “კომფორტით” სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს უფლება ექნება გაიაქტიუროს და ისარგებლოს ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტებით (ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ტარიფების დოკუმენტში მოცემულია საბანკო პროდუქტების დეტალური ჩამონათვალი):

   4.1. მულტისავალუტო ანგარიში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);

   4.2. ინტერნეტ/მობაილ ბანკის რეგისტრაცია და მომსახურება ერთი მოწყობილობით;

   4.3. პლასტიკური ბარათი (კლიენტი უფლებამოსილია შეუკვეთოს 1 (ერთი) ცალი სადებეტო MasterCard ბარათი, ასევე, დამატებით, კლიენტი უფლებამოსილია შეუკვეთოს 1 (ერთი) ცალი Visa ბარათი);

   4.3.ა ციფრული ბარათი (არაუმეტეს 3 ცალი ბარათი);

   4.4. თანხის განაღდება პროკრედიტ ბანკის ბანკომატებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);

   4.5.კალენდარული თვის განმავლობაში 10 (ათი) უფასო განაღდება საქართველოში მდებარე ნებისმიერი სხვა ბანკის ბანკომატიდან MasterCard ბარათით;

   4.6. SMS სერვისის რეგისტრაცია და მომსახურება (1 აბონენტზე);

   4.7. სატელეფონო პინ–კოდი;

   კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.3 - 4.7 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე, რა დროსაც “კომფორტის” მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.
11. კლიენტის ანგარიშზე ლარის, აშშ დოლარის და ევროს ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს თანხის კონვერტირებას და კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვას შემდეგი პროცედურის დაცვით: ზემოაღნიშნული თანხა პირველ რიგში დაკონვერტირდება და ჩაირიცხება კლიენტის აშშ დოლარის ანგარიშზე. თუ კლიენტს არ აქვს

გახსნილი აშშ დოლარის ანაგრიში ბანკში, თანხა დაკონვერტირდება ევროში და ჩაირიცხება კლიენტის ევროს ანგარიშზე, ხოლო თუ კლიენტს არ აქვს არც ერთი ზემოაღნიშნული სავალუტო ანგარიში, ხსენებული თანხა დაკონვერტირდება ლარში და ჩაირიცხება კლიენტის ლარის ანგარიშზე.

12. ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს არსებული სს ,,პროკრედიტ ბანკის“ კომერციული გაცვლითი კურსით.
13. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტების/მომსახურების გარდა, სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტით/მომასხურებით სარგებლობის შემთხვევაში, ბანკის მიერ დადგენილი საკომისიოს გარდა კლიენტი იხდის სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტის სარგებლობისათვის/მომსახურების მიღებისათვის დაწესებულ საკომისიოს.
14. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში (გარდა მე-4 პუნქტში მოცემული გამონაკლისისა), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და დახუროს ანგარიში, ასევე აღნიშნული გამოიწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.
15. “კომფორტით” მოსარგებლე კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების პირობების ცვლილება და სხვა, წინამდებარე თავში მოცემული მომსახურების პირობებით სარგებლობა, რისთვისაც ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნით მიმართოს ბანკს. მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ბანკი მომსახურების პირობების ცვლილების შესახებ კლიენტს შეატყობინებს შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებით, ხოლო შეცვლილი პირობები ძალაში შედის შეტყობინების შემდეგ. კლიენტს გაცნობიერებული აქვს, რომ ახალ მომსახურების პირობებზე გადასვლა ავტომატურად გამოიწვევს შესაბამის ცვლილებებს მის მიერ გადასახდელ საკომისიოსა და მომსახურების პირობებში, რაზეც აცხადებს თანხმობას.
16. კლიენტის მოთხოვნით საბანკო მომსახურების პირობების ცვლილების დროს („კომფორტი“-დან გადასვლა წინამდებარე თავში მოცემული საბანკო მომსახურების სხვა პირობაზე), კლიენტის სარგებლობაში არსებული პლასტიკური ბარათი არ გაუქმდება. (გარდა „მინიმალი“-ზე გადასვლისას, რა დროსაც ბარათი უქმდება). არამედ, ბარათზე გააქტიურდება/გაითიშება ის შეღავათები და მომსახურებები, რომელიც გათვალისწინებულია კლიენტის მიერ შერჩეული ახალი მომსახურების პირობებისათვის.
17. თუ კლიენტს არ ჩამოეჭრება საბანკო ანგარიშის მომსახურების საკომისიო ნებისმიერი, ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (მაგ: ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობა, ყადაღა, ინკასო და ა.შ.) ზედიზედ 4 (ოთხი) კალენდარული თვის განმავლობაში და ამავდროულად კლიენტი არ სარგებლობს აქტიური ვადიანი დეპოზიტით/სადეპოზიტო სერტიფიკატით, ან/და აქტიური საკრედიტო პროდუქტით (გარდა ისეთი აქტიური საკრედიტო პროდუქტისა, რომელიც ვადაგადაცილებაშია არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში), ბანკი ავტომატურად, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე, შეუცვლის წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ მომსახურებას 29[7] მუხლში მოცემული „ანგარიში სტანდარტი“-ს პირობების შესაბამისად.
18. წინა პუნქტის შესაბამისად „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილ კლიენტს შეუნარჩუნდება „ანგარიში სტანდარტი“-ს პირობებით მომსახურება სანამ არ მოითხოვს მის შეცვლას.
19. „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილი კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე დოკუმენტის 29[4] – 29[10] მუხლებში მოცემული ნებისმიერი პროდუქტით სარგებლობაზე გადაყვანა, რისთვისაც უნდა მიმართოს ბანკს (ბანკისათვის მიმართვა შეიძლება განხორციელდეს წერილობით, ინტერნეტ ბანკით და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში, კლიენტის მომართვის შემდეგ საჭიროა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია.

20. შესაბამისი მოთხოვნა კლიენტმა უნდა წარმოადგინოს ბანკის სამუშაო საათების განმავლობაში. არასამუშაო საათებში/დღეებში გაკეთებული მოთხოვნა ბანკის მიერ შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.
21. სურვილის შემთხვევაში და შესაბამისი საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ კლიენტი უფლებამოსილია ნაკრები „კომფორტი“ გახადოს „ეკო მეგობრული“, რითაც კლიენტი ჩაერთვება გარემოზე ზრუნვასა და მის ეკომეგობრულად გარდაქმნაში, ასევე გახდება პროკრედიტ ბანკის ეკომეგობრული ინიციატივების და აქტივობების თანამონაწილე და პერიოდულად მიიღებს ინფორმაციას ბანკის მიერ ჩატარებული ეკო აქტივობების შესახებ.

თავი X - ექვაირინგის მომსახურება

ექვაირინგის მომსახურების საერთო დებულებები

მუხლი 30.

1. წინამდებარე თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ექვაირინგი** – საგადახდო მომსახურება, რომელსაც ბანკი მიმღებთან/კლიენტთან (რომელიც, კონტექსტის შესაბამისად ასევე მოიცავს როგორც სავაჭრო პლატფორმას, ასევე სავაჭრო პლატფორმის წევრ/პლატფორმით მოსარგებლე ორგანიზაციებს/პირებს) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს მისთვის ექვაირინგის, „ელექტრონული კომერციის” (“ელექტრონული კომერციის ტერმინალით” მომსახურება) და “პლატფორმის ელექტრონული კომერციის” მომსახურების გაწევას, რომელიც მოიცავს ელექტრონულ-ტექნიკური საშუალებით, საგადახდო ინსტრუმენტის მეშვეობით და კანონმდებლობით დაშვებული სხვა საშუალებით გადახდის ოპერაციის მიღებასა და დამუშავებას, რის შედეგადაც ფულადი სახსრები გადაირიცხება მიმღებთან;

ა[1]) **მიმღები/კლიენტი** - პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია;

ბ) **საბარათე ინსტრუმენტი** - საგადახდო ინსტრუმენტი, მათ შორის, საგადახდო ბარათი, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი ან სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელშიც ჩაწერილია/ინტეგრირებულია შესაბამისი საგადახდო აპლიკაცია და რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიციირება;

გ) **საგადახდო ბარათი** (შემდგომში – ბარათი) – ემიტენტის მიერ გამოშვებული ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტის კატეგორია, რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიციირება;

გ[1]) **ელექტრონული კომერციის ტერმინალი** – ბანკის სისტემაში რეგისტრირებული ვირტუალური პოს-ტერმინალი (პროგრამული უზრუნველყოფა), რომლის საშუალებით ინტერნეტსივრცეში ხორციელდება ელექტრონული კომერციის ობიექტის სასარგებლოდ საბარათე ოპერაცია, ასევე, ოპერაციის გაუქმების და თანხის დაბრუნების ოპერაციები;

გ[2]) **ელექტრონული კომერციის ობიექტი** – სავაჭრო/მომსახურების ობიექტი, რომელიც თავისი საქონლის/მომსახურების გაყიდვას ახდენს ელექტრონული კომერციის ტერმინალით;

გ[3]) **სავაჭრო პლატფორმა** – ელექტრონული კომერციის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც სხვადასხვა სავაჭრო/მომსახურების ობიექტი ახორციელებს თავისი საქონლის/მომსახურების გაყიდვას ერთი ვებ-გვერდიდან;

გ[4]) **სავაჭრო პლატფორმის ორგანიზატორი** – კომერციული შუამავალი, რომელიც მართავს სავაჭრო პლატფორმას;

დ) **საგადახდო აპლიკაცია** – მოწყობილობაში ჩაწერილი პროგრამული უზრუნველყოფა ან მისი ეკვივალენტი, რომლითაც შესაძლებელია საბარათე ოპერაციის ინიციირება და გადამხდელის მიერ საგადახდო დავალების გაცემა;

ე) **ემიტენტი** – პროვაიდერი, რომელიც ახდენს საგადახდო ინსტრუმენტის გამოშვებას, რომლითაც შესაძლებელია საბარათე/საგადახდო ოპერაციის ინიცირება;

ვ) **საბარათე გადახდის ოპერაცია** (შემდგომში – საბარათე ოპერაცია) – საბარათე სქემის მიხედვით საბარათე ინფრასტრუქტურის საშუალებით საბარათე ინსტრუმენტით, მათ შორის, ბარათის რეკვიზიტებით შესრულებული სადებეტო და საკრედიტო ოპერაციები, რომლის საფუძველზე ხდება ოპერაციის თანხის საბარათე/საკრედიტო ბარათის ანგარიშზე ასახვა/ბარათის ბალანსის ცვლილება; კერძოდ, გადამხდელის ან მიმღების მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების განთავსების/ჩარიცხვის, გადარიცხვის ან გატანის ოპერაცია;

ზ) **პოს-ტერმინალი** – ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა ან/და ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება: 1) პროვაიდერის/ბანკის მომსახურების ოფისიდან თანხის გასატანად; ან/და 2) სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საბარათე ინსტრუმენტით გადახდის განსახორციელებლად, რომელიც საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდასთან ერთად (გარდა ელექტრონული კომერციის ოპერაციისა) შესაძლოა მოიცავდეს ნაღდი ფულის გატანასაც;

თ) **საბარათე ქვითარი** – ბანკომატის ან პოს-ტერმინალის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდას, საბარათე ინსტრუმენტის საშუალებით ნაღდი ფულის გაცემას ან სხვა საბარათე ოპერაციის განხორციელებას, ასევე აღნიშნული ოპერაციების წარმატებით განუხორციელებლობის შემთხვევაში ასახავს შესაბამის ინფორმაციას;

ი) **ოფლაინ ოპერაცია** – ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტთან დაკავშირების გარეშე;

კ) **ჩარჯბექი** – ბარათის ემიტენტის მხრიდან ბანკის მიმართ წარმოდგენილი ფინანსური პრეტენზია კლიენტის მიერ ბარათით შესრულებული ოპერაციის თანხის დაბრუნების თაობაზე.

ლ) წინამდებარე თავში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

2. ბანკი გაუწევს კლიენტს ექვაირინგის მომსახურებას გადახდებზე, რომლებიც ხორციელდება ბანკის მიერ კლიენტისათვის გადაცემული პოს ტერმინალის მეშვეობით Visa International და MasterCard International ბარათების გამოყენებით. კლიენტი ბანკს უხდის საკომისიოს კლიენტის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ზე პლასტიკური ბარათით შესრულებული ყოველი ოპერაციის თანხიდან. საკომისიოს ოდენობა განსხვავდება იმის მიხედვით, ოპერაცია სრულდება სს ,,პროკრედიტ ბანკი, საქართველოს“ მიერ გაცემული ბარათით, თუ სხვა ემიტენტის მიერ გაცემული ბარათით.

ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკი კლიენტს ასევე გაუწევს „ექვაირინგის“, „ელექტრონული კომერციის“ და/ან „პლატფორმის ელექტრონული კომერციის“ მომსახურებას, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ბანკის მიერ კლიენტისათვის გადაცემული ელექტრონული კომერციის ტერმინალით, იგივე ვირტუალური პოს-ტერმინალით (პროგრამული უზრუნველყოფა) რომლის საშუალებით შესაძლებელია ინტერნეტსივრცეში ელექტრონული კომერციის ობიექტის სასარგებლოდ საბარათე ოპერაციის, ასევე, ამ ოპერაციის გაუქმების და თანხის დაბრუნების ოპერაციების განხორციელება.

უფლებები და ვალდებულებები, რაც წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულია „ექვაირინგის ხელშეკრულებისა“ და „პოს-ტერმინალისათვის“, შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით, ასევე სრულად ვრცელდება „ელექტრონული კომერციის“ „პლატფორმის ელექტრონული კომერციის“ ხელშეკრულებებზე და „ელექტრონული კომერციის ტერმინალზე/ვირტუალურ პოს-ტერმინალზე“, „ექვაირერზე/მიმღებზე“ და „სავაჭრო პლატფორმაზე“.

3. კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე, მის დანართებზე და დაკავშირებულ კონტრაქტებზე ხელმოწერა გულისხმობს, რომ ბანკს კლიენტის მიმართ გატარებული აქვს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფინანსური მონიტორინგის სამსახურის“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ გამოცემული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სავალდებულო ღონისძიებები და მიღებული აქვს სარწმუნო ინფორმაცია კლიენტის საქმიანობის შესახებ.

4. ბანკს და კლიენტს შორის ექვაირინგის ხელშეკრულების გაფორმება გულისხმობს, რომ ბანკს აქვს მოპოვებული ყველა აუცილებელი ნებართვა და ლიცენზია შესაბამისი საბარათე სქემებიდან, რაც საჭიროა კლიენტისათვის მომსახურების გასაწევად.

5. კლიენტის უფლებები და ვალდებულებები:

კლიენტი (მოიცავს ასევე სავაჭრო პლატფორმას/პლატფორმით მოსარგებლეს) ვალდებულია:

5.1. აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი სახის ზიანი, რომელიც მიადგება პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, მათ შორის და არა მხოლოდ მის, ასევე თუ ხელშეკრულება გაფორმებულია სავაჭრო პლატფორმასთან, პლატფორმის წევრი/პლატფორმით მოსარგებლე ორგანიზაციების/პირების მიერ ხელშეკრულების, წინამდებარე წესის, საქართველოს კანონმდებლობის და შესაბამისი საბარათე სისტემების მიერ დადგენილი წესების დარღვევის შედეგად ბანკისათვის დაკისრებული ან/და ბანკის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა, ნებისმიერი ოდენობით. ანაზღაურება უნდა

მოხდეს ბანკის მიერ შესაბამისი შეტყობინების/მოთხოვნის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, ან ბანკის მიერ დადგენილ ვადაში, ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში.

5.2. აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი სახის ზიანი, რომელიც მიადგება პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, მათ შორის და არა მხოლოდ მის მიერ ხელშეკრულების, წინამდებარე წესის, საქართველოს კანონმდებლობის და შესაბამისი საბარათე სისტემების მიერ დადგენილი წესების დარღვევის შედეგად ბანკისათვის დაკისრებული ან/და ბანკის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა, ნებისმიერი ოდენობით. ანაზღაურება უნდა მოხდეს ბანკის მიერ შესაბამისი შეტყობინების/მოთხოვნის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, ან ბანკის მიერ დადგენილ ვადაში, ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში.

5.3. კლიენტის მიერ ექვაირინგის ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე, ან ხელშეკრულებაში ცვლილება/დამატების შეტანისას, ასევე ხელშეკრულების ყოველი განახლებისას, ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, წარმოუდგინოს ბანკს ყველა დოკუმენტაცია და მიაწოდოს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში დაუშვას ბანკის წარმომადგენელი სავაჭრო/მომსახურების ობიექტზე, რაც დაადასტურებს საქმიანობის/მომსახურების კანონთან შესაბამისობას.

5.4. რეალურად განახორციელოს იმ მომსახურების გაწევა, რომელიც შეესაბამება ექვაირინგის ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ კლიენტის საქმიანობის სფეროს. ვალდებულება მოიცავს მისი შეცვლის, დამატების, ნაწილის ამოღების ან/და გაუქმების შემთხვევაში, წინასწარ, ცვლილებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე წერილობით, ან ინტერნეტ ბანკით შეატყობინოს ბანკს აღნიშნულის შესახებ. წინამდებარე პუნქტში აღწერილი ცვლილება/დამატება ძალაშია ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ.

5.5. ბანკის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას ითანამშრომლოს ბანკთან და მიაწოდოს მას მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, ასევე შემოწმების მიზნით დაუშვას ბანკის წარმომადგენლები შესამოწმებელ ობიექტზე, აჩვენოს მომსახურების გაწევის პროცესი და შეასრულოს ბანკის ყველა კანონიერი მოთხოვნა, რაც გამომდინარეობს მონიტორინგის მიზნებიდან. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა განიმარტება როგორც ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობის დარღვევა და ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს ექვაირინგის ხელშეკრულება.

5.6. დაიცვას პოს-ტერმინალით სარგებლობისა და საბარათე ტრანზაქციის განხორციელების უსაფრთხოების წესები და პროცედურები. კლიენტი პასუხსიმგებელია ნებისმიერი სახის ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნება უსაფრთხოების ზომების და პროცედურების სათანადოდ დაუცველობით, მათ შორის და არამხოლოდ ინფორმაციის დაკარგვის, დაზიანების ან/და მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომად გახდომისთვის.

5.7. დაესწროს ან/და უზრუნველყოს მისი თანამშრომლ(ებ)ის, სავაჭრო პლატფორმით მოსარგებლე პირების/მათი თანამშრომლების დასწრება ბანკის მიერ დაგეგმილ ტრენინგზე, ასევე უზრუნველყოს შესაბამისი ადგილის გამოყოფა ტრენინგის ჩასატარებლად ბანკის მიერ განსაზღვრული პერიოდულობითა და ხანგრძლივობით. ხოლო, თუ შეიცვლება თანამშრომელი, რომელსაც აქვს წვდომა პოს-ტერმინალთან და მასზე განსახორციელებელ საბარათე ოპერაციებთან, აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ წერილობით ან ინტერნეტ ბანკში შეტყობინების გაგზავნით არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა. ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ ნებისმიერ, მათ შორის და არამხოლოდ არაპირდაპირ დამდგარ ზიანზე და კლიენტი ვალდებულია აანაზღაუროს აღნიშნული სრულად, მათ შორის ზიანი, რომელიც მიადგება ბანკს მისი მხრიდან ზემოთაღწერილი ვალდებულებების დარღვევის გამო.

5.8. ხელი შეუწყოს ბანკს სადავო ტრანზაქციის მიზეზის გამოკვლევაში. მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია დაუყოვნებლივ, ასევე დაუბრკოლებლად დაუშვას ბანკის შესაბამისი უფლებამოსილი პირი შესაბამის მოწყობილობასთან, რომელიც განთავსებულია მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ობიექტზე.

5.9. საბარათე ოპერაციის განხორციელებამდე გადამხდელისათვის თვალსაჩინო გახადოს ოპერაციის თანხა პოს-ტერმინალის, ხოლო ელექტრონული კომერციის შემთხვევაში - კომპიუტერის, ტელეფონის, პლანშეტის ან სხვა მოწყობილობის ეკრანის საშუალებით. არ განახორციელოს ტრანზაქცია თუ ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას და დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს წარმოქმნილი ხარვეზის შესახებ.

5.10. კლიენტი/სავაჭრო პლატფორმა/პლატფორმით მოსარგებლე პირი ვალდებულია ქონდეს მიმდინარე ანგარიში ბანკში ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. აღნიშნული ვალდებულება მოიცავს ანგარიშის გახსნას (მისი არარსებობის ან/და დახურვის შემთხვევაში), შენარჩუნებას და ანგარიშის მომსახურებისთვის ბანკის მიერ დაწესებული საკომისიოს გადახდას. ბანკის მიერ ექვაირინგის მომსახურების შესაბამისი თანხა ჩაირიცხება აღნიშნულ ანგარიშზე. ანგარიშის დახურვის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეწყვიტოს კლიენტთან ექვაირინგის მომსახურება და ხელშეკრულება;

5.11. დაიცვას პოს-ტერმინალის სარგებლობის უსაფრთხოების წესები:

ა) დარწმუნდეს, რომ პოს-ტერმინალზე არ არის მიერთებული უცხო მოწყობილობა;

ბ) შეამოწმოს და დარწმუნდეს, რომ არ შესრულებულა არაავტორიზებული ან გაურკვეველი ტრანზაქცია;

გ) არ გადასცეს მესამე პირს და არ დაუშვას მესამე პირის, თანამშრომლის (რომელსაც არ აქვს გავლილი შესაბამისი ტრენინგი) წვდომა პოს-ტერმინალთან;

დ) პოს-ტერმინალის ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაუშვას მხოლოდ ბანკის თანამშრომელი ან ბანკის მიერ განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი;

ე) დაიცვას მომხმარებლების ბარათების მონაცემები დაზიანების, დაკარგვის, არასანქცირებული მოპოვების და ა.შ. საფრთხეებისგან;

ვ) შესრულებული ტრანზაქციის გაუქმება მოახდინოს მხოლოდ შესაბამისი ბარათის წარმოდგენის შემდეგ;

ზ) შეასრულოს წინამდებარე წესში, ხელშეკრულებასა და ბანკის მიერ გადაცემული პოს-ტერმინალით სარგებლობის წესით დადგენილი მოთხოვნები.

5.12. არ განახორციელოს, ასევე არ დაასრულოს უკვე დაწყებული საბარათე ტრანზაქცია თუ ბარათი ვადაგასულია, დაბლოკილია ან სტანდარტული რეკვიზიტების არმქონეა, ასევე თუ ბარათი საეჭვოა ან დაზიანებულია.

5.13. თუ ტრანზაქციის შესრულება ხდება ბარათის მაგნიტური ზოლის გამოყენებით - არ დაუშვას ტრანზაქციის დასრულება თუ ბარათზე და ქვითარზე შესრულებული ხელმოწერა არ ემთხვევა ერთმანეთს. ასევე, არ დაუშვას მაგნიტური ზოლის გამოყენებით საბარათე ტრანზაქციის განხორციელება, რომელზეც არ არის ბარათის მფლობელის ხელმოწერა.

5.14. საეჭვო ტრანზაქციის შემთხვევაში მოთხოვოს მომხმარებელს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა და არ დაასრულოს ტრანზაქცია, თუ ბარათის წარმომდგენლი და მფლობელი სხვადასხვა პირია.

5.15. შექმნას ყველა საჭირო პირობა სავაჭრო/მომსახურების ობიექტში პოს ტერმინალის დასამონტაჟებლად.

5.16. არ გადასცეს პოს ტერმინალი მესამე პირს. მესამე პირებისთვის პოს ტერმინალის გადაცემის და/ან მისი დაკარგვის შემთხვევაში გადაუხადოს ბანკს მოწყობილობის სრული ღირებულება.

5.17. მიიღოს საგადახდო საშუალებად მოქმედი Visa International და MasterCard International საბანკო პლასტიკური ბარათები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საბარათე საგადახდო სისტემის წესებისა, ხელშეკრულების და წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

5.18. შეამოწმოს პოს ტერმინალის საბარათე ქვითარი მითითებული ინფორმაციის იდენტურობა ბარათზე მოცემულ რეკვიზიტებთან.

5.19. შეინახოს საბარათე ქვითრები , ასევე ბარათით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტები გაფორმების/შექმნის დღიდან 3 წლის განმავლობაში და წარუდგინოს ბანკს მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ

დოკუმენტებში მითითებული ყველა რეკვიზიტი გარკვევით უნდა იკითხებოდეს. საბარათე ქვითრები ხელმოწერილი უნდა იყოს ბარათის მფლობელების მიერ (ბარათის მფლობელის ხელმოწერა არ არის სავალდებულო, თუ გადახდის ოპერაცია სრულდება პინ-კოდის საშუალებით).

5.20. ბანკის მოთხოვნის და/ან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში დაუბრუნოს ბანკს პოს-ტერმინალ(ებ)ი. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ბანკის კუთვნილი პოს ტერმინალის ნარჩენი ღირებულების 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.21. დაიცვას ბარათით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. აღნიშნული ვალდებულება მოიცავს მისი თანამშრომლების მიერ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვასაც.

5.22. განახორციელოს ოპერაცია მხოლოდ და მხოლოდ ბარათის მფლობელის/მოსარგებლის თანდასწრებით და/ან მისი თანხმობით. მოახდინოს ბარათის მფლობელის/მოსარგებლის იდენტიფიკაცია პინ კოდის, ხელმოწერის, საჭიროების შემთხვევაში კი პირადობის დამადასტურებელი საბუთის შემოწმებით და არ დაუშვას ბარათის გამოყენება არაუფლებამოსილი პირის მიერ.

5.23. ბარათის მფლობელის, ან კლიენტის მიერ არასწორად შესრულებული საბარათე ოპერაციასთან დაკავშირებით საქონლის უკან დაბრუნების და/ან მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასეთ დაბრუნებაზე/უარზე კლიენტის თანხმობისას, ბარათზე განახორციელოს კრედიტული ოპერაცია. ასეთი ოპერაციისას დაუშვებელია თანხის ნაღდი ფულის სახით გაცემა კლიენტის მიერ. ასეთ შემთხვევაში კლიენტის მიერ პოს-ტერმინალზე გასატარებელი უკუტრანზაქციის წესები და ინსტრუქცია მოცემულია პოს-ტერმინალის გამოყენების სახელმძღვანელოში და კლიენტი ვალდებულია იმოქმედოს შესაბამისი პროცედურის დაცვით.

5.24. შეინარჩუნოს სპეციალურ დებულებებში (წინამდებარე დოკუმენტის მუხლები: 31 და 32) მითითებული ბრუნვა თითოეულ პოს–ტერმინალზე (აღნიშნული არ ეხება E-Commerce ექვაირინგს).

5.25. გადაუხადოს ბანკს ხელშეკრულებით და/ან წინამდებარე დოკუმენტით გათვალიწინებული საკომისიო.

5.26. კლიენტი და მისი თანამშრომლები, რომელთაც ექვაირინგის მომსახურების ფარგლებში მიიღეს ბანკის კონფიდენციალური ინფორმაცია, ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ ასეთი ინფორმაცია და არ გამოიყენონ საკუთარი ან მესამე პირის პირადი ან სხვა მიზნებისათვის. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის/შეჩერების, ასევე კლიენტის მიერ მის თანამშრომელთან შრომითი/მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. კლიენტი ვალდებულია მის თანამშრომელთან გაფორმებულ ან/და გასაფორმებელ ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს აღნიშნული ვალდებულების შესახებ და პასუხისმგებელია ნებისმიერ ზიანზე, რაც წამროიშობა ამ ვალდებულების დარღვევის გამო პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით.

5.27. არ მოახდინოს ფასების ცვლილება საქონელზე/მომსახურებაზე, თუ გადახდა ხორციელდება ბარათით და არა ნაღდი ფულით.

5.28. არ გაავრცელოს მცდარი ინფორმაცია პოს ტერმინალის ტექნიკური გაუმართაობის შესახებ ბარათის მფლობელის წინაშე პოს ტერმინალის გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ბანკი იტოვებს უფლებას და კლიენტი თანახმაა აღნიშნული ვალდებულების შესრულების გასაკონტროლებლად განახორციელოს საკონტროლო შესყიდვა კლიენტის სავაჭრო ობიექტზე.

5.29. არ განახორციელოს ოფლაინ რეჟიმში ელექტრონული კომერციის ობიექტში საქონლის/მომსახურების შეძენის ტრანზაქცია.

5.30. შეასრულოს ონალინ ექვაირინგის სერვისის განთავსების ვებ-გვერდისათვის ბანკის მიერ დადგენილი უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები. შესაბამისობაში მოიყვანოს ონალინ ექვაირინგის სერვისის განთავსების ვებ-გვერდი ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან და

მუდმივად უზრუნველყოს მოთხოვნების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყების და ა.შ. განახლება.

კლიენტი უფლებამოსილია:

5.31. უარი განაცხადოს საბარათე ოპერაციის შესრულებაზე თუ მიიჩნევს რომ ტრანზაქცია საეჭვოა, ასევე თუ ბარათი ვადაგასულია, დაბლოკილია ან სტანდარტული რეკვიზიტების არმქონეა, დაზიანებულია, არ აქვს ხელმოწერა (შესაბამისი ველის არსებობისას, იმ შემთხვევაში თუ სრულდება მაგნიტურზოლიანი ტრანზაქცია) და სხვა შემთხვევებში.

5.32. მოითხოვოს და ქონდეს წვდომა მის სასარგებლოდ განხორციელებულ ოპერაციებზე ინტერნეტ ბანკის ან/და ბანკის ფილიალში (სერვის პუნქტი) ვიზიტით. აღნიშნული სახის წვდომა აძლევს შესაძლებლობას ნებისმიერ დროს გამოითვალოს მის მიერ გადასახდელი საკომისიო და შეადაროს აღნიშნული მის შიდა სისტემაში აღრიცხულ ოპერაციებთან.

5.33. მოითხოვოს შეცვლილი/ახალი თანამშრომლისათვის შესაბამისი ტრენინგის ჩატარება და არ დაუშვას აღნიშნული თანამშრომლის მიერ ტრენინგის გავლამდე პოს-ტერმინალთან მუშაობა.

5.34. კლიენტი უფლებამოსილია ექვაირინგის და მისგან გამომდინარე მომსახურების ფარგლებში ბანკისგან მიიღოს ტექნიკური მომსახურება/მხარდაჭერა.

5.35. მოთხოვოს ბანკს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6. **ბანკი უფლებამოსილია**:

6.1. მოთხოვოს კლიენტს ნებისმიერი ინფორმაციის, დოკუმენტის წარმოდგენა, რაც დაადასტურებს მისი საქმიანობის კანონიერებას და მის შესაძლებლობას უზრუნველყოს საბარათე ტრანზაქციის და საბარათე ოპერაციის მონაცემების დაცვა.

6.2. დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებით განსაზღვროს კლიენტის, სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მონიტორინგის პერიოდულობა.

6.3. იმ შემთხვევაში თუ სავაჭრო/მომსახურების ობიექტზე არსებული აღჭურვილობა და ობიექტის მდგომარეობა არასაკმარისია მომხმარებლების, მათი ბარათების და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად, მოთხოვოს კლიენტს საჭიროების შემთხვევაში დამატებითი აღჭურვილობის შეძენა-დამონტაჟება და უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღება, რომლის შეუსრულებლობა გაფორმებული ექვაირინგის ხელშეკრულების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველია.

6.4. კლიენტის დამატებითი თანხმობისა და შეტყობინების გარეშე, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად მოახდინოს კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული სახსრების „ჩარჯბექის“ თანხით შემცირება. (ჩარჯბექი – ბარათის ემიტენტის მხრიდან ბანკის მიმართ ფინანსური პრეტენზია კლიენტის მიერ ბარათით შესრულებული ოპერაციის თანხის დაბრუნების თაობაზე. პრეტენზია წამოიყენება, მაგალითად, ბარათის მფლობელის მხრიდან მის ანგარიშზე შესრულებულ ოპერაციაზე უარის თქმის შემთხვევაში და ა.შ.). ხოლო, იმ შემთხვევაში თუ „ჩარჯბექი“-ს სახით შემოსული ფინანსური პრეტენზიის სრულად დასაფარად კლიენტის ანგარიშზე/ანგარიშებზე არსებული თანხები არ იქნება საკმარისი, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით, კლიენტის დამატებითი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე, დაბლოკოს კლიენტის ანგარიშებზე იმ ვადით, სანამ სრულად არ დაიფარება „ჩარჯბექი“-ს სახით შემოსული ფინანსური პრეტენზია, ასევე ჩამოჭრას კლიენტის ანგარიშებზე არსებული/ჩარიცხული თანხები შეუზღუდავად სანამ სრულად არ დაიფარება დავალიანება.

6.5. წინა პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას, თუ კლიენტის მიერ დროულად არ დაიფარება „ჩარჯბექი“-ს სახით შემოსული პრეტენზიის თანხა, ბანკი უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, გადასახდელი თანხის 0,5% ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.6. შეუზღუდავად და კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეატყობინოს საბარათე საგადახდო სისტემას და/ან სამართალდამცავ ორგანოებს და/ან საბარათე საგადახდო სისტემის წევრებს კლიენტის მიერ ბარათის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საეჭვო, უკანონო

ან ბანკთან შეუთანხმებელი ქმედების შესახებ, შესაძლო თაღლითობის შეჩერების ან უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის მიზნით.

6.7. კლიენტთან წინასწარი შეთანხმებით, ან მის გარეშე, ნებისმიერი დროს, ჩაატაროს კლიენტის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შემოწმება პოს-ტერმინალის ფუნქციონირებასთან და კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესრულების გაკონტროლების მიზნით.

6.8. გარდა წინამდებარე თავში მოცემული შემთხვევებისა, შეაჩეროს კლიენტისათვის მომსახურების გაწევა და/ან მისთვის თანხების ანაზღაურება შემდეგ შემთხვევებში:

6.8.1. ბარათით შესრულებული თაღლითური, ყალბი, არამართლზომიერი, უკანონო, არასანქცირებული და/ან არაავტორიზებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებისას, გარემოების შესწავლისა და შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის ვადით.

6.8.2. ბარათის მფლობელის, ბარათის გამომშვების (ემიტენტის), საბარათე საგადახდო სისტემის მიერ პოს ტერმინალის გამოყენებით შესრულებული ტრანზაქციის გაპროტესტების შემთხვევაში, სიტუაციის გარკვევამდე და გადაწყვეტამდე, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე თავით დადგენილი საჩივრის განხილვის ვადის გასვლამდე.

6.8.3. თუ კლიენტის ქმედებები ზიანს აყენებს ბანკის და/ან საბარათე საგადახდო სისტემის ინტერესებს.

6.8.4. კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

6.8.5. თუ კლიენტის მიერ ვერ იქნება წარმოდგენილი სათანადო ინფორმაცია, დოკუმენტაცია და გარანტიები მისი საქმიანობის კანონიერების, ასევე საბარათე ინსტრუმენტისა და საბარათე ოპერაციის მონაცემების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში მომსახურება შეჩერდება კლიენტის მიერ ზემოაღნიშნული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებამდე, მაგრამ არაუმეტეს ბანკის მიერ განსაზღვრული ვადისა. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს არსებული მომსახურება, ან არ გააფორმოს ახალი ხელშეკრულება.

6.9. იმ შემთხვევაში, თუ 6.8.1.–ე და 6.8.2.–ე ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებების ბანკის მიერ შეტყობის მომენტისათვის კლიენტისათვის თანხები უკვე ანაზღაურებულია, მაშინ ბანკი უფლებამოსილია ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშებიდან შესაბამისი ოდენობის თანხები წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესით. კლიენტს ჩამოწერილი თანხები დაუბრუნდება კანონითა და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით და ვადებში, თუ 6.8.1.–ე პუნქტში მითითებული გარემოებები არ დადასტურდება და/ან 6.8.2.–ე ქვეპუნქტში მითითებული პროტესტი აღმოჩნდება უსაფუძვლო.

6.10. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის და/ან საერთაშორისო საბარათე საგადახდო სისტემის მიერ ამ უკანასკნელის წესების თანახმად მოხდება იმის დადასტურება, რომ ბარათით შესრულებულია თაღლითური, ყალბი, არასანქცირებული და/ან არავტორიზებული ოპერაცია(ები) (მიუხედავად იმისა გასულია თუ არა 6.8.1–ე ქვეპუნქტში მითითებული ვადა) და/ან 6.8.2.–ე ქვეპუნქტში მითითებული პროტესტი აღმოჩნდა საფუძვლიანი, ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს კლიენტისათვის მომსახურების გაწევა, ასევე არ აუნაზღაუროს/შეუწყვიტოს თანხების ანაზღაურება კლიენტს, ხოლო თუ თანხები უკვე ანაზღაურებულია და ისინი არ არის ჩამოწერილი 6.9.–ე პუნქტის მიხედვით, ამ შემთხვევაშიც ბანკი ასევე უფლებამოსილია ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშებიდან შესაბამისი ოდენობის თანხები წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესით.

6.11. კლიენტის მოთხოვნისა და მისგან სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის შემთხვევაში გაასაჩივროს ამ დოკუმენტის 6.8.1. და 6.8.2. პუნქტებით შემოსული პრეტენზია/პროტესტი საერთაშორისო საბარათე საგადახდო სისტემის წესებითა და პირობებით.

6.12. გარდა ამ მუხლში მითითებული საფუძვლებისა, მომსახურების შეჩერება და/ან შეწყვეტა, ასევე ანაზღაურების შეჩერება და/ან შეწყვეტა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით და/ან საბარათე საგადახდო სისტემით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლების არსებობისას.

6.13. ბანკი ასევე უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებით შეაფასოს კლიენტის მიერ საბარათე საგადახდო სისტემით განხორციელებული ნებისმიერი ტრანზაქციის შესაბამისობა წინამდებარე დოკუმენტთან, საქართველოს კანონმდებლობასთან და საბარათე საგადახდო მიერ დადგენილ წესებთან მიმართებაში და ცალმხრივად გადაწყვიტოს საბარათე საგადახდო სისტემით განხორციელებული ტრანზაქციის თანხის კლიენტის საბანკო ანგარიშზე/ანგარიშებზე ასახვის საკითხი.

6.14. ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებით, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინების გარეშე (თუ დაბლოკვის საფუძვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება დაუშვებელია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში), კლიენტის მიერ საბარათე საგადახდო სისტემით განხორციელებული ტრანზაქციის თანხა დაბლოკოს კლიენტის საბანკო ანგარიშზე/ანგარიშებზე.

6.15. განახორციელოს კლიენტთან არსებული პოს ტერმინალის შეცვლა/დემონტაჟი/პროგრამული უზრუნველყოფის (ვირტუალური პოს-ტერმინალი) წაშლა.

6.16. უარი თქვას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებებს.

6.17. ექვაირინგით მომსახურების ხელშეკრულება და პოს-ტერმინალის პრე-ავტორიზაციის ფუნქციის ჩართვის შესახებ შეთანხმება ასევე შეიძლება შეწყდეს:

6.17.1. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის ანგარიშზე „ჩარჯბექი“-ს სახით წარმოდგენილი თანხის ანაზღაურება კლიენტის მიერ არ მოხდება „ჩარჯბექი“-ს წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

6.17.2. კლიენტი უხეშად ან კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ დაარღვევს ექვაირინგით მომსახურების ხელშეკრულებით ან/და პოს-ტერმინალის პრე-ავტორიზაციის ფუნქციის ჩართვის შესახებ შეთანხმებით, წინამდებარე დოკუმენტით ან/და საბარათე საგადახდო სისტემის მიერ დადგენილ წესებს;

6.17.3. კლიენტის ან უზრუნველყოფის ხელშეკრულების მხარის მიერ დაირღვევა უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებები;

6.17.4. შემცირდება უზრუნველყოფის ხელშეკრულებით იპოთეკით დატვირთული ქონების ღირებულება, ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ან წარმოიშობა ასეთი შემცირების საფრთხე და ბანკის მხრიდან წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადაში კლიენტის მიერ არ იქნება წარმოდგენილი სათანადო უზრუნველყოფა, ან არ იქნება შევსებული არსებული უზრუნველყოფა;

6.17.5. დაირღვევა წინამდებარე დოკუმენტის 31-ე მუხლით დადგენილი პირობები;

6.17.6. მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით, ნებისმიერ დროს;

6.17.7. წინამდებარე დოკუმენტით, საქართველოს კანონმდებლობით, საბარათე საგადახდო სისტემის მიერ დადგენილი წესებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

6.18. ბანკის მხრიდან პოს-ტერმინალის პრე-ავტორიზაციის ფუნქციის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტის ინფორმირება მოხდება შეჩერებამდე/შეწყვეტამდე გონივრული ვადით ადრე, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესითა და მხარეთა შორის შეთანხმებული ნებისმიერი საკონტაქტო არხით. გარდა აღნიშნულისა, თუ კლიენტს ერიცხება გადაუხდელი დავალიანება ბანკის წინაშე, ბანკი დავალიანების ოდენობას შეატყობინებს კლიენტს მისი წარმოშობიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. კლიენტი ვალდებულია დაფაროს დავალიანება დაუყოვნებლივ ან შეტყობინებაში მითითებულ ვადაში. შეტყობინების გაგზავნა მოხდება წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესითა და მხარეთა შორის შეთანხმებულ საკონტაქტო მონაცემებზე.

6.19. შეტყობინების მიღების შემდეგ დავალიანების დაფარვა კლიენტის მიერ უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, ან შეტყობინებაში მითითებულ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს ვალდებულების

უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.20. იმ შემთხვევაში თუ პოს-ტერმინალზე პრე-ავტორიზაციის უფლების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებები უზრუნველყოფილია „ანგარიშზე არსებული თანხით ვალდებულებების უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებით“ და კლიენტის მიერ დაირღვევა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტისაგან დამატებითი თანხმობისა და შეტყობინების გარეშე, ნებისმიერ დროს და მრავალჯერადად, სრულად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვა უზრუნველყოფის საგნიდან.

6.21. ბანკი უფლებამოსილია პოს-ტერმინალის პრე-ავტორიზაციის ფუნქციის ჩართვის შესახებ შეთანხმების შეჩერების პერიოდის განმავლობაში კლიენტის სასარგებლოდ ჩარიცხული თანხა დაბლოკოს კლიენტის ანგარიშზე იმ დრომდე, სანამ კლიენტის/იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიერ სრულად არ შესრულდება შესაბამისი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.22. პოს-ტერმინალის პრე-ავტორიზაციის ფუნქციის ჩართვის შესახებ შეთანხმების შეწყვეტისა და პრე-ავტორიზაციის ფუნქციის გაუქმების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია 180 (ასოთხმოცი) დღის ან კანონით დადგენილი ვადის გასვლამდე არ გასცეს უზრუნველყოფის ხელშეკრულების შეწყვეტის/გაუქმების წერილი/თანხმობა, ასევე შეინარჩუნოს უზრუნველყოფის ანგარიშზე არსებული თანხა.

6.23. იმ შემთხვევაში, თუ პრე-ავტორიზაციის უფლების გაუქმებდან/ხელშეკრულების შეწყვეტიდან წინამდებარე მუხლის 6.22 პუნქტით განსაზღვრული ვადის განმავლობაში გამოვლინდება კლიენტის მიერ პრე-ავტორიზაციის შეთანხმებისა და მისგან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, რის გამოც ბანკს წარმოეშობა უფლება თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს უზრუნველყოფის ხარჯზე, ბანკი უფლებამოსილია არ გასცეს უზრუნველყოფის ხელშეკრულების გაუქმების/შეწყვეტის შესახებ თანხმობა ან არ გადმოიტანოს კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე თანხა უზრუნველყოფის ანგარიშიდან და სრულად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები უზრუნველყოფის ანგარიშზე არსებული თანხიდან ან/და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებიდან.

6.24. იმ შემთხვევაში, თუ წინა პუნქტით დადგენილი ვადაში არ გამოვლინდება კლიენტის მიერ პრე-ავტორიზაციის შეთანხმებისა და მისგან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, ბანკი ვალდებულია უზრუნველყოფის საგნის მფლობელის ან კლიენტის წერილობითი მომართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გასცეს უზრუნველყოფის გათავისუფლების წერილი ან/და გადმოიტანოს კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე თანხა უზრუნველყოფის ანგარიშიდან. შესაბამისად, უფლების საჯარო რეესტრში გაუქმების საფასურს იხდის განაცხადის წარმომდგენი.

6.25. დავალიანების გადაუხდელობის გამო სასამართლო ან/და სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი დაიფარება იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ იქნება საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარად, უზრუნველყოფილი მოთხოვნა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც გასწვდება მისი ოდენობა, ხოლო დანარჩენ ნაწილში ვალდებულება ძალაში რჩება.

7. ბანკი ვალდებულია:

7.1. უზრუნველყოს კლიენტი საბარათე ინსტრუმენტით გადახდების მისაღებად საჭირო ინფორმაციითა და საშუალებებით.

7.2. ჩაუტაროს კლიენტს, ან კლიენტის მიერ განსაზღვრულ თანამშრომელს ან თანამშრომლებს შესაბამისი ტრენინგი, გადაამზადოს ახალი თანამშრომელი(ები) პოს-ტერმინალით მუშაობის დაწყებამდე, პოს-ტერმინალის პროგრამული უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ცვლილების, ასევე კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად.

7.3. ბანკის გადაწყვეტილებით ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში, შეთანხმებული ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის საშუალებით, წინასწარ, ტრენინგის დაწყებამდე, მიაწვდის ინფორმაციას კლიენტს ტრენინგის შინაარსის და სხვა მონაცემების შესახებ.

7.4. პერიოდულად შეამოწმოს კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

7.5. თუ კლიენტი არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, განიხილოს ხელშეკრულების და მომსახურების შეწყვეტის საკითხი.

7.6. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში გადასცეს და დაამონტაჟოს პოს-ტერმინალი, რომელიც წარმოადგენს ბანკის საკუთრებას და კლიენტს სარგებლობაში გადაეცემა შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდით. პოს-ტერმინალ(ებ)ის გადაცემა–დამონტაჟებისას ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ბანკს და კლიენტს/კლიენტის წარმომადგენელს შორის. წინამდებარე პუნქტით ნაკისრი ვალდებულება ექვემდებარე ბანკის მიერ შესრულებას, თუ სავაჭრო/მომსახურების ობიექტი, სადაც უნდა მოხდეს პოს-ტერმინალის დამონტაჟება, სრულად აკმაყოფილებს პოს-ტერმინალის დამონტაჟების, მისი უსაფრთხოდ გამოყენებისა და მონაცემების უსაფრთხოებისათვის დადგენილ სტანდარტებს.

7.7. გააჩნდეს საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები შესაბამისი საბარათე სქემებიდან.

ექვაირინგით მომსახურების დამატებითი პირობები

8. ერთ-ერთი მხარის მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მოთხოვოს კონტრაჰენტს აღებული ვალდებულებების შესრულება, პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრება და ასევე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.

9. ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კლიენტისთვის ფულადი სახსრების ანაზღაურებისას კლიენტის ანგარიშზე გადარიცხვის შეფერხების გამო, თუ ეს შეფერხება წარმოიშვა მესამე პირების (მათ შორის: ყადაღა, ინკასო, სხვა ნებისმიერი სახის შეზღუდვა) და/ან საბარათე საგადახდო სისტემის მიზეზით.

10. ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა პოს ტერმინალის ფუნქციონირებისათვის საჭირო კავშირგაბმულობის სისტემის დროებითი გაუმართაობის გამო, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება. ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მოთხოვნების საგანგებო მდგომარეობით, საომარი მდგომარეობით ან სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეული შეუსრულებლობისთვის, თუ ამ გარემოებებმა უშუალო გავლენა იქონია ბანკის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე განსაკუთრებული გარემოების საფუძველზე ან/და ფინანსური სისტემის სტაბილურობის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოპერაციების შეზღუდვის შემთხვევაში.

11. კლიენტის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით შესრულებული ოპერაციების თანხის ანაზღაურების ვადის გადაცილებისას, კლიენტი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, დაგვიანებული თანხის 0.5 პროცენტის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12. ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულების შესრულების ვად(ებ)ის გადაცილებისას, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, დაგვიანებული თანხის 0.5 პროცენტის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

13. კლიენტს ეკისრება პოს-ტერმინალის სათანადო შენახვის, დაცვისა და მოვლა–პატრონობის ვალდებულება და შესაბამისად, კლიენტი სრულადაა პასუხისმგებელი პოს-ტერმინალის დაკარგვის, ნაწილობრივ და/ან სრული დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ მოხდა პოს ტერმინალის დაკარგვა ან დაზიანება (კლიენტის წარმომადგენლის/თანამშრომლისა თუ სხვა მესამე პირის მიერ). პოს ტერმინალის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს პოს ტერმინალის დაკარგვით, ნაწილობრივ და/ან სრული დაზიანებით მიყენებული ზიანი მოწყობილობის ნარჩენი ღირებულების ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 200 (ორასი) ლარის ოდენობისა.

14. პირგასამტეხლო/ჯარიმა ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრება/გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურებისაგან.

15. კლიენტს ეკისრება პასუხისმგებლობა პოს-ტერმინალის, ბარათით შესრულებული ოპერაციების ჩეკების (ქვითრები) არასანქცირებული წვდომისათვის, ასევე გაყალბებული, მოპარული ბარათების გამოყენებით გადახდის შესრულებისათვის.
16. კლიენტი ფინანსურად პასუხისმგებელია ბანკის წინაშე კლიენტის სავაჭრო ობიექტებში ბარათის გამოყენებით შესრულებული ყველა ოპერაციისათვის, მათ შორის წინა პუნქტით გათვალისწინებული ოპერაციებისათვის.
17. ბანკის მიერ კლიენტისთვის ოპერაციის თანხის ანაზღაურება არ განიხილება როგორც ბანკის მიერ ოპერაციის კანონიერების აღიარების ფაქტი. ბანკის, სამართალდამცავი ორგანოების, ან საბარათე საგადახდო სისტემის გამოძიების შედეგად შესაძლებელია გაირკვეს, რომ ოპერაცია არამართლზომიერია ან უკანონოა, რასაც მოყვება შესაბამისი შედეგები.
18. კლიენტი იღებს გადახდის ვალდებულებას და ამ მიზნით ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, საბარათე საგადახდო სისტემისგან (“ვიზას” და “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემები) და/ან ბარათის ემიტენტისგან ანგარიშგების მიღების დღეს, ან/და ბანკის, საბარათე საგადახდო სისტემის (“ვიზას” და “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემები), ბარათის ემიტენტის ან მესამე პირის სასარგებლოდ თანხის გადახდის ვადის დადგომის დღეს, ხელშეკრულების ან/და წინამდებარე დოკუმენტის პირობების თანახმად, ხელშეკრულებაში მითითებული კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)იდან და ასევე ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი სხვა ანგარიშ(ებ)იდან, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესით, თანხა უაქცეპტო წესით ჩამოწეროს ბანკის, საბარათე საგადახდო სისტემის (“ვიზას” და “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემები), ბარათის ემიტენტის და/ან მესამე პირის სასარგებლოდ, კერძოდ:
    18.1. ხელშეკრულებ(ებ)ით და/ან წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ბანკის საკომისიოს თანხა, პირგასამტეხლო, ჯარიმა და/ან სხვა ნებისმიერი სახის გადასახდელი თანხა.
    18.2. თანხები, რომლებიც ჩამოეწერა ბანკს საბარათე საგადახდო სისტემის, ბარათის ემიტენტის, მესამე პირის მოთხოვნით, ან ბარათის მფლობელის განცხადების საფუძველზე, იმ ოპერაციებთან მიმართებაში, რომლებიც კლიენტის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში განხორციელდა ბარათის გამოყენებით, მათ შორის „ჩარჯბექის“ თანხა.
    18.3. თანხები, რომლებიც წარმოადგენს ბარათის გამოყენებით განხორციელებული კრედიტული ოპერაციის შედეგს (საქონლის დაბრუნება და მომსახურებაზე უარის თქმა და ა.შ.).
    18.4. „ჩარჯბექის“ დამუშავებასთან, გასაჩივრებასთან ან სხვა პროცედურასთან დაკავშირებული ბანკის მიერ გაწეული ხარჯების საკომპენსაციო თანხა.
    18.5. ყველა კომპენსაციის, კურსთა სხვაობის, პირგასამტეხლოს, ჯარიმის და სხვა გადახდების თანხები, რომლებიც წარმოადგენს ბარათის მომსახურების პირდაპირ თუ არაპირდაპირ შედეგს.
    18.6. ხელშეკრულებისა და წინამდებარე დოკუმენტის პირობების, საბარათე საგადახდო სისტემის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით ბანკისათვის მიყენებული ზიანის თანხა.
19. ყველა ის საკითხი, რომელიც ხელშეკრულებითა და წინამდებარე დოკუმენტით არ რეგულირდება, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და საბარათე საგადახდო სისტემის წესებით.
20. წინამდებარე დოკუმენტის ზოგადი ნაწილის მე–4 მუხლის (,,ხელშეკრულების შეწყვეტა“) პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული ვადების განმავლობაში ანგარიშსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ ანგარიშსწორების ვადა განისაზღვროს 180 დღით ბარათის საშუალებით უკანასკნელი ოპერაციის ჩატარების დღიდან.
21. მხარეთა შეთანხმებით ექვაირინგის მომსახურება და მისგან გამომდინარე კლიენტის ვალდებულებები შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს კლიენტის ან მესამე პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით (იპოთეკა) ან/და „ანგარიშზე არსებული თანხით ვალდებულებების უზრუნველყოფის შესახებ“ შეთანხმებით. რაზეც დამატებით ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები/შეთანხმებები.
22. იპოთეკის და „ანგარიშზე არსებული თანხით ვალდებულებების უზრუნველყოფის შესახებ“ შეთანხმებაზე დამატებით ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.
23. ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება მხარეებს შორის გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

24. ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას, ხელმომწერის მიერ გარიგების დადასტურებას ინტერნეტ ბანკით, შეთანხმებული მეილით ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ნებისმიერი სხვა სანდო საკომუნიკაციო არხით, აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა და გარიგება ძალაშია დადასტურების მომენტიდან. აღნიშნული ფორმით გარიგების დადასტურება არ შეიძლება გახდეს სადაო მატერიალურ დოკუმენტზე ფიზიკური ხელმოწერის არარსებობის გამო.
25. პოს-ტერმინალის გამოყენებით განხორციელებული გადახდებიდან კლიენტის მიერ გადასახდელი საკომისიო გამოითვლება პოს-ტერმინალზე შესაბამისი ტიპის ბარათით შესრულებული თითოეული ტრანზაქციიდან, ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული საპროცენტო სარგებლის ოდენობის მიხედვით.

ექვაირინგის მომსახურების სპეციალური დებულებები

მუხლი 31. სტანდარტული ტიპის ექვაირინგის ხელშეკრულება

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„სტანდარტული ტიპის ექვაირინგის ხელშეკრულება“.**
2. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული საშეღავათო პერიოდის დამთავრებიდან ყოველი შემდგომი თვის განმავლობაში ხელშეკრულებაში მითითებულ პოს ტერმინალზე ყოველთვიურად არ დაფიქსირდება ბრუნვა 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით, კლიენტი ვალდებულია, წინამდებარე დოკუმენტში და/ან ხელშეკრულებაში მოცემული საკომისიოს გარდა, დამატებით გადაუხადოს ბანკს ფიქსირებული ყოველთვიური საკომისიო 20 (ოცი) ლარის ოდენობით. აღნიშნული საკომისიოს გადახდა ეკისრება კლიენტს ყოველი იმ თვისათვის, რომელშიც არ დაფიქსირდება ამ მუხლით დადგენილი ბრუნვა. საკომისიოს გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად იმ რიცხვში, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების გაფორმების რიცხვს.
3. თუ სტანდარტული ტიპის ექვაირინგის ხელშეკრულებების საფუძველზე კლიენტი ერთდროულად ფლობს სამ ერთეულ პოს-ტერმინალზე მეტს, მაშინ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირობების არსებობისას საკომისიოს ოდენობა 20 (ოცი) ლარის ნაცვლად შეადგენს 10 (ათი) ლარს თითოეულ პოს ტერმინალზე.
4. ამ მუხლში მითითებული თვეების ათვლა წარმოებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან.

მუხლი 32. სეზონური ტიპის ექვაირინგის ხელშეკრულება.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„სეზონური ტიპის ექვაირინგის ხელშეკრულება“.**
2. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პოს-ტერმინალზე არ დაფიქსირდება წლიური ბრუნვა 48 000 (ორმოცდარვა ათასი) ლარის ოდენობით, კლიენტი ვალდებულია, წინამდებარე დოკუმენტში და/ან ხელშეკრულებაში მოცემული საკომისიოს გარდა, დამატებით გადაუხადოს ბანკს ფიქსირებული საკომისიო შემდეგი ოდენობით: დადგენილი წლიური ბრუნვის (48 000 ლარი) ყოველ 4000 (ოთხი ათასი) ლარის დანაკლისზე - 20 (ოცი) ლარი. აღნიშნული საკომისიოს გადახდა ეკისრება კლიენტს ყოველი იმ წლისათვის, რომელშიც არ დაფიქსირდება ამ მუხლით/ხელშეკრულებით დადგენილი ბრუნვა. საკომისიოს გადახდა უნდა მოხდეს ყოველწლიურად იმ თვესა და რიცხვში, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების გაფორმების თვესა და რიცხვს.
3. თუ სეზონური ტიპის ექვაირინგის ხელშეკრულებების საფუძველზე კლიენტი ერთდროულად ფლობს სამ ერთეულ პოს-ტერმინალზე მეტს, მაშინ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირობების არსებობისას საკომისიოს ოდენობა 20 (ოცი) ლარის ნაცვლად შეადგენს 10 (ათი) ლარს თითოეულ პოს ტერმინალზე.

მუხლი 32[1]. სადავო ტრანზაქციების და დავების განხილვა

1. ბანკი ვალდებულია განიხილოს ემიტენტის მიერ ქართული საბარათე ინსტრუმენტით საქართველოში განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივარი, განხორციელებულ არაავტორიზებული ოპერაციის შესახებ.
2. ქართული საბარათე ინსტრუმენტით საქართველოში განხორციელებული ოპერაციის შესახებ საჩივრის განხილვის ვადა შეადგენს შესაბამისი საჩივრის ბანკში წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეს.

აღნიშნული ვადის გახანგრძლივება შეიძლება ემიტენტთან შეთანხმებით მხოლოდ განსაკუთრებული და ობიექტური გარემოებების არსებობისას, არაუმეტეს 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღით. ვადის ათვლა დაიწყება საჩივრის წარმოდგენის მომდევნო სამუშაო დღიდან.

3. ბანკი გამოიკვლევს მომხდარი ნებისმიერი სადავო შემთხვევის, ტრანზაქციის, ინციდენტის, არაავტორიზებული ოპერაციის მიზეზს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან კანონით, ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამისათვის დადგენილ ვადაში.
4. თუ სადავო არაავტორიზებული ტრანზაქცია შესრულებულია სს „პროკრედიტ ბანკი“-ს პოს-ტერმინალში, ბანკი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდეს კლიენტს და მიიღოს მისგან ყველა აუცილებელი ინფორმაცია, დოკუმენტი და ჩანაწერები რაც დაკავშირებულია სადავო ტრანზაქციასთან.
5. კლიენტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტის/ჩანაწერების მოწოდების მიხედვით, ამ მუხლში დადგენილ ვადაში, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების (სრულად ან ნაწილობრივ) ან მასზე უარის თქმის შესახებ, რის შესახებაც აცნობებს საჩივრის ავტორს.

თავი XI - სადეპოზიტო სეიფით მომსახურება

მუხლი 33. თანხის სადეპოზიტო სეიფის („სეიფის“) მეშვეობით შემოტანის ხელშეკრულება

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება “თანხის სადეპოზიტო სეიფის („სეიფის“) მეშვეობით შემოტანის თაობაზე”.
2. სეიფით სარგებლობა შესაძლებელია სეიფის ბარათით, რომელიც წარმოადგენს არაპერსონიფიცირებულ ბარათს. ბარათის იდენტიფიცირება შესაძლებელია მინიჭებული უნიკალური ნომრით.
3. სეიფის მეშვეობით ნაღდი ფულის ბანკში შემოტანის დღიური ლიმიტი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართით. დანართში ლიმიტები მოცემულია ლარში, ხოლო აშშ დოლარისა და ევროს შემთხვევაში, ლიმიტები განისაზღვრება ტრანზაქციის მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ ლართან მიმართებაში დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. ერთი კალენდარული დღის განმავლობაში სეიფის მეშვეობით შემოტანილი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დანართში მითითებულ კლიენტის ლიმიტს, მიუხედავად ბარათით მოსარგებლეებისათვის იმავე დანართითვე განსაზღვრული ლიმიტების ოდენობისა. ამასთან ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი აქცეპტის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად და მრავალჯერადად შეამციროს/შეცვალოს სეიფის მეშვეობით ნაღდი ფულის ბანკში შემოტანის ლიმიტის ოდენობა, რის თაობაზე ბანკი აცნობებს კლიენტს მასთან შეთანხმებული საკომუნიკაციო არხის (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ინტერნეტ ბანკი, სატელეფონო ზარი და ა.შ.) საშუალებით.
4. დანართით განისაზღვრება შემდეგი სახის ინფორმაცია: კლიენტის სახელი, გვარი/დასახელება, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში ასევე: საიდენტიფიკაციო კოდი, უფლებამოსილი პირის სახელი-გვარი და პირადი ნომერი; ინფორმაცია სეიფის თითოეული ბარათის შესახებ: ბარათის ნომერი, ბარათით მოსარგებლის სახელი-გვარი და პირადი ნომერი, კლიენტის მინიმალური და მაქსიმალური ლიმიტი, ბარათის მინიმალური და მაქსიმალური ლიმიტი, ბარათთან დაკავშირებული ანგარიშები.
5. კლიენტის მოთხოვნით შესაძლებელია გაფორმდეს ახალი დანართები, რომლებიც დაემატება მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.
6. კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკს გააჩნია სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა, გააკონტროლოს ბარათის გამოყენება, ისევე როგორც გააჩნია ვიდეოკამერები, რომლითაც ახორციელებს დაკვირვებას სეიფით ფულის შემოტანის პროცესზე. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერი დავის ან უთანხმოების არსებობის შემთხვევაში, საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიყენოს სათვალთვალო კამერის ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება;
7. ბანკის მიერ კლიენტის შემოტანილი თანხის გადათვლას არ ესწრება კლიენტი და/ან მისი წარმომადგენელი (მათ შორის ბარათით მოსარგებლე).
8. ბანკი ვალდებულია:
   8.1. გადახარჯვის აღმოჩენის შემთხვევაში, ნებისმიერი საკომუნიკაციო არხით აცნობოს გადახარჯვის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ, ბანკის ტექნიკური მოწყობის ფარგლებში, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. ამასთან ბანკი არ აგებს პასუხს ამ ვალდებულების

დარღვევისათვის, თუ დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება კლიენტის ბრალეულობით, ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ბანკისთვის;

8.2. გადახარჯვის თითოეული ფაქტის შესახებ შეტყობინებით, ბანკი კლიენტს მიაწვდის ინფორმაციას: გადახარჯვის ფაქტის შესახებ, გადახარჯვის ჯამურ თანხას, ინფორმაციას საპროცენტო განაკვეთის შესახებ და ინფორმაციას შესაძლო პირგასამტეხლოს და სხვა სახის ხარჯის შესახებ, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომხმარებელს.

8.3. კლიენტი ვალდებულია საკონტაქტო ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. ბანკი არ აგებს პასუხს შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, თუ მომხმარებელთან დაკავშირება ან/და მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება მომხმარებლის ბრალეულობით და/ან მომხმარებელმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ბანკისათვის.

8.4. დანაკლისის ან ზედმეტობის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს კლიენტს აღნიშნულის თაობაზე;

8.5. დაუმზადოს კლიენტს მის მიერ დანართით განსაზღვრული ბარათით მოსარგებლეებისათვის სეიფის ბარათ(ებ)ი. ბარათების რაოდენობა არ არის შეზღუდული, ამასთანავე, თითოეულ ბარათით მოსარგებლეზე დასაშვებია მხოლოდ ერთი აქტიური სეიფის ბარათის არსებობა.

8.6. სეიფის ბარათი გადასცეს უშუალოდ ბარათით მოსარგებლეს.

8.7. შეაჩეროს მომსახურების გაწევა და არ შეასრულოს ყალბი, თაღლითური, უკანონო ან არასანქცირებული, ასევე სადეპოზიტო სეიფის პირობების დარღვევით წარმოდგენილი გადარიცხვა, ან სხვა იმგვარი გადარიცხვა/ოპერაცია, რომელიც პირდაპირ და/ან ცალსახა ზიანს აყენებს ბანკის ინტერესებს. ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კლიენტისათვის აღნიშნული საფუძვლით მომსახურების შეჩერების/ოპერაციის შეფერხების გამო.

9. კლიენტი ვალდებულია:

9.1. უზრუნველყოს ბარათით მოსარგებლეთა მიერ ხელშეკრულების გაცნობა და პირობების განუხრელად დაცვა;

9.2. უზრუნველყოს საიმედო ბარათით მოსარგებლეების შერჩევა მათთვის სეიფის ბარათების გადაცემის მიზნით;

9.3. ერთპიროვნულად აიღოს პასუხისმგებლობა ბანკის წინაშე ბარათით მოსარგებლის მიერ ნაღდი ფულის შემოტანით გამოწვეულ დანაკლისზე; ამასთან გადახარჯვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ბანკის მხრიდან შესაბამისი შეტყობინების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შეტყობინებაში მითითებულ ვადისა, აუნაზღაუროს ბანკს გადახარჯული თანხა. პროცენტის დარიცხვა გადახარჯულ თანხაზე დაიწყება შეტყობინებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის შემდეგ და დაერიცხება წლიური 36 (ოცდათექვსმეტი) % სარგებელი თანხის ფაქტიურ დაფარვამდე; ბანკი ასევე უფლებამოსილია დააკისროს კლიენტს გადახარჯვის თითოეულ დღეზე პირგასამტეხლო, გადახარჯული თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება გადახარჯვის სრულად დაფარვამდე, მაგრამ არაუმეტეს 90 კალენდარული დღისა;

9.4. უზრუნველყოს, თითოეული ბარათით მოსარგებლის მიერ სეიფით ნაღდი ფულის შემოტანამდე, თანხის დათვლა და შემოტანა მხოლოდ სეიფის ეკრანზე მითითებული დანიშნულებით ხსენებული პროდუქტის სწორი/მართებული გამოყენების მიზნით (არ დაუშვას გადახარჯვა/ზედმეტობა, მათ შორის შეუსაბამოდ დიდი სხვაობა შემოტანილ თანხასა და მითითებულ თანხას შორის). უზრუნველყოს ბარათით მოსარგებლეთათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სეიფით სარგებლობის წესის დეტალურად გაცნობა და ზედმიწევნით დაცვა.

10. კლიენტი უფლებამოსილია:

10.1. საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ბარათით მოსარგებლეთა რაოდენობა და ვინაობა;

10.2. ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს ბარათით მოსარგებლეზე გაცემული სეიფის ბარათის გაუქმება და/ან დაბლოკვა (სატელეფონო ზარის მეშვეობით ან პირადად ფილიალში ვიზიტით), ისევე, როგორც დაბლოკილი სეიფის ბარათის აღდგენა/განბლოკვა (მხოლოდ პირადად ფილიალში ვიზიტით);

10.3. მოითხოვოს ბარათით მოსარგებლის დამატება;

11. ბარათი გაუქმდება, თუ ბარათის შეკვეთიდან ან/და დაბლოკვიდან ერთი თვის ვადაში არ მოხდება ბარათის განბლოკვა და გატანა.

12. ხელშეკრულება ფორმდება განუსაზღვრელი ვადით.
13. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
14. კლიენტის და/ან ბარათით მოსარგებლის მიერ ხელშეკრულების დებულებათა დარღვევის, პროდუქტის საეჭვო, შესაძლო თაღლითური, არამიზნობრივი ან არასწორი გამოყენების, ასევე კლიენტის მიერ ბანკის მიმართ ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის, რესტრუქტურიზაციის, წინამდებარე მუხლის 9.4. პუნქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
15. ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე მხარეთა მიერ შესრულებული ქმედებები იურიდიულ ძალას ინარჩუნებენ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. მხარის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე, თითოეული მხარის მიერ ექვემდებარება სავალდებულო შესრულებას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც, ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით.

თავი XII - ფულადი გზავნილები

მუხლი 34. სწრაფი ფულადი გზავნილები - „ინტელიექსპრესი“

1. ინტელიექსპრესი სწრაფი ფულადი გზავნილების საერთაშორისო სისტემაა, რომლის მეშვეობითაც თანხის მიღება და/ან გაგზავნა შესაძლებელია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან/ქვეყანაში.
2. სს “პროკრედიტ ბანკში” ფულადი გზავნილის განაღდების მომსახურება შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის, რომელთაც სს “პროკრედიტ ბანკში” გახსნილი აქვთ საბანკო ანგარიში. კლიენტი არ არის უფლებამოსილი გააგზავნოს ფულადი გზავნილი.
3. ფულადი გზავნილის განაღდება შესაძლებელია, როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ, ასევე საქართველოში.
4. იმ ქვეყნების დეტალური ჩამონათვალი, საიდანაც შესაძლებელია ფულადი გზავნილის განაღდება, შესაბამისი საკომისიოების მითითებით, ხელმისაწვდომი იქნება მომსახურების ციფრულ არხებსა და ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, საკუთარი გადაწყვეტილებით შეზღუდოს კონკრეტული ქვეყნებიდან გზავნილის განაღდება/მიღება, ასევე ქვეყნების ჩამონათვალს დაამატოს ახალი ქვეყანა.
5. ბანკი უფლებამოსილია გზავნილის განაღდებისათვის დააწესოს მომსახურების საკომისიო. საკომისიოს შესახებ ინფორმაცია განთავსებული იქნება ბანკის ციფრულ არხებსა და ტარიფების დოკუმენტში (ტარიფების დოკუმენტი განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე). კლიენტი ვალდებულია ყოველი გზავნილის განაღდების წინ გაეცნოს გზავნილის განაღდების საკომისიოს ოდენობას, შესაბამისად, გზავნილის განაღდებით კლიენტი ადასტურებს, რომ გაეცნო საკომისიოს ოდენობას.
6. ფულადი გზავნილის განაღდებისთვის კლიენტმა უნდა იცოდეს გზავნილის უნიკალური კოდი.
7. ფულადი გზავნილის განაღდება ციფრული არხებით შესაძლებელია ნებისმიერ დროს.
8. ფულადი გზავნილის განაღდება ქვეყნის შიდა გზავნილის შემთხვევაში შესაძლებელია შემდეგ ვალუტებში: ლარი, ევრო და აშშ დოლარი, ხოლო საერთაშორისო გზავნილის შემთხვევაში: ევრო, აშშ დოლარი და ფუნტი სტერლინგი.
9. თუ კლიენტს არ აქვს გახსნილი ანგარიში ფულადი გზავნილის შესაბამის ვალუტაში, გზავნილის განაღდება შესაძლებელია, კონვერტაციის გზით, კლიენტის მიერ არჩეული ვალუტის შესაბამის ანგარიშზე. კონვერტაციისთვის კლიენტს დამატებით საკომისიოს გადახდა არ დაეკისრება.
10. ფულადი გზავნილების განაღდების რაოდენობა შეზღუდულია ერთ კლიენტზე და შეადგენს მაქსიმუმ 3 (სამი) გზავნილს ერთი დღის განმავლობაში, ხოლო თანხობრივი ლიმიტი თითოეულ გზანილზე შეადგენს არაუმეტეს 20 000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს შესაბამის გასანაღდებელ ვალუტაში, განაღდების დროს მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით.
11. სს “პროკრედიტ ბანკი” (ს/ნ 204851197, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., N21) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის ფულადი გზავნილიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის

მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
მონაცემთა სუბიექტის/მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

12. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი უარს აცხადებს თავისი მონაცემების საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის მიწოდებაზე, ვალდებულია ყოველი განაღდების წინ ციფრულ არხებში მონიშნოს შესაბამისი განაცხადის ფორმა (,,მომხმარებლის უარი მონაცემების საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის მიწოდების შესახებ.'').

თავი XIII - მომენტალური გადარიცხვები 24/7-ზე

მუხლი 35

1. მომენტალური გადახდის სისტემა (“Instant Payment System”) წარმოადგენს საგადახდო სისტემას, რომელიც საშუალებას იძლევა გადამხდელსა და მიმღებს შორის ანგარიშსწორება განხორციელდეს მყისიერად, ნებისმიერ დროს. ბანკი შესაძლებლობას აძლევს კლიენტებს თანხის გადარიცხვა განახორციელონ შეუზღუდავი სიხშირით სისტემის სხვა მონაწილეთა (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი/მიკრობანკი) კლიენტებთან, მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით. მომენტალური გადახდის სისტემით სარგებლობას კლიენტები შეძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სარგებლობენ სს “პროკრედიტ ბანკის'' მობაილ ბანკით.
2. მომენტალური გადახდის სისტემის მეშვეობით გადარიცხვის ოპერაციების შესრულება შეუძლიათ მხოლოდ აქტიური ანგარიშის მქონე ფიზიკურ პირებს (აღნიშნულში არ მოიაზრება ინდივიდუალური მეწარმეები).
3. კლიენტისთვის ცნობილია და ის ეთანხმდება, რომ მომენტალური გადახდის სისტემის მეშვეობით დაშვებულია მხოლოდ ისეთი ტიპის გადარიცხვის ოპერაციები, რომლის დანიშნულება არ არის საქონლის ან/და მომსახურების საფასურის გადახდა და რომელიც ემსახურება გადამხდელსა და მიმღებს შორის თანხის მხოლოდ პირადი დანიშნულებით მიმოქცევას.
4. თანხის გადარიცხვა შესაძლებელია თანხის მიმღები ფიზიკური პირის მხოლოდ იმ ტელეფონის ნომრის გამოყენებით, რომელიც ვერიფიცირებულია თანხის მიმღები ფიზიკური პირის მომსახურე ბანკის/მიკრობანკის მიერ.
5. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი წარმოადგენს თანხის მიმღებს, თანხის ჩარიცხვა განხორციელდება კლიენტის მიერ არჩეული შესაბამისი ვალუტის ე.წ. “ფავორიტ ანგარიშზე''. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ აქვს არჩეული “ფავორიტი ანგარიში'' ბანკი თანხას ჩარიცხავს კლიენტის მიერ შესაბამის ვალუტაში ბოლოს გახსნილ საბანკო ანგარიშზე.
6. მომენტალური გადახდის სისტემაში ჩართული ბანკების ჩამონათვალი მოცემულია კლიენტის მობაილ ბანკში. კლიენტისთვის ცნობილია, მომენტალური გადახდის სისტემაში ჩართული ბანკების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს. კლიენტი ვალდებულია, ყოველი გადარიცხვის წინ შეამოწმოს სისტემაში ჩართული ბანკების ჩამონათვალი.
7. ბანკი უფლებამოსილია მომენტალური გადახდის სისტემის მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციისთვის დააწესოს მომსახურების საკომისიო. საკომისიოს შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მობაილ ბანკში და ტარიფების დოკუმენტში, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge. კლიენტი ვალდებულია თანხის გადარიცხვამდე გაეცნოს გადარიცხვის საკომისიოს ოდენობას, შესაბამისად, გადარიცხვის ინიციირებით კლიენტი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება საკომისიოს ოდენობას.
8. მომენტალური გადახდის სისტემის საშუალებით გადარიცხვის ოპერაციების შესრულება შესაძლებელია შემდეგ ვალუტაში:
   8.1. ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი GEL;
   8.2. აშშ დოლარი - USD;
   8.3. ევრო - EUR.
9. მომენტალური გადარიცხვის სისტემის მეშვეობით თანხის ერთჯერადი გადარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ ბანკის მიერ დადგენილი თანხობრივი ლიმიტების ფარგლებში. ლიმიტების შესახებ

ინფორმაცია, შესაბამისი ვალუტისა და ერთეულის მითითებით განთავსდება მობაილ ბანკსა და ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge. კლიენტი ვალდებულია თანხის გადარიცხვამდე გაეცნოს დადგენილ ლიმიტებს.

10. ბანკი უფლებას იტოვებს უარყოს თანხის გადარიცხვის ან თანხის მიღების ოპერაცია, თუ:

10.1 საგადახდო დავალებაში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი არ არის ვერიფიცირებული.

10.2 საგადახდო დავალებაში მითითებული ვერიფიცირებული მობილური ტელეფონის ნომერი დაკავშირებულია რამდენიმე პირის ანგარიშთან, რა შემთხვევაშიც, ბანკი მოკლებულია შესაძლებლობას თავად განსაზღვროს თუ რომელ ანგარიშზე მოხდეს თანხის მიღება.

10.3 გადარიცხვის ოპერაცია არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბანკის შიდა წესებითა და პოლიტიკებით განსაზღვრულ პირობებს.

10.4 კლიენტს არ უფიქსირდება ანგარიშზე საკმარისი თანხა ტრანზაქციის განსახორციელებლად.

10.5 ტრანზაქცია აღემატება ერთჯერადი გადარიცხვისთვის განსაზღვრულ თანხობრივ ლიმიტებს.

10.6 კლიენტის ანგარიშზე/ანგარიშებზე ფიქსირდება საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა, ყადაღა ან ინკასო, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევებისა.

11. თანხის გადარიცხვის ოპერაციის უარყოფის შემთხვევაში, კლიენტი მიიღებს შესაბამის შეტყობინებას მობაილ ბანკში შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, მაგრამ არაუგვიანეს საგადახდო დავალების შესრულების ვადისა.